პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
6 ნოემბერი პარასკევი 2009
№262(12941) ფასი 60 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

# თემური და მისი რაზმი



>> გვერდი 2



## დღეს 13 საათზე

# ქეცბაია კონტრაქტს გააფორმებს

## მოდებაძე ალაპარაკდა

ინტერვიუ



გურამ მოდებაძაძე

...ხაზარელმა ბერძენიშვილთან დაპირისპირებაში მწვრთნელები და სპორტსმენებიც ჩაგვრია...

>> გვერდი 13

MS
MS ხარისხიანი
MS
MS
MS
MS უვნებელი
MS
MS დინამიური
MS ხელმისაწვდომი
MS სასარგებლო
ვეძებ!!!
MS მობილური
MS
MS

ეროვნული ნაკრები



# დღეს 13 საათზე...

## ქეცბაია ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს

საქართველოს ნაკრებში ექტორ კუპერის „ეპოქა“ ოფიციალურად 4 ნოემბერს დასრულდა, დღეს კი, 6 ნოემბერს, ახალი ხანა იწყება, რომელიც, იმედია, ხანგრძლივი და ეტაპობრივად წარმატებული იქნება. დიახ, დღეს, 13 საათზე, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თემურ ქეცბაიასთან ხელშეკრულებას გააფორმებს. ქეცბაიასა და ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას გარდა, კონტრაქტზე ხელმოწერის ცერემონიალს მინისტრი ნიკა რურუა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურიც დაესწრებიან, რის შემდეგაც პრესკონფერენცია გაიმართება.

რაც შეეხება დეტალებს, ჩვენი ინფორმაციით (ბერძნული წყაროები სხვა ინფორმაციას ავრცელებენ), ქეცბაიასა და ფეხბურთის ფედერაციას შორის 2-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდება. როგორც გავიგეთ, თემურს ეროვნულ გუნდში ასისტენტობას გაუწევს სოსო ჭედია, რომელიც მას ჯერ „ანორთოსისში“, მერე კი „ოლიმპიაკოსში“ მუშაობისას ეხმარებოდა. ქეცბაიას შტაბის კიდევ ერთი წევრი, ფიზმომზადების ბერძენი სპეციალისტი მიხალის მიხალისი იქნება.

დავით ცაბაძე

იდეა

# ყიფიანი ნატურალიზაციას ემხრობა

საქართველოს ნაკრებში უცხოელი ნატურალიზებული ფეხბურთელის აყვანაზე პოლემიკა ინტენსიურ ხასიათს იღებს, შესაბამისად, თემაც უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ფეხბურთის ფედერაციის ახალი თავკაცი **ზვიად სიჭინავა** აპირებს იმ გამოცდილების გაზიარებას, რომელიც წლების წინ ევროპის ჭეშმარიტად საფეხბურთო ქვეყნებში დანერგეს...

საქართველოში რატომღაც ზემოდან და ზერელედ ვუყურებთ უცხოელებს, ყოველ შემთხვევაში, ბოლო დრომდე ასე იყო, თითქოსდა, ქართველებზე უკეთესი ფეხბურთის თამაში არავის შეუძლია. მაგრამ საქართველოშიც ნელ-ნელა იკიდებს ფეხს ის აზრი, რომ იქნებ, ნატურალიზებული ფეხბურთელით (ან ფეხბურთელებით) მაინც გავაძლიეროთ ეროვნული ნაკრები, თორემ მთელ მსოფლიოში თავი გვექრება, ეს კი სატრანსფერო, სასპონსორო და ყველა სახის ბაზარზე ავტორიტეტის უპირობო დაკარგვას ნიშნავს.

ფეხბურთის ფედერაციის მმართველი გუნდის წევრი **ლევან ყიფიანი** ნატურალიზაციას ურიგო იდეად არ მიიჩნევს: „ქართული ფეხბურთისთვის მისაღებ და ნაკრების გაძლიერებისთვის საჭირო ყველა წინადადებას მივესალმები. ყოველ შემთხვევაში, ეს განხილვის თემად შეიძლება იქცეს. რას ვფიქრობ რუსთავის „ოლიმპში“ ჩამოსული ბრაზილიელი მცველის, ფრაგასა და ნახევარმცველ ანდერსონ აკინოს ნატურალიზაციაზე? აკინოს თამაში რამდენჯერმე ვნახე და ჩემი აზრით, ხელწამოსაკრავი ფეხბურთელი ნამდვილად არ არის. თუმცა რამდენად გამოადგება ნაკრებს და აკმაყოფილებს თუ არა მის მოთხოვნებს, ეს ძნელი სათქმელია. შესაძლოა, ის კლუბის დონეზეა საინტერესო და ნაკრებში ვერ ივარგოს. ესეც დასაფიქრებელია, არასწორი არჩევანი რომ არ გავაკეთოთ. ასეა თუ ისე, ნაკრებს გაძლიერება სჭირდება და თუკი შიდა რესურსი ამოვწურეთ, კიდევ ერთხელ ვამბობ - დაფიქრება შეიძლება“.

მერაბ მამულაშვილი

# ვინ გავაქართველოთ? იტალიელი თუ გერმანელი?

## ნაკრების წარუმატებლობაში მეკარეთა წვლილი 20-30 პროცენტია

**ეროვნულ ნაკრებში მეკარის ნატურალიზაციის თემა ამ ცოტა ხნის წინ, ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ „ლელოსთან“ საუბარში წამოწია. ამ საკითხზე ლეგენდარულ მეკარე სერგო კოტრიკაძის პოზიცია წინა ნომერში გაგაცანით. ახლა კი ვნახოთ, თუ რას ფიქრობენ ამავე თემაზე მომდევნო თაობის ყოფილი კიპერები, ამჟამად კი მწვრთნელები. ამ საკითხზე სასაუბროდ ორი რესპონდენტი, ოთარ გაბელია და ასლან ბალაძე შევარჩიეთ.**

### ოთარ გაბელია

- წლების განმავლობაში ეროვნულ ნაკრებში მეკარეების მწვრთნელად ვმუშაობდი. მართალი გითხრათ, ყოველთვის ჩვენებურების დამცველი ვიყავი. ჩვენს გოლკიპერებს კარგი თამაშებიც ბევრი ჰქონდათ და ჩავარდნაც არაერთი ყოფილა. ეროვნულის მთავარი მეკარე გიორგი ლომაიაა და მასზეც იმავეს თქმა შეიძლება, კარგი მატჩებიც ჰქონდა და ჩავარდნებიც. საერთო ჯამში ეს არასტაბილურობაზე მეტყველებს. თუნდაც გრიგოლ ბედიაშვილსა და ზურა მამალაძეზე ვთქვათ, ამ ორს თითზე ჩამოსათვლელი მატჩები მოუწიათ, მაგრამ შეცდომები მათაც ჰქონდათ. თუმცა არც ის იქნება სწორი, რომ ყველაფერი მეკარეებს გადავაბრალოთ.

**- ნათქვამია, მეკარე გუნდის ნახევარიაო...**

- კი ასეა, გეთანხმებით, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ კარგად მოთამაშე გუნდის მეკარეს ბურთი იშვიათად მისდის.

**- ასეც არის, მაგრამ ვერც იმას გავექცევით, როცა ჩვენს მეკარეებს შორიდან დარტყმული ბურთები გაუშვიათ...**

- კი, ესეც იყო, რადგან საქართველოს ჩემპიონატი არაა ის დონე, რომ სტაბილური და მაღალი დონის მეკარე ჩამოყალიბდეს.

**- სხვა კიპერი თუ გეგულებათ, ვისაც ეროვნულში არ უთამაშია და გასინჯვას ან მინიმუმ ყურადღებას იმსახურებს?**

- კი, არის, მაგრამ ჯერ მაცადონ და არ წამართვან (იცინის)... როინ კვასხვაძეს ვგულისხმობ... უშეცდომო არც ისაა, მაგრამ კარგი მონაცემები აქვს და ჩინებული შანსი აქვს, კარგ მეკარედ რომ ჩამოყალიბდეს.

**- კვასხვაძეს „ზესტაფონში“ სტაბილურად არ უწევს თამაში...**

- კი, მაგრამ ეს კლუბის მწვთნელის გადასაწყვეტია და ამ საქმეში ჩარევის უფლება არავის აქვს. მე რომ კლუბში ვმუშაობდე და ორი მეკარე მყავდეს, ჩემი გადასაწყვეტი იქნებოდა, რომელი ვათამაშო, ასეა ყველა კლუბში. ერთი სიტყვით, როინ კვასხვაძეში საკმაო პერსპექტივას ვხედავ... დაკვირვებას იმსახურებს გიორგი მაკარიძეც. მას ნათამაშები აქვს უკვე ეროვნულში და ვიცით, მასაც კარგი მონაცემები აქვს...

**- ზოგი მაკარიძეზე ამბობს ეროვნულში ნაადრევად მოუწია თამაშმაო...**



- არა, ეს საზიანო ნამდვილად არაა, უკეთესია, მეტ გამოცდილებას შეიძენს... უშუალოდ მაკარიძეზე არ ვამბობ, ყველა ახალგაზრდას ეხება, ვისაც ეროვნულში თამაშის შანსი მიეცემა, მათ გასაგონად მინდა ვთქვა - ასეთი შანსი ვინმეს რომ მიეცემა, ეიფორიაში არ უნდა ჩავარდეს და კარიერის მიზანი მიღწეულად არ უნდა ჩათვალოს, არ უნდა მოდუნდეს... პირიქით, მეტი უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე რომ ეს ბოძებული შანსი გამოიყენოს... ასე რომ, მაკარიძისთვისაც ადრე არ ყოფილა ეროვნულში თამაში და ეს საზიანო არაა. ამის დასტურად ანანიძის, ყენიას, მჭედლიძის მაგალითს მოვიყვანდი. ისინიც მაკარიძის ასაკში გამოიძახეს ეროვნულში, ხომ გაართვეს თავი, ხომ გამოიყენეს კუთვნილი შანსი... „ბაიას“ მეკარე მაქაცარიასაც აქებენ, ის ჯერ პატარა ასაკისაა და დაკვირვებაა საჭირო... ბევრს აქვს ეროვნულში თამაშის პრეტენზია. ასეა ჩემს, 21-წლამდელთა ნაკრებზეც... ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე რომ ვიყავით მიწვეულები, იმ დროისათვის ძირითადი ბირთვის გამოძახება არ შემეძლო, ფიფას თარიღი არ იყო და იმიტომ. უარი არ მითქვამს ამ ტურნირში მონაწილეობაზე. ის კონტინგენტი წავიყვანე, ვისაც ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის პრეტენზია ჰქონდა და ვისზეც იწერებოდა ან მეუბნებოდნენ, ნაკრებში ესა თუ ის ფეხბურთელი რატომ არ გასინჯეო. ამ კონტინგენტს ბულგარეთში ერთი კი არა სამი მატჩი ჰქონდა საკუთარი შესაძლებლობების წარმოსაჩენად. ყველა გამოვცადეთ და ყველა დარწმუნდა, რომ არ იყვნენ იმ დონის ფეხბურთელები, როგორიც პრეტენზია ჰქონდათ.

**- ეროვნულმა ნაკრებმა შესარჩევ ციკლში ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა, ამჯერად მოგების გარეშე. ამ ფიასკოში რამდენი პროცენტი იყო მეკარის წვლილი?**

- ყველაფერს მეკარეებს ნუ დავაბრალებთ... რაც შეეხება კითხვას, ალბათ 20-30 % იყო მეკარის წვლილი. 1984 წლის ფინალში ესპანეთის მეკარე არკონადას ილლიაში გაუძვრა ბურთი და ფრანგები ჩემპიონები გახდნენ. გოლკიპერების არასტაბილურმა თამაში მხოლოდ ეს მაჩვენებელია და მეტი არა. ესაა მეკარეების წვილილი პროცენტულად, მაგრამ დანარჩენი? დანარჩენი ხომ მოედნის მოთამაშეებზე მოდის.

**- 3-4 წლის წინ, მეკარის ნატურალიზაციაზე იყო საუბარი, კონკრეტული კანდიდატის, გერმანელი ალექსანდერ ბადეს გაქართველება შეიძლებოდა, მაგრამ თქვენ და სხვა ვეტერანი ფეხბურთელები ამის წინაალმდეგი იყავით. დღეს რას ფიქრობთ?**

- ზემოთაც ვთქვი, ყოველთვის მეკარეების დამცველი ვიყავი-თქო. ახლაც ასეა, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ მხოლოდ მეკარის კი არა სხვა ამპლუის ფეხბურთელების ნატურალიზაციაც გვჭირდება. ეროვნულ ნაკრებში 4-5 მაღალი კლასის ფეხბურთელი საკმარისი არაა. კალაძე, კობიაშვილი, ასათიანი, ხიზანიშვილი, იაშვილი... ამათ გვერდით ნატურალიზებული კიდევ 3-4 კარგი ფეხბურთელი რომ გვყავდეს, მართლაც ძლიერი ნაკრები გვეყოლება... ეროვნულის თავკაცი რომ ვყოფილიყავი, მაქსიმალურად გამოვიყენებდი ჩვენს რესურსს. თუ ლეგიონერი სტაბილურად თამაშობს უცხოურ კლუბში, ასაკს ყურადღება არ უნდა მიაქციო, ის გამოგადგება. ჩვენს ჩემპიონატს იგნორირებას არ ვუწევ, მაგრამ თუ აქაური კლუბის ფეხბურთელი და ლეგიონერი ერთ დონეზე არიან, მაინც იმ ლეგიონერს ვამჯობინებდი...

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ ჩვენი პირველობა, ასე ვთქვათ მატყუარა ჩემპიონატია, აქედან წამოსული ფეხბურთელის დონე ყოველთვის გატყუებს. ამის დასტურად ერთს ვიტყოდი, ეროვნულში იმ კლუბებიდან არიან ფეხბურთელები, რომლებიც მოწინავეები არიან და სტაბილური ასპარეზობით გამოირჩევიან.

» მე-5 გვერდზე

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

## უჩა ლობჟანიძე

# სტადიონზე მოსული ქომაგი არ ინანებს

## ლობჟანიძისთვის სოფიის მატჩი უმძიმესი გასახსენებელია

ახლოვდება ეროვნული ჩემპიონატის XIV ტური, რომლის ცენტრალური დაპირისპირებაც ხვალ გაიმართება. „დინამოსა" და „ზესტაფონის" მატჩები ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და გამონაკლისი არც ხვალინდელი თამაში იქნება. ეს შეხვედრა ხომ ორივე გუნდისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. წარუმატებლობის შემთხვევაში, „ზესტაფონი" ლიდერობას დაკარგავს, „დინამო" კი ისედაც სათუო საჩემპიონო პერსპექტივას, ფაქტობრივად, ბოლომდე დაკარგავს.

ბუნებრივია, ორივე გუნდის ფეხბურთელები მატჩის მნიშვნელობას კარგად აცნობიერებენ. მასპინძლებსაც და სტუმრებსაც გამარჯვების იმედი აქვთ. „ლელო" „ზესტაფონისა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველ, უჩა ლობჟანიძეს ესაუბრა.

**- ბოლო მატჩი „ზესტაფონმა" ძალიან შთამბეჭდავად ჩაატარა. ელოდი, რომ თასის მეოთხედფინალში „ვიტ ჯორჯიას" ასეთი უპირატესობით დაამარცხებდით?**

- ნილისყრამ მეოთხედფინალში საკმაოდ ძლიერი მეტოქე გვარგუნა და აქედან გამომდინარე, ყველანი დიდ ბრძოლას ველოდით. უბრძოლველად ნამდვილად არ მოგვიგია, მაგრამ ანგარიშიდანაც ჩანს, რომ „ვიტ ჯორჯიას" დამაჯერებლად ვაჯობეთ.

**- „დინამოსთან" მატჩისთვის მზადების პროცესი როგორ მიმდინარეობს?**

- ჩვეულებისამებრ, ზესტაფონში ვემზადებით, თბილისში კი თამაშის წინა დღეს ჩავდივართ. საბედნიეროდ, ყველა ფეხბურთელი მწყობრშია და „დინამოს" ოპტიმალური შემადგენლობით შევებრძოლებით.

**- სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე ორივე გუნდს გამარჯვება სჭირდება...**

- ასეა და ძალ-ღონეს არ დავიშურებთ იმისთვის, რომ ეს მატჩიც მოვიგოთ. ბუნებრივია, ეს იოლი არ იქნება, მაგრამ ჩვენს შესაძლებლობებში დარწმუნებულები ვართ და გამარჯვების ძალაც შეგვწევს.

**- „ზესტაფონის" გამარჯვების შემთხვევაში, „დინამო" საბოლოოდ ჩამოსცილდება „ზესტაფონის" კონკურენტთა რიცხვს?**

- რთული სათქმელია... წინ სეზონის დიდი ნაწილია დარჩენილი და შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს. თუმცა ფაქტია, რომ კიდევ ერთი მარცხი „დინამოს" კიდევ უფრო დაუმძიმებს მდგომარეობას. ქულების დაკარგვა არც ჩვენს გეგმებში შედის. დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგი თამაში იქნება, სტადიონზე მოსული გულშემატკივარი არ ინანებს. ორივე გუნდის ფეხბურთელები მათთვის კარგი ფეხბურთის ჩვენებას ვეცდებით.

**- ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტებად ვინ მიგაჩნია?**



უჩა ლობჟანიძე (№3) დინამოსთან რთულ მატჩს ელის

- დღეისათვის, „ზესტაფონთან" ერთად, ყველაზე შედეგიანად „ოლიმპი" და „ვიტ ჯორჯია" თამაშობენ და ამიტომაც მთავარ მეტოქეებად მას დავასახელებდი. ფავორიტთა სიას „დინამოც" არ უნდა გამოვაკლოთ, რომელიც ალბათ, მალე უფრო შედეგიანად ათამაშდება.

**- „ზესტაფონი" ორივე ფრონტზე წარმატებით თამაშობს და ალბათ, „დუბლზეც" ფიქრობთ.**

- რა თქმა უნდა. ჩვენ ამბიციური გუნდი გვყავს და მიზნად საქართველოს ჩემპიონობასა და თასის მოპოვებას ვისახავთ. ვგრძნობთ, რომ ორივე ტიტულის მოგება შეგვიძლია და ამისთვის დიდი შემართებით ვიბრძოლებთ.

**- ბოლოს სანაკრებო ამბებიც გავიხსენოთ. სოფიაში შენც ითამაშე...**

- ის მატჩი ჩემთვისაც და ნაკრების ყველა წევრისთვისაც უმძიმესი გასახსენებელია. მომხდარით ყველანი გაოგნებულები ვართ. არაფერი მოასწავებდა იმას, რომ ასე საშინლად გავნადგურებულიყავით. პირადად მე ვერაფრით ამიხსნია, რატომ დაგვემართა ასეთი რამ. ქართველ გულშემატკივრებს მომხდარის გამო ბოდიშს ვუხდი.

**- როგორ წარმოგიდგენია საქართველოს ნაკრების მომავალი და ამ გუნდში საკუთარ ადგილს თუ ხედავ?**

- იმედი მაქვს, ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით უფრო მეტს მივაღწევთ. თუმცა კუპერზე ცუდს ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი. მან ბევრი იშრომა და ცდა არ დაუკლია, რომ საქართველოს ნაკრებს შედეგისთვის მიეღწია. პირადად მე მის მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მან მომცა ნაკრებში დამკვიდრების შანსი და ხელი შეუწყო ჩემს პროფესიულ ზრდას. ნაკრებში მოხვედრა კი გარანტირებული არავის აქვს და ძალიან ბევრს ვიშრომებ, ახალმა მწვრთნელმაც რომ მიმიჩნიოს სანაკრებო დონის ფეხბურთელად.

**- ანგარიშში სამბურთიანი სხვაობა რამ განაპირობა?**

- ვერაფრით წარმოვიდგენდით, რომ ისეთი დისციპლინირებული გუნდი, როგორიც „ვიტ ჯორჯიაა", ამდენ უხეშ შეცდომას დაუშვებდა. ჩვენ სრულად ვიყავით კონცენტრირებულნი და საკუთარი შანსები კარგად გამოვიყენეთ. მოკლედ, „ზესტაფონმა" დამსახურებულად გაიმარჯვა და ჩვენი ქომაგები ლამაზი და შედეგიანი თამაშით გავახარეთ.

**- ბევრს ამ წყვილიდან ნახევარფინალისტის ბედი უკვე გადაწყვეტილად მიაჩნია.**

- არა, ასე ნამდვილად არაა. „ვიტ ჯორჯია" ასეთ შეცდომებს აღარ დაუშვებს და ყველანაირად შეეცდება ნახევარფინალში გასვლას. ბუნებრივია, 3:0-ის შემდეგ, ნახევარფინალში გასვლის გაცილებით დიდი შანსი „ზესტაფონს" აქვს, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ განმეორებით მატჩში დიდი ბრძოლის გადატანა მოგვიწევს.

**- თასის მეოთხედფინალამდე ბოლნისის „სიონიც" 3:0 გაანადგურეთ.**

- „სიონი" სულაც არ არის ურიგო გუნდი, მაგრამ დღეისათვის „ზესტაფონს" გაცილებით მაღალი კლასი აქვს და სწორედ ამის ხარჯზე დაგეგმილი სამი ქულა მშვიდად მოვიპოვეთ.

**- გადავიდეთ მოახლოებულ შეხვედრაზე. ალბათ, რთულია დროის მცირე მონაკვეთში ჯერ „ვიტ ჯორჯიასთან", შემდეგ კი „დინამოსთან" დაპირისპირება.**

- სასურველი იქნებოდა, ამ მატჩებს შორის უფრო მეტი დრო რომ ყოფილიყო, მაგრამ როგორც ჩანს, სხვაგვარად არ ხერხდებოდა. არა უშავს, ფიზიკურად კარგად ვართ მომზადებულები და ამ დატვირთვას გავუმკლავდებით. ამასაც რომ თავი დავანებოთ, „დინამომაც" რთული შეხვედრა ჩაატარა საჩხერეში და „ზესტაფონთან" შედარებით, პრივილეგირებულ მდგომარეობაში ნამდვილად არ იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჩვენი აღარ არის. მორჩა...



ასე დახვდნენ ექტორ კუპერს საბერძნეთში...

# კუპერი მარსზე 550 ათას ევროდ

## ბერძნებმა, ქეცბაია საქართველოს ნაკრებში 3,5 მილიონ ევროს მიიღებსო...

მას შემდეგ, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი ნაადრევად შეწყვიტა, **ექტორ რაულ კუპერი** საბერძნეთში გაემგზავრა და გუშინ საღამოს სალონიკის „არისთან" ხელშეკრულებაც გააფორმა. გამოდის, რომ საქართველოს ნაკრების წინა თავკაცისგან განსხვავებით, რომელიც ახლაც უმუშევარია, არგენტინელი სულ რაღაც 24 საათი იყო დაუსაქმებელი. კუპერს საკმაოდ თბილი დახვედრა მოუწყეს სალონიკის აეროპორტში, ფანები (დაახლოებით ათასი კაცი) მას არგენტინის დროშებით დახვდნენ და „არისის" ყვითელი შარფი მოახვიეს.

*„დიდი ენთუზიაზმით ჩამოვედი თქვენთან, დიდი ოცნება მაქვს გუნდთან ერთად. ძალიან ბედნიერი ვარ და ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენი მიზანი იქნება, რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ საბერძნეთის ჩემპიონატში. ფანებს დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საოცრად თბილი და მოულოდნელი დახვედრისთვის"*, - განაცხადა ჩვენი ნაკრების ექსთავკაცმა.

კუპერმა „არისთან" ისეთი ხელშეკრულება გააფორმა, რომელსაც ივნისში გასდის ვადა, თუმცა კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულება შეიძლება გაგრძელდეს. არგენტინელი 550 ათას ევროს მიიღებს (მისი თანაშემწეები **პუებლა** და **ფანტაგუცი** ჯამში 150 ათასი ევროთი დაკმაყოფილდებიან), რაც დაახლოებით 70 ათასი ევროა საშუალოდ თვეში. დღეს მისი პრეზენტაცია შედგება, ის პირველად გაიყვანს გუნდს სავარჯიშოდ და შაბათს „კავალასთან" დებიუტიც ექნება.

„არისი" საბერძნეთის ხუთ ყველაზე პოპულარულ კლუბშია, ბერძნული ღვთაების სახელის მქონე (რომლის რომაული შესატყვისი მარსია) გუნდი დღეისათვის 14 ქულით მე-4 ადგილზეა ბერძნულ სუპერლიგაში. კუპერი უცხოდ არ იგრძნობს გუნდში თავს, რადგან „არისში" 6 (!) არგენტინელი თამაშობს, ამას დავუმატოთ სამი ესპანელი და ერთი ურუგვაელი და გამოვა, რომ მას თარჯიმანიც იშვიათად დასჭირდება. გუნდში სულ 8 ბერძენი ირიცხება, აქედან შემადგენლობაში 3-4 თუ ხვდება.

სხვათა შორის, ბერძნულ მედიაში მხოლოდ კუპერის „არისში" დანიშვნის თემა არ არის აქტუალური, ბერძნები დიდ ყურადღებას აქცევენ საქართველოს ნაკრებსაც. ბუნებრივია, ეს **თემურ ქეცბაიას** პერსონითაა გამოწვეული. „სპორტსნეტი", „სპორტი", „გაზეტა" და სხვები ერთხმად აღნიშნავენ, რომ უახლოეს საათებში ქეცბაიას ოფიციალურად წარადგენენ საქართველოს ნაკრების თავკაცად. ბერძნები კონკრეტულ თანხასაც ასახელებენ - ქეცბაია ოთხწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 3,5 მილიონ ევროს მიიღებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრანსფერი

# კანუ დინამოში?

## ლონლაძე: მაშალის ფული დინამოს ვერ გადაწონის

თბილისის „დინამოში" მწვავე საკადრო პრობლემებია - გუნდიდან გაუშვეს ყოფილი კაპიტანი **დავით დიღმელაშვილი**, **გია ნერგაძის** დუბლებში დასჯის მიზნით გადაიყვანეს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კონტრაქტის გაგრძელება, შესაძლოა, აღარ ისურვოს.

ტრავმირებულია წამყვან ფეხბურთელთა ოთხეული - **გიორგი მერებაშვილს** საზარდული აქვს გაჭიმული, **მათე ვაწაძეს** ფეხი სტკივა, **ნიკა ფირცხალავას** ისევ მენისკი აწუხებს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორჯერ ოპერაცია გაიკეთა, ტრავმა მიიღო **ლევან ხმალაძემაც...** მოკლედ, გუნდი კატასტროფულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ჩვენი რეალობიდან გამომდინარე კი, ერთდროულად ამდენი წამყვანი ფეხბურთელის შეცვლა, შეუძლებელია.

რამდენიმე ფეხბურთელს „დინამოსთან" კონტრაქტი უმთავრდება და ბუნებრივია, მათი შემცვლელი ისედაც მოსაძებნია. ვერ გეტყვით, რამდენად მართალია, მაგრამ ასეთი ინფორმაცია შევიტყვეთ - თითქოს, „დინამოში" 23 წლის თავდამსხმელის, უზბეკეთში მოთამაშე **მამუკა ლონლაძის** მიწვევას აპირებენ. ეს ის თავდამსხმელია, რომელიც ცხინვალის „სპარტაკში" თამაშობდა და „დინამოს" კარში გოლებიც გაჰქონდა...

იანვარში ლონლაძემ უზბეკეთის უმაღლესი დივიზიონის კლუბ მუბარაქის „მაშალისთან" კონტრაქტი ოპციონის სისტემით (1+1) გააფორმა. ამჟამად, „კანუ" (ლონლაძის მეტსახელი) საქართველოში მკურნალობს და ინფორმაციაც სწორედ მასთან გადავამოწმეთ:



მამუკა ლონლაძე

*„რა დასამალია და, ეს მეც შევიტყვე, მაგრამ ვერ გეტყვით, „დინამოში" ჩემი გადასვლა რამდენად რეალურია. პირადად მე, გუნდიდან არავინ დამკავშირებია, მაგრამ მეორე მხრივ, თუ რეალური ინტერესი იქნა, უზბეკეთიდან სიამოვნებით წამოვიდოდი, მიუხედავად იმისა, რომ იქ საქართველოზე შეუდარებლად უკეთესი პირობებია. „დინამო" სულ სხვა სახელია, რომელსაც „მაშალის" ფულს ვერასდროს ვამჯობინებ. სხვათა შორის, თბილისელთა ინტერესზე პირველად ჯერ კიდევ ქუთაისის „ტორპედოში" გამოსვლის დროს მითხრეს, დუშან უჰრინს ერთი თვის განმავლობაში სურდა ჩემზე დაკვირვება, მაგრამ ასეთ გაურკვევლობას, ნაღდი ვარიანტი მერჩივნა, თორემ ისიც მითხრეს, რომ ბაზაზე ვიცხოვრებდი".*

ზაფხულში მამუკა უზბეკების ჩინურ შეკრებაზე მოიწამლა და მას მერე მკურნალობდა. ახლა კი მომჯობინდა და როგორც გვითხრა, წყალტუბოში ფიზმომზადების მწვრთნელთან ემზადება.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ნაკრები

პირველიდან დღემდე

# გზა უფსკრულისკენ



ვლადიმერ გუცაევი



იოჰან ბოსკამპი



ივო შუშაკი

*გაგრძელება. დასაწყისი, ლელო № 261 (12940)*

## პირველი იმედგაცრუება

დავით ყიფიანის ადგილი ვის უნდა დაეკავებინა, თუ არა წარსულის კიდევ ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს **ვლადიმერ გუცაევს**; ამ უკანასკნელმა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში წარმატებით იმუშავა და **ნოდარ ახალკაცმა**-უფროსმაც ახლა უფრო დიდი ნდობა გამოუცხადა. იმაშიც დარწმუნებული ვიყავით, რომ გუცაევი თავის გამოჩენის შანსს ბევრ იმ ფეხბურთელს მისცემდა, ვისთანაც ახალგაზრდულში მუშაობდა; ასეც მოხდა: ეროვნულ ნაკრებში სადებიუტო შეხვედრები სწორედ გუცაევის ხელმძღვანელობით ჩაატარეს **დავით გვარამაძემ, ლევან სილაგაძემ, მამუკა წერეთელმა, ალექსანდრე იაშვილმა, გიორგი დემეტრაძემ, გივი დიდავამ, ალექსანდრე რეხვიაშვილმა, რატი ალექსიძემ**. ამას გარდა, კენჭყისყრისას არასდროს ისე არ გაგვმართლებია, როგორც ეს 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წინ მოხდა. ჰო, წინა ორი ციკლისაგან განსხვავებით, როცა ჯგუფში, სულ მცირე, სამ-სამი აშკარა ფავორიტი იყო, ამჯერად, თითქმის ერთნაირი და, რაც მთავარია, საშუალო სიძლიერის გუნდებს „დავეჯახეთ“. სტარტი წარმატებული გამოდგა: შეცვლაზე შემოსული **არჩილ არველაძის** ერთადერთი გოლის წყალობით თბილისში ალბანეთს მოვუგეთ. ქართველი ქომაგის ოპტიმიზს ისიც ემატებოდა, რომ ალბანეთთან შეხვედრამდე ჩვენმა ნაკრებმა საკმაოდ წარმატებულად იასპარეზა ამხანაგურ შეხვედრებში, თუმცა ამის მერე ყველაფერი აირია: 1998 წლის შემოდგომაზე სტუმრად ორივე მატჩი წავაგეთ (ლატვიასთან და საბერძნეთთან). მომდევნო წლის გაზაფხულზე კი, თბილისში ორ საშინაო შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულა ავიღეთ. განსაკუთრებით სამარცხვინო ნორვეგიელებთან დიდი ანგარიშით (1:4) წაგება იყო, რის შემდეგაც გუცაევმა თანამდებობა დატოვა. მის ნაცვლად კი, უცხოელი სპეციალისტი დაინიშნა — ჰოლანდიელი **იოჰან ბოსკამპი**, რომელმაც დარჩენილ ხუთ მატჩში უფრო უარესი შედეგი უჩვენა (1 ფრე და ოთხი წაგება).

ბოსკამპმა ნამდვილი „რევოლუცია“ მოინდომა ქართულ ფეხბურთში, მაგრამ მუდამ ჩვენი მენტალიტეტის გამაკრიტიკებელ ჰოლანდიელს არაფერი გამოუვიდა. ბოსკამპზე, მართლაც, ვერავინ იტყვის, ფეხბურთი არ ესმოდაო, პირიქით, აშკარად მცოდნე სპეციალისტი ჩანდა, მაგრამ, ფაქტია, რომ შედეგი ვერ უჩვენა. ისე კი, ნაკრების სათავეში მცირე ხნის განმავლობაში ბევრი გააკვირვა, როცა ყველასათვის უცნობ და სრულიად ჭაბუკ ფეხბურთელებთან (**ზურაბ ხიზანიშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი**) ერთად, ნაკრებში საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე მოთამაშეებსაც (**ახვლედიანი, ქიჭვეიშვილი, სიჭინავა, ჭანტურია**) უდიდეს ნდობას უცხადებდა. საერთო ჯამში კი, იმ შესარჩევ ციკლში ჩვენს ნაკრებში... 40-მა ფეხბურთელმა იასპარეზა; საბოლოო შედეგი კი, მართლაც, კატასტროფული იყო — აშკარად სუსტ ჯგუფში ბოლო ადგილი!

## ერთ მდინარეში ორჯერ არ შედიან

...1999 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს ნაკრები ტირანაში ალბანელებთან დამარცხდა და ბოსკამპიც იქიდანვე გაემგზავრა სამშობლოში. მომავალი წლის დასაწყისამდე ჩვენს ნაკრებს მწვრთნელი არ ჰყავდა და აი, ერთდროულად ორი თავკაციც დაუნიშნეს — **დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი!** ყველაზე მთავარი ის იყო, რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყებამდე თითქმის ათი თვე იყო დარჩენილი და ჩვენი ნაკრების მწვრთნელთა „ტანდემმა“ ეს დრო მაქსიმალურად გამოიყენა — ამ ხნის განმავლობაში რვა ამხანაგური მატჩი ჩაატარეს. შესარჩევი ციკლი ჩინებულად დავიწყეთ: სტუმრად ლიტვას დიდი ანგარიშით (4:0) მოვუგეთ; თანაც, ფაქტობრივად, ძველი ბირთვი (**ქეცბაია, ქინქლაძე, ნემსაძე, ჯამარაული, არველაძე**) უცვლელი დარჩა; ეგ კი არა, ნაკრებში, თავდაპირველად მხოლოდ ერთადერთი დებიუტანტი (**ზურაბ მენთეშაშვილი**) თამაშობდა და ციკლის ბოლომდე მხოლოდ ხუთილა (**რევაზ ქემოკლიძე, სევასტი თოდუა, ედიკ საჯაია, ვალერი აბრამიძე, ლადო ბურდული**) დაემატა. სამწუხაროდ, ლიტვასთან მოგებას... ზედიზედ ოთხი მარცხი მოჰყვა: ჯგუფის ფავორიტმა იტალიამ ორივე შეხვედრაში დიდი ვერაფრით გვაჯობა, მაგრამ, ტრადიციულად, თავისთვის სასურველი შედეგით დაასრულა ის მატჩები (ორივეჯერ — 2:1 მოგვიგო); აი, რუმინეთთან საშინაო მარცხისა და განსაკუთრებით, უნგრეთში დიდი ანგარიშით წაგების (1:4) შემდეგ, ყიფიანი-ძოძუაშვილის „დუეტს“ კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა; დავით ყიფიანი პოსტიდან საკუთარი სურვილით წავიდა, აი, რევაზ ძოძუაშვილი კი ცდილობდა დაერწმუნებინა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელი ხელმძღვანელები, რომ მისი ხელმძღვანელობით ნაკრები პროგრესს მიაღწევდა...

... ძოძუაშვილს არ დაუჯერეს და ნაკრების გაწვრთნა კვლავ **ალექსანდრე ჩივაძეს** მიანდეს; ის შესარჩევი ციკლიც, მეტ-ნაკლებად კი არა, წარმატებული ასპარეზობით დავასრულეთ: ბოლო სამი შეხვედრიდან ორში გავიმარჯვეთ და ერთიც ფრედ დავამთავრეთ. საბოლოოდ კი, საქართველოს ნაკრებმა ქვეჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა. საინტერესო იყო ის ფაქტიც, რომ იმ რვა ოფიციალურ შეხვედრაში, ყიფიანი-ძოძუაშვილის „ტანდემმა“ და შემდეგ — ჩივაძემაც, მხოლოდ 26 ფეხბურთელი ათამაშა. ანუ, ისე როგორც პირველ და მეორე შესარჩევ ციკლში, ამ შემთხვევაშიც საქართველოს ნაკრები... „საექსპერიმენტო პოლიგონად“ გადაქცეული ნამდვილად არ იყო...

ჩივაძის წარმატებულმა დაბრუნებამ ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებსაც დიდი იმედი ჩაუსახა; მით უმეტეს, რომ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კენჭისყრის შედეგად არცთუ რთული ჯგუფი გვერგო; ფაქტობრივად, გამოკვეთილი ფავორიტი არავინ უნდა ყოფილიყო, უბრალოდ, რუსეთის ნაკრებთან ერთად მოხვედრა განსაკუთრებულ ინტრიგას გვპირდებოდა. სამწუხაროდ, შესარჩევის სტარტი კატასტროფული გამოდგა — თურქეთსა და შვეიცარიაში ორივე მატჩი დიდი ანგარიშით წავაგეთ! ამას უკვე 2003 წლის გაზაფხულზე ირლანდიასთან საშინაო მარცხიც მოჰყვა და ჩივაძემაც... ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტა; ოღონდ, ნაკრებიდან მაინც ღირსეულად წავიდა — ჩვენმა ნაკრებმა შვეიცარიასთან ფრედ (0:0) ითამაშა და იმ მატჩში შედგა კიდეც **დავით კვირკველიას** სანაკრებო დებიუტი.

მომდევნო შეხვედრამდე დრო ძალიან ცოტა რჩებოდა; არადა, მომდევნო მეტოქე... რუსეთის ნაკრები უნდა ყოფილიყო და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ჩვენი უპირველესი გუნდის გაძღოლა თბილისის „დინამოს“ იმდროინდელ თავკაცს **ივო შუშაკს** მიანდო. 2003 წლის 30 აპრილი ყოველთვის დარჩება ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ განსაკუთრებულ თარიღად — ნაკრების დებიუტანტის, **მალხაზ ასათიანის** ერთადერთი გოლის წყალობით ჩვენმა ნაკრებმა რუსეთი დაამარცხა! შუშაკმა კიდევ ერთ მატჩში უხელმძღვანელა საქართველოს ნაკრებს და მისი სურვილის მიუხედავად, შემოთავაზება აღარ მიუღია. არადა, შესარჩევი ციკლის დასრულებამდე კიდევ სამი მატჩი იყო ჩასატარებელი და ამ შეხვედრაში ჩვენი ნაკრების გაძღოლა... საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **მერაბ ჟორდანიამ** ითავა! ჟორდანიამ ასისტენტებად **თემურ ქეცბაია** და **მიხეილ ყაველაშვილი** მოიწვია, ნაკრებში შვეიცარიიდან ფიზმომზადების მწვრთნელიც ჩამოიყვანა, მაგრამ იმ სამი შეხვედრიდან საქართველოს ნაკრებმა ერთი მოიგო, ორი წააგო და საბოლოოდ ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა. ისე, მართლაც, უცნაურზე მეტი იყო — იმ დროისათვის საქართველოს ნაკრებს ხუთი შესარჩევი ციკლი ჰქონდა ჩატარებული და აქედან ორჯერ გავიდა ბოლო ადგილზე; თან, ორივეჯერ იმ შემთხვევაში მოხდა, როცა აშკარად სუსტი მეტოქეები გვყავდა; თუმცა, ჯერ სად ვიყავით — იმედგაცრუება და უარესი შედეგები კიდევ წინ გველოდა. აქვე, ერთი საინტერესო დეტალიც: მეხუთე შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებს სამი სხვადასხვა მწვრთნელი მოძღვრავდა და რვა ჩატარებულ შეხვედრაში მონაწილეობა მხოლოდ 28 ფეხბურთელმა მიიღო!..

**გია ტუხაშვილი**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**2000. ევროპის ჩემპიონატი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნორვეგია | 10 | 8 | 1 | 1 | 21-9 | 25 |
| 2. სლოვენია | 10 | 5 | 2 | 3 | 12-14 | 17 |
| 3. საბერძნეთი | 10 | 4 | 3 | 3 | 13-8 | 15 |
| 4. ლატვია | 10 | 3 | 4 | 3 | 13-12 | 13 |
| 5. ალბანეთი | 10 | 1 | 4 | 5 | 8-14 | 7 |
| 6. საქართველო | 10 | 1 | 2 | 7 | 8-18 | 5 |

**2002. მსოფლიოს ჩემპიონატი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 8 | 6 | 2 | 0 | 16-3 | 20 |
| 2. რუმინეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 10-7 | 16 |
| 3. საქართველო | 8 | 3 | 1 | 4 | 12-12 | 10 |
| 4. უნგრეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 14-13 | 8 |
| 5. ლიტვა | 8 | 0 | 2 | 6 | 3-20 | 2 |

**2004. ევროპის ჩემპიონატი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 8 | 4 | 3 | 1 | 15-11 | 15 |
| 2. რუსეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 19-12 | 14 |
| 3. ირლანდია | 8 | 3 | 2 | 3 | 10-11 | 11 |
| 4. ალბანეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 11-15 | 8 |
| 5. საქართველო | 8 | 2 | 1 | 5 | 8-14 | 7 |

**ყველა მწვრთნელის მონაცემი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ალექსანდრე ჩივაძე | 35 | 13 | 4 | 18 | 43-51 | 43 | 40.9 |
| კლაუს ტოპმიოლერი | 24 | 6 | 4 | 14 | 26-35 | 22 | 30.5 |
| ექტორ კუპერი | 16 | 1 | 4 | 11 | 13-30 | 7 | 14.5 |
| დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი | 16 | 5 | 5 | 6 | 17-18 | 20 | 41.6 |
| ვლადიმერ გუცაევი | 15 | 5 | 3 | 7 | 20-26 | 18 | 40.0 |
| ალენ ჟირესი | 10 | 2 | 2 | 6 | 11-18 | 8 | 26.6 |
| დავით ყიფიანი | 7 | 4 | 1 | 2 | 14-6 | 13 | 61.9 |
| გაიოზ დარსაძე | 7 | 2 | 2 | 3 | 9-17 | 8 | 38.0 |
| იოჰან ბოსკამპი | 5 | 0 | 1 | 4 | 5-9 | 1 | 00.6 |
| გიგა ნორაკიძე | 4 | 2 | 0 | 2 | 10-7 | 6 | 50.0 |
| მერაბ ჟორდანია | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 | 33.3 |
| გოჩა ტყებუჩავა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 | 00.0 |
| ივო შუშაკი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 | 50.0 |
| პეტარ შეგრტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 | 16.6 |
| გივი ნოდია | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 | 33.3 |
| გიგლა იმნაძე | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0.00 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ გავაქართველოთ? იტალიელი თუ გერმანელი?

<< მეორე გვერდიდან

თუმცა ეროვნულ ნაკრებში იმაზე გაცილებით ნაკლებს აკეთებენ, რასაც ჩვენს პირველობაზე.

**- ნატურალიზაციას ეთანხმებით. მაინც რომელი ქვეყნის სამეკარეო სკოლის წარმომადგენლებს ამჯობინებდით ეროვნულ გუნდში?**

- იტალიას ყველაზე უკეთესი მეკარეები ჰყავს. რუსეთშიც არიან კარგი მეკარეები, მაგრამ იტალიელი მეკარე სჯობს ჩვენი ნაკრებისთვის. სხვა თუ არაფერი, იტალიელიც სამხრეთელია, სამხრეთელებთან კი ბევრი გვაქვს საერთო.

## ასლან ბალაძე:

- აშკარად ჩანს, რომ ნაკრების მეკარეების თამადობით, ჩვენში ყველა კარის დარაჯს, საკუთარ თავზე დიდი მუშაობა ესაჭიროება. ლომაია ლეგიონერია და მის გარდა ეროვნულში გამოძახებული ბედიაშვილი და მამალაძე, ჩვენს პირველობაზე სტაბილური თამაშით გამოირჩეოდნენ...

**- თუმცა ოთარ გაბელიამ თქვა, რომ ჩვენი პირველობა მატყუარა ჩემპიონატიაო...**

- ოთარს ვეთანხმები, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ მეკარეებს ჩვენი პირველობის გარდა, ევროტურნირებზეც უწევთ ასპარეზობა... მაგრამ როგორც ჩანს, ეს საკმარისი არაა. ჩვენს მეკარეებს თავდაჯერებულობა აკლიათ... ისიც ფაქტია, რომ საშუალო დონის ნაკრების მეკარეები თავიანთ ჩემპიონატებში ასპარეზობენ, რომელიც დონით არ გამოირჩევა, მაგრამ ნაკრებში საიმედოდ გამოიყურებიან.

**- მაინც რა კომპონენტში მოიკოჭლებენ ჩვენი მეკარეები?**

- „აქილევსის ქუსლი" გამოსვლაზე და ფეხით თამაშია. ამ კომპონენტის დახვეწა დიდ მუშაობას მოითხოვს. ეს პრობლემა მე რომ ვთამაშობდი, მაშინაც ჰქონდათ ქართველ მეკარეებს. ეს ის ნაკლია, რომლის გამოსწორება შესაძლებელია. მთავარია, მეკარეებმა გული არ გაიტეხონ და საკუთარ თავზე ბევრი იმუშაონ.

**- ეროვნულისთვის ვის კანდიდატურას დაასახელებდით?**

- უპირველესად როინ კვასხვაძეს, მას მეტი ნდობა სჭირდება, საკმაოდ კარგი მონაცემები აქვს და კარგი მეკარე დადგება. თევდორაძეც გამორჩეულია, მაგრამ მასაც ბევრი მუშაობა სჭირდება... მაკარიძის მივიწყებაც არ შეიძლება, ის ჭაბუკთა ნაკრებში ჩემთან იყო და მისი შესაძლებლობები კარგად ვიცი. მაკარიძესაც მეტი ნდობა სჭირდებოდა, როგორც კლუბში, ასევე ნაკრებში. მას აქვს პოტენციალი, რომ კარგ მეკარედ ჩამოყალიბდეს... სხვა გოლკიპერებს ყურადღება და დაკვირვება სჭირდებათ. ასეთებად 19-წლამდელთა ნაკრების მეკარეებს გიორგი ნიორაძესა და კახა მეშველიანს დავასახელებდი. პირველი 35-ე საფეხბურთო სკოლაშია, მეორე კი „ზესტაფონმა" ამ ზაფხულს დაიმატა. სიმაღლე და მონაცემები ჩინებული აქვთ... ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, გიორგი ბახტაძე, ის 17-წლამდელებში ადრე თამაშობდა, ახლა თუ არ ვცდები 21-წლამდელთა ასაკისაა. ბახტაძე „დიორ ეტოშია", აღნაგობა კარგი აქვს, შრომისმოყვარეა და პოტენციალი მასაც აქვს... ჩვენი პირველობიდან, მაქსიმე ქვილითაიას გამოვარჩევდი. მე და ოთარ გაბელიამ ერთად ვნახეთ მისი თამაში. სტაბილურად თამაშობს და ვფიქრობ, შანსი მასაც უნდა მიეცეს.



**- ეროვნული ნაკრების წარუმატებლობა რამდენად იყო მეკარის ბრალი?**

- მარტო მეკარის ბრალი არ ყოფილა, კომპლექსური შეცდომების „დამსახურებაა". წარუმატებლობაში კიპერის წვლილი 20-30 %-ზე მეტი ნამდვილად არ არის. მეკარის თამაშს დეტალურად გაანალიზება სჭირდება. გააჩნია, საიდან იწყება მეკარის შეცდომა. ზოგჯერ ისეა, რომ მცველის თავის პოზიციაზე არყოფნის გამო კარის დარაჯი იძულებულია თამაშში ჩაერთოს და ამიტომაც უშვებს შეცდომას.

**- ხედავთ თუ არა მეკარის ნატურალიზაციის აუცილებლობას ეროვნული ნაკრებისთვის?**

- ნატურალიზაცია ჩინებული ვარიანტია და ნამდვილად გვჭირდება. ეს ევროპაში აპრობირებული ვარიანტია, რომელმაც გაამართლა და ჩვენ რატომ უნდა ვთქვათ უარი? „არსენალის" ესპანელ მეკარე მანუელ ალმუნიას ინგლისის ნაკრებში თამაშს სთავაზობდნენ, ასეთი პრეცედენტიც იყო... ჩვენც ვნახოთ კარგი უცხოელი მეკარე და ჩამოვიყვანოთ. მის გვერდით ქართველი მეკარეებიც დაიხვეწებიან.

**- რომელი ქვეყნის სამეკარეო სკოლას გამოარჩევდით?**

- არაერთი გამორჩეული სამეკარეო სკოლაა, მაგრამ გერმანულს გამოვყოფდი. გერმანელებს მტკიცე ხასიათის, მებრძოლი მეკარეები ჰყავთ, შრომისმოყვარეები არიან და ვფიქრობ, ეს ვარიანტი უმჯობესია. ჭაბუკთა ნაკრებებში მუშაობის განმავლობაში, შესარჩევი მატჩებისას ევროპის სხვა ქვეყნების ნორჩ მეკარეებსაც ვაკვირდებოდი და მართალი გითხრათ, თანატოლ ქართველ კიპერებს ვერაფრით სჯობიან. ასე რომ, გერმანელი მეკარე ჩვენს ეროვნულს ნამვილად წაადგება, გააგრძელოს კარიერა გერმანიაში იქნება თუ სხვა ქვეყანაში, მაგრამ გავაქართველოთ და ჩვენი ნაკრების კარი დაიცვას... მეტსაც გეტყვით, 17-19 წლის ანანიძეს, ყენიას, მჭედლიძეს, 30-33 წლის კალაძესთან, კობიაშვილთან, იაშვილთან ერთად უწევთ ნაკრებში თამაში. აშკარად ჩანს, რომ თაობებს შორის ვაკუუმია. იმდენი გამორჩეული და მაღალი კლასის მოთამაშე აღარ გვყავს, როგორც 90-იან წლებში. ეს ვაკუუმი კი ნატურალიზებული ფეხბურთელებით უნდა ამოვავსოთ. ასე რომ, მხოლოდ მეკარე კი არა ყველა პოზიციაზე გვჭირდება კარგი უცხოელი ფეხბურთელის გაქართველება.

**დავით ცაგაძე**

---

ვიტ ჯორჯია

## ბედიაშვილი მალე დაბრუნდება

„ვიტ ჯორჯიასა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარეს, **გრიგოლ ბედიაშვილს** ეროვნული ჩემპიონატისა და თასის ბოლო მატჩები გაუცდა, რაც ტრავმითაა გამოწვეული. ალბათ გახსოვთ, რომ მან ოქტომბერში ნაკრების შეკრებაზე ხელის თითი დაიზიანა. ბედიაშვილი ჯერაც არ გამოჯანმრთელებულა.

იგი კვლავ მკურნალობს, მაგრამ ამავდროულად, გუნდთან ერთად ინტენსიურად ვარჯიშობს და თამაშს დაახლოებით ორ კვირაში შეძლებს. შესაბამისად, 8 ნოემბერს, უმაღლესი ლიგის მორიგ ტურში, სტუმრად „სპარტაკთან" ვეტერინართა კარს კვლავ მისი დუბლიორი **არდალიონ მიქაბერიძე** დაიცავს, ბედიაშვილი კი, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მოედანს 21 ნოემბერს, „ზესტაფონთან" გასვლით მატჩში დაუბრუნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

რეგიონალური ფედერაცია. გურია

## ჩხაიძე ებრალიძემ შეცვალა

გუშინ გურიის ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, სადაც მოქმედ პრეზიდენტ **დურმიშხან ჩხაიძეს** მეტოქეობას **დავით ებრალიძე** უწევდა. ბოლო მომენტში ჩხაიძემ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, ებრალიძეს კი მხარი 14 დელეგატიდან 10-მა დაუჭირა. იგი ბოლო პერიოდში ლანჩხუთის „გურიას" პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი იყო.

შეგახსენებთ, წინა დღეებში კიდევ სამ რეგიონალურ ფედერაციაში გაირკვა პრეზიდენტის ვინაობა - რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში **გია შარაბიძე** აირჩიეს, აჭარაში **ვახტანგ ქორიძე**, კახეთში კი **გოჩა როსტომაშვილი**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

ფუტზალი

## იბერია ნეფთჩის ელოდება

ევროპის ფუტზალის თასის ელიტრაუნდისთვის მზადებას განაგრძობს საქართველოს ჩემპიონი „იბერია". გუნდი თბილისში სრული დატვირთვით ემზადება. ელიტრაუნდისთვის დედაქალაქელები ახალ ფეხბურთელებს აღარ დაიმატებენ, მაგრამ „იბერიას" ისედაც ბრძოლისუნარიანი შემადგენლობა ჰყავს და მისი მწვრთნელები იმედოვნებენ, რომ გადამწყვეტ ეტაპზე გასვლისთვის იბრძოლებენ.

ამ დღეებში „იბერიას" წევრები თბილისში ბაქოს „ნეფთჩის" ელიან. აზერბაიჯანელებთან ორი საკონტროლო მატჩია დაგეგმილი. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ ამხანაგურ შეხვედრაში „იბერიამ" ასევე აზერბაიჯანულ „ეკოლის" 4:3 სძლია.

„იბერია" თბილისიდან იტალიისკენ გეზს 17 ნოემბერს აიღებს. პადუაში პირველ მატჩს ჩვენი გუნდი 19 ნოემბერს ჩაატარებს ესპანური „მურსიას" წინააღმდეგ. 20 ნოემბერს „იბერიას" მეტოქე იტალიური „ლუპარენსე" იქნება, 22-ში კი ბელგიური „შარლერუა". ფინალურ რაუნდში მხოლოდ ერთი გუნდი გავა.

„იბერია" ელიტრაუნდში ამ შემადგენლობით იასპარეზებს: **ბომი, სალომაო, დუდა, რონი, ლეანდრო, რუდოლფო, ჟოანი** (ყველა ბრაზილია), **შაიტანოვი** (უკრაინა), **ჯამბურია, ძაბირაძე, ალთუნაშვილი, წერეთელი.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

პოსტფაქტუმ

## ჯერ რუსული ოქრო, მერე დინამო და ინტერი

„კამპ ნოუზე" „ბარსას" ძლევის შემდეგ „რუბინმა" კატალონიურ გრანდს საკუთარ მოედანზეც არაფერი დაუთმო. ბევრი ამტკიცებდა, ყაზანელებმა ბარსელონაში შემთხვევით მოიგეს, **მესი, იბრა** და მათი თანაგუნდელები გასვლაზე დამაჯერებლად გაიმარჯვებენ...

მაგრამ ასე არ მოხდა. ჩვენდა სასიხარულოდ, **ლაშა სალუქვაძემ** ამ შეხვედრაშიც ჩინებულად ითამაშა და პარტნიორებს შორის გამორჩეულიც იყო. „რუბინი"-"ბარსელონას" უგოლო მატჩის შემდეგ რუსი მიმომხილველები ლაშას აზრითაც დაინტერესდნენ:

*„მთელმა გუნდმა მაქსიმუმი გაიღო და ვფიქრობ, კარგადაც ვითამაშეთ. ამ საპასუხო მატჩით დავამტკიცეთ, რომ კატალონიაში შემთხვევით არ მოგვიგია. მეტოქეს ჰქონდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ საკუთარი კარის უსაფრთხოებისთვის. მადლობელი ვარ გულშემატკივრის, მათი ქომაგობა ძალიან დაგვეხმარა. ბუხაროვს ორჯერ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ არ გამოუვიდა. თუმცა მაინც კმაყოფილი ვარ, „ბარსასთან ორ მატჩში 4 ქულა ავიღეთ... ახლა კიევის „დინამოსა" და „ინტერთან" მატჩებზე არ ვფიქრობ, რადგან რუსეთში ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებისთვის ვიბრძვით და ჩემპიონთა ლიგამდე მნიშვნელოვანი თამაშები გვაქვს"*, - აღნიშნა სალუქვაძემ.

**დავით ცაგაძე**

---

ლეგიონი

## მუმუმ გოლი გაიხსენა

აზერბაიჯანში თასის პირველი მერვედფინალური მატჩები გაიმართა. „ბაქომ" 6:0 გაანადგურა „ბაქილი" და მეოთხედფინალის საგზური ფაქტობრივად გაინაღდა. ქართველთა გუნდი პუბლიკის წინაშე ახალი ფორმით წარდგა და მაყურებელთა მახვილ თვალს არ გამოპარვია, რომ **ამირან მუჯირს** ზურგზე „მუმუ" ეწერა. მატჩის 54-ე წუთზე „ბაქოს" მე-4 გოლი სწორედ ამირან მუჯირმა გაიტანა. პრობლემა არ შექმნია **კახა ცხადაძის** „ინტერს", ჩემპიონატის ლიდერმა 4:0 მოუგო „ქარვანს" და საპასუხო მატჩს მნიშვნელობა დაუკარგა. ცხადაძემ შემადგენლობა გადაახალისა, თუმცა „ქარვანს" მეორე გუნდითაც მოუგო. შედარებით გაუჭირდა „სიმურგს", რომელმაც შინ მხოლოდ 2:0 მოუგო ქვედა ლიგის „განჯას". ასეთივე ანგარიშით დაამარცხა „ოლიმპიკმა" „გაბალა", ხოლო „სტანდარდმა" „თურანს" 3:1 მოუგო. ამ სამ წყვილში საინტერესო საპასუხო მატჩები გაიმართება.

უნგრულ შოპრონილიგაში მე-11 ტურის გადმოტანილ მატჩში „დიორი ეტო" „ფერენცვაროშს" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. **რატი ალექსიძე** სასტარტოში იყო, ის 66-ე წუთზე შეცვალეს. შოპრონილიგის ოფიციალურმა საიტმა ქართველს 4 ბალი დაუწერა. „დიორი ეტო" 22 ქულით მე-4 ადგილზე დარჩა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




---

შეჯამება

## შესანიშნავი შვიდეული ციფრებში

რუსეთის პირველ დივიზიონს ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მარათონულ და კორუმპირებულ შეჯიბრებას უწოდებენ. ამაში რომ ჭეშმარიტების მარცვალია, უეფას ბოლოდროინდელმა ოფიციალურმა წერილმაც დაადასტურა, რომელშიც პირველი დივიზიონის რამდენიმე კლუბის თამაშები საეჭვოდ მიიჩნიეს, თუმცა რუსეთის ფეხბურთის კავშირს უეფას წერილზე რეაგირება არ მოუხდენია და ერთ-ერთმა „ეჭვმიტანილმა" „ანჟიმ" ტურნირი ტრიუმფით დაამთავრა - 75 ქულით ჩემპიონობა და პრემიერლიგის საგზური მოიპოვა. „ანჟი" კი, მოგეხსენებათ, ყველაზე „ქართული გუნდია" საქართველოს ფარგლებს გარეთ. მას **ომარ თეთრაძე** თავკაცობს და 7 ქართველი ლეგიონერი ჰყავს.

„ანჟიმ" ჩემპიონატში 38 მატჩი (რეალურად 37 მვდ-ს გუნდის დაშლის გამო) გამართა, ჩვენებურთაგან ყველაზე მეტჯერ **ედიკ საჯაიამ** ითამაშა. 28 წლის ქართველმა მცველმა 30-ჯერ მოირგო „ანჟის" მწვანე მაისური და 2 გოლი გაიტანა. სეზონში საჯაია 4-ჯერ გააფრთხილეს. **კახაბერ ალადაშვილმა** სავიზო პრობლემების გამო მხოლოდ მე-11 ტურიდან შეძლო „ანჟიში" თამაში, მიუხედავად ამისა მან სეზონში 26 მატჩში მოასწრო თამაში და 5 საგოლე პასიც მიითვალა. 26 წლის ალადაშვილი სულ 2-ჯერ გააფრთხილეს.

მახაჭყალის გუნდის შუახაზის უდავო ლიდერად **გოჩა ხოჯავა** ითვლება, 24 წლის ქართველმა პლეიმეიკერმა 25 მატჩში მიიღო მონაწილეობა (ბევრი ტრავმებმა გაუცდინა, ცოტაც - დისკვალიფიკაციებმა). მან 2 გოლი გაიტანა და 3 საგოლე პასი გააკეთა, რაც შარშანდელ მაჩვენებელს ბევრად ჩამოუვარდება. სამაგიეროდ, ის უდისციპლინობით გამოირჩა - სეზონში 10 ყვითელი ბარათი მიიღო. 23 წლის **გიორგი ნავალოვსკიმ** 24 მატჩში 1 საგოლე პასი გააკეთა, ის სამჯერ გააფრთხილეს და ერთხელ გააძევეს.



გიორგი ნავალოვსკიმ (ნაბდით) და კახა ალადაშვილმა პრემიერლიგაში გადასვლა ასე აღნიშნეს

განსაკუთრებით აღსანიშნავია 25 წლის **ოთარ მარცვალაძის** თამაში, რომელსაც „ანჟიში" მეორე სუნთქვა გაეხსნა. ოთარი მე-17 ტურიდან (ისევ და ისევ სავიზო პრობლემების გამო) ჩაერთო ჩემპიონატში და მაინც მოახერხა გუნდის ბომბარდირობა. ოთარმა 22 მატჩში 13 გოლი გაიტანა და ერთი საგოლე პასიც გააკეთა. მარცვალაძე მხოლოდ ორჯერ გააფრთხილეს. მარცვალაძესთან ერთად დაგვიანებით ჩავიდა დაღესტანში 24 წლის **სანდრო იაშვილი**, ისიც გვარიანად დაეხმარა გუნდს, 21 თამაშში 4 გოლი გაიტანა. სანდრო 4-ჯერ გააფრთხილეს. ტრავმებმა ყველაზე მეტად ქართველთაგან 22 წლის **ზურაბ არზიანი** გაამწარა, რომელმაც 18 თამაშში მიიღო მონაწილეობა (1 საგოლე პასი, 3 გაფრთხილება).

პირველი დივიზიონი მე-13 ადგილზე დაასრულა „ნიჟნი ნოვგოროდმა" 50 ქულით. სეზონის ბოლოს მეორე დივიზიონიდან ჩაირიცხა **მიხეილ აშვეთია**. 31 წლის ფორვარდმა 10 თამაშში 1 გოლი გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ესპანური ამბები

## მალიორკას ქულებს ჩამოაკლებენ

„მალიორკა" სერბულ ხათაბალაში გაეხვია - ბალეარის კუნძულების წარმომადგენელს პრიმერა დივიზიონში შეიძლება სამი ქულა დააკლონ, თუკი ის ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" ძველ ვალს არ გადაუხდის. 2006 წელს „მალიორკამ" „ცრვენა ზვეზდასგან" ნახევარმცველი **ბოშკო იანკოვიჩი** შეიძინა, რომელიც ახლა იტალიურ „ჯენოაში" თამაშობს. იანკოვიჩის სანაცვლოდ ესპანელებმა 1,8 მილიონი ევრო გადაიხადეს და ერთ წელიწადში სერბი სარფიანად გაყიდეს „პალერმოში" (4,5 მილიონ ევროდ). „დიარიო ასის" ცნობით, სერბები კონტრაქტით გათვალისწინებული კომპენსაციის, 22 ათასი ევროს, გადახდას ამაოდ ითხოვდნენ და მათ საქმეში ფიფა ჩართეს. თუკი უახლოეს საათებში „მალიორკა" ვალს არ გადაიხდის, ესპანური ფეხბურთის პროფესიული ლიგა იძულებული იქნება, კუნძულელებს სამი ქულა ჩამოაკლოს.

## რონალდო წელს ვეღარ ითამაშებს



მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობამ კლუბის ექიმთაგან ცუდი ამბავი შეიტყო - **კრიშტიანო რონალდო** კიდევ ერთი თვე ვერ შეძლებს თამაშს. რონალდოს მტკივან კოჭი დიდად აფიქრებდათ კლუბის ექიმებს, დროდადრო შემოწმებები აჩვენებდა, რომ პროგრესი ძალიან ნელი ტემპით მიდიოდა. ამიტომაც კრიშტიანო ამსტერდამში მსოფლიოში ცნობილ კლინიკაში წაიყვანეს, სადაც კოჭის ტრავმების ყველაზე კარგ სპეციალისტად ცნობილ დოქტორ **ნიეკ ვან დიკთან** მიიყვანეს. „რეალის" ექიმები უკვე საოპერაციო ჩარევაზე ფიქრობდნენ, რომელიც პორტუგალიელ ვარსკვლავს იძულებითი წესით სამ თვეს დაასვენებდა, თუმცა ვან დიკმა სპეციალური პროგრამა გამოუწერა კრიშტიანოს, რომელიც, თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, ფეხბურთელს ერთ თვეში ფეხზე დააყენებს. „მარკა" ამტკიცებს, რომ წლეულს კრიშტიანოს თამაში გამორიცხულია. გამოდის, რომ პორტუგალიის ნაკრები პლეი-ოფის მატჩებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის გუნდთან ლიდერის გარეშე ჩაატარებს.

## გუტის აპატიეს

**მანუელ პელეგრინიმ** გუნდში დააბრუნა დროებით დასჯილი ნახევარმცველი **გუტი**, რომელიც „ალკორკონთან" სათასო მარცხის მთავარ ანტიგმირად შერაცხეს. გუტი უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს და შესაძლოა ის „ვისენტე კალდერონზე" მადრიდულ დერბიშიც ვიხილოთ. პელეგრინისთან დაპირისპირებამ გუტის „ხეტაფესთან" და „მილანთან" მატჩები გამოატოვებინა. მეტიც, გუტი ვარჯიშებსაც ჩამოაშორეს, ოფიციალურად კი ეს ფეხბურთელის ტრავმით ახსნეს, თუმცა თავად გუტი ირწმუნებოდა, რომ ჯანმრთელია.

## ბარსელონელის ჰეთ-თრიკით



ესპანეთის 17-წლამდელთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა, მას შემდეგ, რაც ბურკინა ფასოს ნაკრები 4:1 გაანადგურა. გამარჯვებაში ლომის წილი „ბარსელონას" ფორვარდმა **სერჟი რობერტომ** დაიდო, რომელმაც ჰეთ-თრიკი შეასრულა. ერთი გოლიც შეცვლაზე შესული **ადრია კარმონას** ანგარიშზეა, რომელმაც პენალტის ნიშნულიდან გამოიჩინა თავი. თამაში ნიგერიაში საშინელ პაპანაქებაში გაიმართა (40 გრადუს სიცხეში), მიუხედავად ამისა, ესპანეთის ნაკრებმა გულშემატკივრები არ გააწბილა.

## ბარსელონას თვითმფრინავი გაეყინა

ჩემპიონთა ლიგის მატჩში ყაზანის „რუბინთან" „ბარსელონა" მხოლოდ ქულას გამორჩა, რის გამოც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა გუნდის საპლეიოფო შანსი. ამით კატალონიელთა უსიამოვნება რუსეთში არ დამთავრებულა. „ბარსელონა" შინ დაბრუნებას ხუთშაბათ დილისთვის გეგმავდა, მაგრამ თვითმფრინავის პილოტმა გუნდის ხელმძღვანელობას განუცხადა, რომ ერთ-ერთი ძრავის გაყინვის გამო მას ტექნიკური პრობლემები შეექმნა. რის გამოც გაფრენა რამდენიმე საათით გადაიდო და შესაბამისად გაუქმდა ხუთშაბათის ვარჯიში, რომლითაც ხოსეპ გვარდიოლას გუნდს „მალიორკასთან" მატჩისთვის მზადება უნდა დაეწყო. ასე რომ, დღეს „ბარსელონას" მხოლოდ ერთი ვარჯიშის ჩატარება მოუწევს თამაშის წინ.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

# პირველი მერცხლები: ანდერლეხტი, ვერდერი, შახტარი და გალათასარაი

ახალი ტურნირის, ევროპის ლიგის პირველი მეთექვსმეტედფინალისტები გახდნენ: ბრიუსელის „ანდერლეხტი", სტამბოლის „გალათასარაი", ბრემენის „ვერდერი" და დონეცკის „შახტარი"

ძალიან კარგად ასპარეზობს **ზურაბ მენთეშაშვილის** „ჰაპოელი". თელ-ავივის კლუბი 9 ქულით ლიდერობს C ჯგუფს და ცალი ფეხით პლეი ოფშია. ებრაელებმა განსაკუთრებით ავსტრიული „რაპიდი" დაიბრიყვეს - შინ 5:1 გადაუარეს (ერთი გოლი ქართველმა ლეგიონერმა გაიტანა), წუხელ კი ვენაშიც იოლად მოუგეს - 3:0. ზურაბი ამჯერად სათადარიგო იყო და მოედანზე 59-ე წუთზე შევიდა, როცა ანგარიში მხოლოდ 1:0 იყო სტუმართა სასარგებლოდ, ქართველმა **ვუჩიჩევიჩი** შეცვალა.

**ილია კანდელაკის** „შტურმმა" კი ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ორი ტურით ადრე დაკარგა F ჯგუფიდან გასვლის შანსი. წუხელ გრაცში „შტურმმა" 0:1 დათმო „პანათინაიკოსთან" და ერთადერთი ქულით ბოლო ადგილზე დარჩა. ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა ნაგებულ გუნდში. **ვაჟა თარხნიშვილმა** ჩვეულებრისამებრ კაპიტნის სამკლავურით გამოიყვანა „შერიფი" „ტვენტესთან" მატჩში.

ამსტერდამის „აიაქსმა" ზაგრებში 2:0 სძლია „დინამოს", რომელმაც თამაში ცხრა კაცის ამარა ჩაამთავრა. გოლებით თავი **მარკო პანტელიჩმა** და **დემი დე ზეუვმა** გამოიჩინეს. ამით ჰოლანდიურმა გრანდმა თითქმის გაინაღდა შემდეგი ეტაპის საგზური. დრამატული გამოდგა იტალიურ-ფრანგული დაპირისპირება გენუაში, „ჯენოა" 2:0-ს უგებდა „ლილს", თუმცა ფრანგებმა გათანაბრება შეძლეს და რომ არა **ჯუზეპე სკულის** გოლი მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე შინ ქულასაც წაილებდნენ - 3:2.

შოტლანდიურმა „სელტიკმა" გერმანიაში ფრე ითამაშა „ჰამბურგთან" და ჯგუფიდან გასვლის უმნიშვნელო შანსი შეინარჩუნა. საინტერესო თამაში გაიმართა ჰოლანდიაში, სადაც „ჰერტამ" ბოლო წუთზე **არტურ ვიხნიარეკის** გოლით დაამარცხა „ჰეერენვეენი" და 4 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა ჯგუფში. **ალექს ფრაის** დუბლმა „ბაზელს" შინ 3:1 მოაგებინა სოფიის ცსკასთან. „ბაზელი" E ჯგუფში 9 ქულით გალიდერდა. „რომამ" შინ მხოლოდ მას შემდეგ შეძლო „ფულჰემის" დამარცხება, რაც მსაჯმა ინგლისელებს ჯერ ერთი, შემდეგ კი მეორე ფეხბურთელი გაუძევა. ბედის ირონიით, სტუმართYა კარში პირველი გოლი **იონ არნე რიისემ** ასე გაიტანა - გზად ბურთი მის ძმას **ბიორნ ჰელგე რიისეს** მოხვდა (რომელიც „ფულჰემში" თამაშობს) და მიმართულება იცვალა.

ბელგიური „ანდერლეხტი" პირველი გუნდი გახდა, რომელიც 1/16 ფინალში გავიდა. ბელგიელებმა „ტიმიშოარა" 3:1 დაამარცხეს, ხოლო **მბარკ ბუსუფამ** უეფას ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში „ანდერლეხტისთვის" საიუბილეო, მე-500 გოლი გაიტანა. პრაღაში „ვალენსიამ" 2:0 ვერ შეინარჩუნა 10 კაცით მოთამაშე აუტსაიდერ „სლავიასთან" და სატურნირო მდგომარეობა გაირთულა. „გალათასარაიმ" სტუმრად 3:0 მოუგო ბუქარესტის „დინამოს" და პლეი ოფში გავიდა.

### A ჯგუფი

**ანდერლეხტი-ტიმიშოარა 3:1**

**გოლები:** 1:0 სუარესი (30-პენ), 1:1 პარკსი (51), 2:1 ბუსუფა (69), 3:1 ლეჟეარი (95)

**დინამო (ზ)-აიაქსი 0:2**

**გოლები:** 0:1 პანტელიჩი (14), 0:2 დე ზეუვი (45)

**გაძევება:** გუფრე (36. დინამო), კალელო (73. დინამო)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 4 | 2 | 2 | 0 | 5-2 | 8 |
| ანდერლეხტი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-2 | 8 |
| ტიმიშოარა | 4 | 0 | 2 | 2 | 1-6 | 2 |
| დინამო | 4 | 1 | 0 | 3 | 4-6 | 0* |

*შენიშვნა: ზაგრების „დინამოს" დაკლებული აქვს 3 ქულა*

### B ჯგუფი

**ჯენოა-ლილი 3:2**

**გოლები:** 1:0 პალასიო (14), 2:0 კრესპო (58), 2:1 ფრო (76), 2:2 ჟერვინიო (84), 3:2 სკული (93)

**სლავია-ვალენსია 2:2**

**გოლები:** 0:1 ხოაკინი (22-პენ), 0:2 მადურო (47), 1:2 იანდა (79), 2:2 გრასიარი (82)

**გაძევება:** შენკერიკი (48. სლავია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 4 | 2 | 1 | 1 | 11-5 | 7 |
| ჯენოა | 4 | 2 | 0 | 2 | 7-8 | 6 |
| ვალენსია | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 5 |
| სლავია | 3 | 0 | 1 | 2 | 2-8 | 1 |

### C ჯგუფი

**ჰამბურგი-სელტიკი 0:0**

**რაპიდი-ჰაპოელი 0:3**

**გოლები:** 0:1 იადინი (13), 0:2 ვერმუტი (65), 0:3 ნაჩო (70)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაპოელი | 4 | 3 | 0 | 1 | 12-6 | 9 |
| ჰამბურგი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| რაპიდი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-9 | 4 |
| სელტიკი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-4 | 2 |

### D ჯგუფი

**ჰეერენვეენი-ჰერტა 2:3**

**გოლები:** 1:0 პაპადოპულოსი (4), 1:1 დომოვჩისკი (21), 2:1 პაპადოპულოსი (36), 2:2 დომოვჩისკი (52), 2:3 ვიხნიარეკი (91)

**სპორტინგი-ვენტსპილსი 1:1**

**გოლები:** 0:1 ძამპერინი (15), 1:1 სალეირო (22)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-4 | 10 |
| ჰერტა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| ჰეერენვეენი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| ვენტსპილსი | 4 | 0 | 3 | 1 | 3-4 | 3 |

### E ჯგუფი

**რომა-ფულჰემი 2:1**

**გოლები:** 0:1 კამარა (19-პენ), 1:1 რიისე (69), 2:1 ოკაკა ჩუკა (76)

**გაძევება:** ნიულანდი (49. ფულჰემი), კონჩესკი (91. ფულჰემი)

**ბაზელი-ცსკა (ს) 3:1**

**გოლები:** 1:0 ჟელაბერტი (35), 2:0 ფრაი (41 პენ), 2:1 იანჩევი (61), 3:1 ფრაი (67)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-2 | 9 |
| რომა | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| ფულჰემი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| ცსკა | 4 | 0 | 1 | 3 | 2-8 | 1 |

### F ჯგუფი

**დინამო (ბ)-გალათასარაი 0:3**

**გოლები:** 0:1 კიუელი (22), 0:2 ნონდა (24), 0:3 მეჰმეთ ტოპალი (55)

**გაძევება:** ნდოიე (68. დინამო)

**შტურმი-პანათინაიკოსი 0:1**

**გოლი:** 0:1 კაცურანისი (70)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-3 | 10 |
| პანათინაიკოსი | 4 | 3 | 0 | 1 | 4-3 | 9 |
| დინამო | 4 | 1 | 0 | 3 | 2-8 | 3 |
| შტურმი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-4 | 1 |

### G ჯგუფი

**ლევსკი-ზალცბურგი 0:1**

**გოლი:** 0:1 შიმერი (95)

**გაძევება:** სარნოვი (62. ლევსკი)

**ვილიარეალი-ლაციო 4:1**

**გოლები:** 1:0 პირესი (2), 2:0 კანი (13), 3:0 პირესი (15), 3:1 ზარატე (72), 4:1 როსი (83 პენ)

*34-ე წუთზე ფოჯამ (ლაციო) ვერ გაიტანა პენალტი*

**გაძევება:** ბარონიო (4. ლაციო), როდრიგესი (33. ვილიარეალი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 4 | 4 | 0 | 0 | 6-1 | 12 |
| ვილიარეალი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| ლაციო | 4 | 2 | 0 | 2 | 8-7 | 6 |
| ლევსკი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-7 | 0 |

### H ჯგუფი

**ტვენტე-შერიფი 2:1**

**გოლები:** 1:0 სტოხი (8), 1:1 ტიოტე (68-საკ. კარში), 2:1 სტოხი (89)

**ფენერბაჰჩე-სტიაუა 3:1**

**გოლები:** 1:0 ანდრე სანტოსი (15), 1:1 კაპეტანოსი (38), 2:1 ბილიკა (51), 3:1 ალექსი (67)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 4 | 3 | 0 | 1 | 6-3 | 9 |
| ტვენტე | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 |
| შერიფი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-3 | 4 |
| სტიაუა | 4 | 0 | 2 | 2 | 1-4 | 2 |

### I ჯგუფი

**აეკ-ბატე 2:2**

**გოლები:** 1:0 ბლანკო (1), 1:1 როდიონოვი (17), 1:2 ვოლოდკო (26), 2:2 მანდუკა (38)

**გაძევება:** შიტოვი (76. ბატე)

**ევერტონი-ბენფიკა 0:2**

**გოლები:** 0:1 სავიოლა (63), 0:2 კარდოსო (76)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 4 | 3 | 0 | 1 | 9-1 | 9 |
| ევერტონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-8 | 6 |
| ბატე | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| აეკ | 4 | 1 | 1 | 2 | 4-8 | 4 |

### J ჯგუფი

**პარტიზანი-ბრიუგე 2:4**

**გოლები:** 0:1 პერიშიჩი (28), 0:2 კუემაჰა (36), 1:2 ლიაიჩი (52), 1:3 კუემაჰა (57), 2:3 ვაშინგტონი (66), 2:4 ოჯიჯა (74)

**გაძევება:** კრსტაიჩი (79. პარტიზანი)

**ტულუზი-შახტარი 0:2**

**გოლები:** 0:1 ლუის ადრიანო (50), 0:2 გაი (64)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 4 | 4 | 0 | 0 | 14-2 | 12 |
| ბრიუგე | 4 | 2 | 1 | 1 | 9-8 | 7 |
| ტულუზი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-10 | 4 |
| პარტიზანი | 4 | 0 | 0 | 4 | 5-13 | 0 |

### K ჯგუფი

**კლუჟი-სპარტა 2:3**

**გოლები:** 0:1 ოლენდა (6), 0:2 ოლენდა (13), 1:2 ტრაორე (25), 2:2 დუბარბიერი (91), 2:3 ვილფრედი (96)

**გაძევება:** მურეშანი (64. კლუჟი), მარა (88. კლუჟი)

**კოპენჰაგენი-ეინდჰოვენი 1:1**

**გოლები:** 1:0 გრონკიაერი (40-პენ), 1:1 ჟუჟაკი (72)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 4 | 2 | 2 | 0 | 5-3 | 8 |
| სპარტა | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| კოპენჰაგენი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 4 |
| კლუჟი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-6 | 3 |

### L ჯგუფი

**ნასიონალი-ბილბაო 1:1**

**გოლები:** 1:0 ედგარი (62-პენ), 1:1 ეჩებერია (85)

**გაძევება:** პინტო (79. ნასიონალი)

**ვერდერი-აუსტრია 2:0**

**გოლები:** 1:0 ბოროვსკი (81), 2:0 ალმეიდა (84)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-5 | 10 |
| ბილბაო | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| ნასიონალი | 4 | 0 | 2 | 2 | 5-7 | 2 |
| აუსტრია | 4 | 0 | 2 | 2 | 3-8 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ჩემპიონთა ლიგა.** ჯგუფური ეტაპი. IV ტური

# ჟოზეს მარტივი არითმეტიკა

## ინტერმა 2008 წლის 22 ოქტომბრის შემდეგ პირველად მოიგო, ინგლისში კი ლივერპულს ტირიან

„ლივერპულს“ ჯერ კიდევ აქვს მერვედფინალში გასვლის შანსი, მაგრამ ინგლისში რაფა ბენიტესის გუნდი უკვე გამოიტირეს; ჟოზე მოურინიო კიევში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, თავისი შეგირდებით ამაყობს; კატალონიელებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ჯგუფიდან გავლენ; „ფიორენტინამ“ და „არსენალმა“ კი მეოთხე ტურშიც გოლების წვიმა შემოგვთავაზეს...



### E ჯგუფი

**ლიონი-ლივერპული 1:1**

გოლები: 0:1 ბაბელი (83), 1:1 ლისანდრო ლოპესი (90)

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: უგო ლორისი (ლიონი)

რაც არ უნდა მძიმე მდგომარეობაში იყოს, „ლივერპული“ არასდროს არ უნდა ჩამოწერო. ეს არის გუნდი, რომელმაც ყველაზე კარგად იცის, როგორ უნდა ამოქაჩოს. გავიხსენოთ 2007 წელი: „წითლებს“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, სამი ტურის შემდეგ მხოლოდ ერთი ქულა ჰქონდათ და როცა ყველამ იფიქრა, რომ ჯგუფიდან ვერ გავიდოდნენ, „ბეშიქთაშს“ 8:0 მოუგეს, „პორტოს“ - 4:1, ხოლო „მარსელს“ კი - 4:0. მაშინ „ლივერპული“ მხოლოდ ნახევარფინალშიღა შეჩერდა - „წითლების“ ბოლო გაჩერება „ჩელსი“ გამოდგა.

„ლივერპული“ „ლიონთან“ მატჩის ნინაც კედელთან ზურგით იყო მიყენებული, მაგრამ როგორც ჩანს, 2007 წლის მიღწევის გამეორება არარეალურია, რადგან წელს სხვა „ლივერპულთან“ გვაქვს საქმე. **რაფა ბენიტესის** გუნდი **სტივენ ჯერარდის** გარეშე და მასთან ერთად, კარდინალურად განსხვავებული ცნებებია, რაც გუშინწინ კიდევ ერთხელ დამტკიცდა. სამაგიეროდ, ბენიტესს ძირითად შემადგენლობაში ჰყავდა ბერძენი მეომარი **სოტირიოს კირიაკოსი** და უკრაინელი გოლეადორი **ანდრეი ვორონინი**. „ლივერპულს“ შეტევაში იდეები აკლდა - მეტადრე იმიტომ, რომ საოპერაციო **ფერნანდო ტორესი კრისის** სახით, საიმედო მეურვის მეთვალყურეობის ქვეშ იყო.

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რაში იყო საქმე, **ჟეიმი კარაგერი** გახლდათ, რომელმაც ტიპურ ლივერპულულად იომა. **ბაბელის** გოლის შემდეგ, „წითლებისთვის“ ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ფრანგული გრანდის ყველაზე საშიშმა კაცმა, **ლისანდრო ლოპესმა** ბოლო წუთზე მაინც შეძლო თავისის გატანა და ანგარიში გაათანაბრა. მოკლედ, ზუსტად ისე, როგორც წინა მატჩში, „ლივერპულმა“ ამჯერადაც ბოლო წუთზე გაუშვა გოლი და მერვედფინალში გასვლა, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან სათუო გაიხადა.

**ფიორენტინა-დებრეცენი 5:2**

გოლები: 1:0 მუტუ (14), 1:1 რუდოლფი (38), 2:1 დაინელი (52), 3:1 მონტოლივო (59), 4:1 მარკიონი (61), 4:2 კულიბალი (70), 5:2 ჯილარდინო (74)

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ადრიან მუტუ (ფიორენტინა)

ამ გუნდებმა ორი კვირის წინაც გოლების წვიმა შემოგვთავაზეს, როცა ფლორენციულმა კლუბმა რუმინეთში 4:3 მოიგო. „არტემიო ფრანკიზე“ გამართულ შეხვედრაშიც 7 გოლი ვიხილეთ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ „ფიორენტინამ“ ერთით მეტი გაიტანა, „დებრეცენმა“ კი ერთით ნაკლები - რაც სულაც არ არის გასაკვირი, თამაში ხომ იტალიაში გაიმართა. ამრიგად, **ჩეზარე პრანდელის** გუნდმა ზედიზედ მესამე თამაში მოიგო და ძალიან კარგი შანსი აქვს, პირველად გავიდეს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში. „დებრეცენი“ კი ჩემპიონთა ლიგის დონეს ნამდვილად არ შეესაბამება. ფლორენციელთა მხრიდან, **ადრიან მუტუ** კარიერის საუკეთესო ფორმაშია, **ალბერტო ჯილარდინოსგან** კი გოლებს ისედაც მიჩვეულები ვართ. და როდესაც ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ **მარკო მარკიონიც** ახერხებს, იყოს ვირტუოზი ფეხბურთელი, რაც მან თავისი გოლით დაამტკიცა, „ფიორენტინას“ ნახევრად სავსე სტადიონზეც კი, ტიფოზები ბედნიერები არიან.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-2 | 10 |
| 2. ფიორენტინა | 4 | 3 | 0 | 1 | 11-6 | 9 |
| 3. ლივერპული | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 4. დებრეცენი | 4 | 0 | 0 | 4 | 5-14 | 0 |

**მომდევნო ტური**

**24 ნოემბერი**

დებრეცენი-ლივერპული

ფიორენტინა-ლიონი

### F ჯგუფი

**დინამო-ინტერი 1:2**

გოლები: 1:0 შევჩენკო (21), 1:1 მილიტო (86), 1:2 სნეიდერი (89)

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ვესლი სნეიდერი (ინტერი)

როგორც ყოველთვის, ამოუცნობია მილანის „ინტერი“ და ეს გუნდი დიდ გამოცანად რჩება. „ნერაძურის“ ჩემპიონთა ლიგაში 2008 წლის 22 ოქტომბრის შემდეგ აღარ მოეგო და აგერ, კიევში, როგორც იქნა, მეტად არასასიამოვნო სერიას ბოლო მოუღო. **ჟოზე მოურინიოს** გუნდი 60 წუთის განმავლობაში შეტევაში უიდეოდ გამოიყურებოდა, დაცვაში კი შეცდომებს უშვებდა. ეს განსაკუთრებით **კრისტიან კივუზე** ითქმის, რომელიც გუშინწინ ნამდვილად მიატოვეს მფარველმა ანგელოზებმა. ის ფაქტი, რომ კიეველებს **ანდრეი შევჩენკოს** გოლი (მეექვსე „ინტერის“ კარში) არ ეყოთ, „დინამოს“ მეკარე **ბოგუშის** ბრალიცაა, რომელმაც **სნეიდერის** გამარჯვების გოლის მომენტში შეცდომა დაუშვა. ბოლო ხუთ წუთში გატანილი ორი გოლით „ინტერმა“ ჯგუფში ბოლოდან პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

*„ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ ამიერიდან აღარ შემეკითხებიან, „ინტერი“ ჩემპიონთა ლიგაში რატომ ვერ იგებსო. დღეს ჩემმა შეგირდებმა ფანტასტიკურად ითამაშეს და ახლა ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელშია. თუ არ ვცდები, მერვედფინალში გასასვლელად მხოლოდ სამი ქულის მოპოვებაა გვჭირდება. კიევში ბოლოადგილოსნის რანგში ჩამოვედით და უკრაინის დედაქალაქს ლიდერის რანგში ვტოვებთ. კარგი იქნება, თუ ბარსელონადან ხელცარიელი არ დავბრუნდებით, მაგრამ ბოლო ტურში, „რუბინთან“ პირთამდე სავსე „სან სირო“ მინდა ვნახო“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ მოურინიომ.

**რუბინი-ბარსელონა 0:0**

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: რომან შარონოვი (რუბინი)

მინუს ათი გრადუსი, სმენის წამლები საყვირების ხმა - ისეთი, პირდაპირ ტვინში რომ ურტყამს და სრულყოფილად მომზადებული მეტოქე - „ბარსელონას“ ყაზანური ვოიაჟი ვერ გამოდგა ისეთი, როგორსაც კატალონიელები ისურვებდნენ. რა გასაკვირია, რომ „ბარსამ“ თავისი ფეხბურთი ვერ აჩვენა?

„ბარსელონას“ დიდი ხანია, აღარ უასპარეზია ისე უიდეოდ და ნელ ტემპში, როგორც **პეპ გვარდიოლას** გუნდმა გუშინწინ „რუბინთან“ ითამაშა. კიდევ კარგი, რომ მეკარე **ვიქტორ ვალდესმა** პირველ ტაიმში ბრწყინვალე სეივი გააკეთა და მკვდარი ბურთი მოიგერია, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ბარსელონა“ „ინტერთან“ მატჩის წინ უმძიმესი წნეხის ქვეშ მოექცეოდა. აქვე გეტყვით, რომ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული ჯგუფური ეტაპიდან გავარდნილიყო.

„რუბინის“ თავკაცი **ყურბან ბერდიევი**: *„კმაყოფილი კი არა, ბედნიერი ვარ! მთავარი ის იყო, რომ თავიდანვე გოლი არ გაგვეშვა, მერე კი მეტოქეს ჩვენი თამაში მოვახვიეთ თავს. ჩვენი მიზანი იყო, რომ „ბარსასთვის“ კომბინირების საშუალება არ მიგვეცა, რაც გამოგვივიდა კიდეც. ხომ არ შემცივდა მხოლოდ ერთ პიჯაკში? მე ვფიქრობ, რომ „ბარსელონასთან“ მატჩის დროს მხოლოდ პერანგი რომ მცმოდა, მაინც არ შემცივდებოდა.“*

**პეპ გვარდიოლა**: *„ცოტათი გაბრაზებული ვარ იმის გამო, რომ ვერ მოვიგეთ. ფაქტი ერთია, ბერდიევმა სამწვრთნელო დუელი მომიგო.“*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-4 | 6 |
| 2. რუბინი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 3. ბარსელონა | 4 | 1 | 2 | 1 | 3-2 | 5 |
| 4. დინამო | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |

**მომდევნო ტური**

**24 ნოემბერი**

ბარსელონა-ინტერი

რუბინი-დინამო

### G ჯგუფი

**სევილია-შტუტგარტი 1:1**

გოლები: 1:0 ლემანი (14), 1:1 კუზმანოვიჩი (78)

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ზდრავკო კუზმანოვიჩი (შტუტგარტი)

„შტუტგარტის“ აბსოლუტურად უთავმოყვარეო გამოსვლა ჩემპიონთა ლიგაში გრძელდება. ამჯერად, გერმანელებს პირველ ტაიმში ეძინათ, მეორეში გამოფხიზლდნენ და დომინანტები გახდნენ, მაგრამ ეს იმის დამსახურებაა, რომ „სევილიამ“ აღარ შეიწუხა თავი. მიუხედავად ამისა, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, „შტუტგარტს“ მერვედფინალში გასვლის შანსი ჯერ კიდევ აქვს, თანაც, არცთუ ურიგო.

**უნირეა-რეინჯერსი 1:1**

გოლები: 0:1 მაკალოხი (79), 1:1 ონოფრაში (88)

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: მარიუშ ონოფრაში (უნირეა)

ამ მატჩში ფრე არცერთ გუნდს არ აწყობდა. საშინელ მდგომარეობაში მყოფ მოედანზე, უპირატესობას, რა თქმა უნდა, მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ შოტლანდიური კლუბი დიდი ანგარიშით კი არა, საერთოდ ველარ დაამარცხეს. მეტიც: „რეინჯერსი“ იგებდა, მაგრამ **ნოვოს** შეცდომის შემდეგ **ონოფრაშმა** ულამაზესი გოლით წონასწორობა აღადგინა. ევროპაში „სტიაუას“ სტადიონზე თამაში არავის უყვარს, იქაური ატმოსფეროს სიმკაცრე საკუთარ თავზე არაერთ გრანდს გამოუცდია. „უნირეა“ მეორე ადგილზეა და მერვედფინალს უმიზნებს და ვინძლო, ფლეი ოფში მადრიდის „რეალს“ შეხვდეს, მერე ნახეთ „გალაქტიკოების“ წუწუნი მინდვრის საფრისა და ზოგადად სტადიონზე შექმნილი ატმოსფეროს გამო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სევილია | 4 | 3 | 1 | 0 | 10-3 | 10 |
| 2. უნირეა | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| 3. შტუტგარტი | 4 | 0 | 3 | 1 | 4-6 | 3 |
| 4. რეინჯერსი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-10 | 2 |

**მომდევნო ტური**

**24 ნოემბერი**

უნირეა-სევილია

რეინჯერსი-შტუტგარტი

### H ჯგუფი

**არსენალი-ალკმაარი 4:1**

გოლები: 1:0 ფაბრეგასი (25), 2:0 ნასრი (43), 3:0 ფაბრეგასი (52), 4:0 დიაბი (72), 4:1 ლენსი (82)

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: სესკ ფაბრეგასი (არსენალი)

ლონდონის „არსენალმა“ ჰოლანდიის ჩემპიონ „ალკმაარს“ პირველივე წუთიდან კატა-თაგვობანა გაუჩაღა და სუფთა, დამსახურებული გოლებით გაანადგურა. თამამად ვიტყვით: **სესკ ფაბრეგასს** „არსენალის“ მაისურით ამაზე უკეთესი მატჩი არასდროს ჩაუტარებია, ხოლო **ანდრეი არშავინი** კი ნელ-ნელა ნაღდი „მეთოფე“ ხდება. **არსენ ვენგერმა** თავს უფლება მისცა, ფაბრეგასთან ერთად, მეორე ტაიმში მოედნიდან არშავინი და **რობინ ვან პერსიც** გაეყვანა, ალკმაარელებმა კი კიდევ ერთხელ „აღიარეს“, რომ ჩემპიონთა ლიგა მათთვის ზედმეტად მაღალი საფეხურია.

**სტანდარდი-ოლიმპიაკოსი 2:0**

გოლები: 1:0 მბოკანი (30), 2:0 იოვანოვიჩი (88)

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ელიაქიმ მანგალა (სტანდარდი)

მიუხედავად დიდი პატივისცემისა ორივე გუნდის მიმართ, ეს საშინელი სანახაობა იყო. „ოლიმპიაკოსი“ რაღაც უმოტივაციო ჩანდა, ლიეჟის „სტანდარდმა“ კი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე საშინელი კონტრშეტევებით ითამაშა და თანაც, მოიგო. და ის, რომ ორივე გუნდს ჯერ კიდევ ძალიან კარგი შანსი აქვს ითამაშონ მერვედფინალში, იმის ბრალია, რომ ამ ჯგუფშია „ალკმაარიც“...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-4 | 10 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-5 | 6 |
| 3. სტანდარდი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-6 | 4 |
| 4. ალკმაარი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-7 | 2 |

**მომდევნო ტური**

**24 ნოემბერი**

ალკმაარი-ოლიმპიაკოსი

არსენალი-სტანდარდი

---

*მეოთხე ტურის სიმბოლური ნაკრები*

# გროზნოელი დაცვის ბურჯი ყაზანიდან

1. **უგო ლორისი** (ლიონი): „ლიონმა“ ლივერპულთან რომ არ წააგო, ეს მეტწილად მეკარე უგო ლორისის დამსახურებაა. **ტორესმა, კუიტმა** და **ვორონინმა** ვერაფრით შეძლეს მის კარში გოლის გატანა. 22 წლის ლორისი მხოლოდ ბაბელის დარტყმას ვერ გაუმკლავდა.

2. **ალექსეი ბერეზუცკი** (ცსკა): გოლის ავტორ ვასილის ტყუპისცალმა „მანჩესტერთან“ მატჩში მოსკოვური კლუბის დაცვის მარჯვენა ფლანგი იდეალურად ამოკეტა და **ნანის** გასაქანი არ მისცა. „მანჩესტერის“ არც ერთი გოლი მისი ფლანგიდან არ გასულა.

3. **ჟულიენ ესკუდე** (სევილია): ჩოგბურთელ **ნიკოლა ესკუდეს** ძმამ „შტუტგარტთან“ მატჩში თითქმის ყველა ორთაბრძოლა მოიგო და აბსოლუტურად უშეცდომოდ ითამაშა. ამასთან, შვაბების ერთადერთი ფორვარდი **პაველ პოგრებნიაკი** არ გაახარა.

4. **რომან შარონოვი** (რუბინი): „ვიიიინ?“ - იკითხავთ, ალბათ. სამაგიეროდ, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ამ კითხვას არ დასვამს. შვედმა თავდამსხმელმა ყაზანში გამართულ მატჩშიც ვერ შეძლო 33 წლის მცველის დაჩაგვრა, რომელიც „წარმოშობით“ გროზნოს „ტერეკიდანაა“...

5. **სესკ ფაბრეგასი** (არსენალი): ესპანელმა კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და „ალკმაართან“ მატჩს ორჯერ დაარტყა ბეჭედი.

6. **მილოშ კრასიჩი** (ცსკა): სერბმა ნახევარმცველმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შესანიშნავად ითამაშა და **ჯონათან ევანსს** სიცოცხლე გაუმწარა. ესეც რომ არ იყოს, კრასიჩმა გოლიც გაიტანა.

7. **ფლორან მალუდა** (ჩელსი): „ატლეტიკოსთან“ შეხვედრაში ფრანგი ნახევარმცველი ყველგან იყო და ლონდონელთა მხრიდან ყველაზე მეტი, 11 კილომეტრი ირბინა, ყველაზე მეტი, 53 პასი გააკეთა და ამასთან ერთად, **დიდიე დროგბას** საგოლედ ჩაუწოდა, როცა კოტდივუარელმა ანგარიში გაათანაბრა.

8. **ზვიეზდან მიშიმოვიჩი** (ვოლფსბურგი): გერმანიის ჩემპიონის ბოსნიელმა გამთამაშებელმა „ბეშიქთაშთან“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე დირიჟორია.

9. **დიდიე დროგბა** (ჩელსი): პირველ სამ ტურში დროგბა „ჩელსის“ აკლდა, რადგან დისკვალიფიცირებული იყო. დაბრუნდა და მაშინვე დუბლი შეასრულა.

10. **კუნ აგუერო** (ატლეტიკო): არგენტინელი „ჩელსისთან“ მატჩში 53-ე წუთიდან ჩაერთო და 37 წუთიც კი ეყო იმისათვის, რომ ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრილიყო. ლონდონელებმა ის 6-ჯერ შეაჩერეს აკრძალული ხერხებით, მიუხედავად ამისა, აგუერომ დუბლი შეასრულა. განსაკუთრებით მისი მეორე გოლი გამოდგა გრანდიოზული.

11. **ადრიან მუტუ** (ფიორენტინა): „დებრეცენმა“ „ფიორენტინასგან“ ორ მატჩში 9 გოლი გაუშვა. ადრიან მუტუ კი საპასუხო შეხვედრაშიც იმას აკეთებდა, რაც უნდოდა...

გვერდი მოამზადა

**გოტფრიდ ლენცმა**

გამოხმაურება

# გამოღვიძება

## ანუ ევროპას ნამდვილი კალჩო უბრუნდება




2007 წელი. მილანის ევროტრიუმფი

გამოღვიძება - ასე დაასათაურა „კორიერე დელო სპორტმა“ სტატია, რომელიც იტალიური კლუბების ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობას მიეძღვნა. ბოლო წლებში, ევროარენაზე სერია A-ს წარმომადგენლები აშკარად მოიკოჭლებენ, რაც ჩემპიონატის პრესტიჟსა და რეიტინგზე შესაბამისად აისახა. იტალიელთა ლიგა ბევრად ჩამორჩა ინგლისურ პრემიერლიგას და ესპანურ პრიმერა დივიზიონს. ტოპლიგებიდან სერია A მხოლოდ ბუნდესლიგას უსწრებს და ესეც ალბათ იმიტომ, რომ ბოლო წლებში ვერც გერმანელები დგანან მოწოდების სიმაღლეზე. ამ მხრივ, მიმდინარე სეზონი შესაძლოა გარდამტეხი გამოდგეს, რადგან ჯერჯერობით აპენინურ კლუბებს საკმაოდ ღირსეულად უჭირავთ თავი. აქ მხოლოდ შედეგში არაა საქმე, იტალიელებმა თითქოს თანამედროვე ფეხბურთის ტემპებს აუწყეს ფეხი და ეს რეზულტატზეც შესაბამისად აისახა.

სერია A აშკარად მოლონიერდა, რაც კლუბების განვითარების ლოგიკური შედეგია. „ინტერი“ არ თმობს პოზიციებს და ბევრის აზრით, დღეს კიდევ უფრო ძლიერია, ვიდრე თუნდაც რობერტო მანჩინის პერიოდში. ბუნებრივია, ეს ჟოზე მოურინიოს სახელთან არის დაკავშირებული. პორტუგალიელს მართლაც აქვს განსაკუთრებული ქარიზმა, მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „ნერაძური“ სუფთა სათამაშო ასპექტებში პროგრესირებს. „იუვენტუსზე“ საუბარიც ზედმეტია, გუნდი სერია B-დან ამოძვრა და გარკვეული დრო დასჭირდა, რომ გრანდის სტატუსის შესაფერისი ავტორიტეტი მოეხვეჭა. ბევრი თვლის, რომ ეს ჯერ კიდევ არაა ის „იუვე“, რომელიც სკუდეტოს სკუდეტოზე იგებდა, მაგრამ სწორედ აქეთკენ რომ მიდის საქმე, ფაქტია.

„მილანის“ შესახებ ვრცლად შეიძლება საუბარი, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ჩემპიონთა ლიგაზე ვლაპარაკობთ. საერთაშორისო ტიტულებით, „როსონერი“ ყველაზე წარმატებული კლუბია აპენინებზე, თუმცა კრიზისს ვერც ეს გუნდი გადაურჩა. კარლო ანჩელოტის ხელში „მილანმა“ ბოლო ორ წელიწადში დიდი ვერაფერი შედეგი აჩვენა და გასულ სეზონში სულაც ლიგის გარეშე დარჩა. ახალმა მწვრთნელმა ლეონარდომ მძიმედ დაიწყო, შედეგები არასახარბიელო გახლდათ, თუმცა ბოლო პერიოდში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. „რეალთან“‘ ჩატარებულმა ორმა შეხვედრამ ნათლად დაგვანახვა, რომ „მილანი“ მაინც „მილანია“, განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგაში. ანუ, ევროპის უპრესტიჟულეს ტურნირში იტალიას მთავარი ფალავანი დაუბრუნდა.

პროგრესირებს ლიგაში მოასპარეზე მეოთხე იტალიური გუნდიც. ჩეზარე პრანდელი მიზანმიმართულად მუშაობს და შედეგიც სახეზე გვაქვს - გასულ სეზონში, „ფიორენტინამ“ ორ ფრონტზე თანაბარი წარმატებით ასპარეზობა ვერ შეძლო, წელს კი ამას ახერხებს. ბევრმა ეს შეიძლება „ლივერპულის“ კრიზისს“ მიაწეროს, მაგრამ იმას მაინც ვერ გავექცევით, რომ „ვიოლას“ თამაშში მეტი დისციპლინა, იმპროვიზაცია და თავდაჯერებულობაა.

ჩემპიონთა ლიგაში სერია A-ს ბინადრების წარმატებული თამაში იტალიური ფეხბურთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. პირველი ნაბიჯი ჯგუფური ეტაპის დაძლევა და პლეი ოფში გასვლა გახლავთ. ოთხივე გუნდს მიზნის მიღწევის საკმაოდ კარგი შანსი აქვს და ამაზე ქვემოთ მოგითხრობთ. ერთად გავერკვეთ ჯგუფური ეტაპის ლაბირინთებში და თითოეული აპენინური გუნდის შანსი მოკლედ მიმოვიხილოთ.

### A ჯგუფი იუვენტუსი

„მაქაბისთან“ გამართული შეხვედრის შემდეგ, **ფაბიო კანავარომ** განაცხადა: *„ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებისთვის ვიბრძვით და არა ჯგუფიდან გასვლისთვის. მიუნხენის „ბაიერნის“ მიმართ ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, არ ვუშვებ იმას, რომ პლეი ოფში სწორედ გერმანელები გავიდნენ და არა ჩვენ. „იუვენტუსის“ მიზანი დარჩენილი ორი შეხვედრის მოგება და პირველ ადგილზე გადასვლაა“.*

მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ „იუვეს“ ჯგუფში ჩარჩენა დაემუქროს. ამისთვის ტურინელებმა ძალიან უნდა მოინდომონ. მომდევნო ტურში „ვეკია სენიორა“ საფრანგეთს სტუმრობს, სადაც უმოტივაციო „ბორდოს“ შეეტოქება, ბოლო სათამაშო დღეს კი საკუთარ მოედანზე „ბაიერნთან“ მოუწევს დაპირისპირება. საკმარისია „იუვემა“ უმოტივაციო „ბორდო“ დაამარცხოს და ბოლო მატჩი ფორმალობად იქცევა. ოპტიმისტურად არის განწყობილი **ჩირო ფერარა**:

*„მოდუნების უფლება არ გვაქვს, წინ მძიმე ბრძოლები გველის, მაგრამ აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ჯგუფური ეტაპის დაძლევასთან ძალიან ახლოს ვართ. კმაყოფილი ვარ იმ თამაშით, რომელიც აქამდე ვაჩვენეთ - თუმცა, სამომავლოდ კიდევ უფრო უნდა მოვუმატოთ“.*

### C ჯგუფი მილანი

„მილანს“ და „რეალს“ ქულათა თანაბარი ოდენობა აქვთ, მაგრამ იტალიელებს უპირატესობა მადრიდში მოპოვებული გამარჯვების წყალობით ენიჭებათ. ერთი შეხედვით, ამ ჯგუფში ვითარება ძალიან დაძაბულია, ორ გუნდს შვიდი ქულა აქვს, მათ უკან კი „მარსელი“ დგას, რომლის აქტივშიც ექვსი ქულაა. თითქოს, სამ გუნდს ჯგუფური ეტაპის დაძლევის თანაბარი შანსი აქვთ, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, „მილანი“ მაინც სხვებზე უკეთეს მდგომარეობაშია.

მომავალ ტურში, „მილანი“ „მარსელს“ მიიღებს, „რეალი“ კი „ციურიხს“. თუ ფავორიტებმა გამარჯვებები მოიპოვეს, ინტრიგა მოკვდება და პლეი ოფის საგზურს „რეალი“ და „მილანი“ მოიპოვებენ. სამეფო კლუბი „ციურიხთან“ დიდი ალბათობით მოიგებს, ამიტომ ჩვენ „სან სიროზე“ გასამართ შეხვედრას დავუთმოთ ყურადღება და სხვადასხვაგვარი ვარიაციები გავიაროთ.

თუ მილანური თამაში ფრედ დასრულდა, მაშინ, ბუნებრივია, რომ ყველაფერი ისევ „მილანის“ ხელში იქნება. „როსონერი“ ამარცხებს „ციურიხს“ და გადის შემდეგ ეტაპზე. თუ შეხვედრა „მარსელმა“ მოიგო, მაშინ ვითარება ჩაიხლართება, მაგრამ „მილანი“ მაინც შეინარჩუნებს ჯგუფური ბარიერის დაძლევის ჩინებულ შანსს. „როსონერისთვის“ „ციურიხთან’ გამარჯვება ამ შემთხვევაშიც სრულიად საკმარისი იქნება, რადგან ბოლო ტურში „მარსელი“ „რეალს“ უმასპინძლებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთ-ერთი გუნდი ქულებს დაკარგავს, ან სულაც ორივე.

ამიტომ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ „იუვენტუსის“ მსგავსად, „მილანიც“ ცალი ფეხით პლეი ოფშია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იტალიელებს საკმაოდ კარგი კალენდარი აქვთ - საკუთარ მოედანზე უშუალო კონკურენთან „მარსელთან“ მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა, ხოლო ბოლო ტურში არც თუ ძლიერ „ციურიხთან“ სტუმრობა.

### E ჯგუფი ფიორენტინა

„ფიორენტინას“ მდგომარეობა „იუვენტუსის“ ანალოგიურია. ისევე როგორც A ჯგუფში, E-შიც პირველ ადგილზე ფრანგული კლუბია. „ლიონმა“ „ლივერპულს“ ოთხი ქულა აართვა, ერთი დაუტოვა და მერვედფინალის საგზური ოფიციალურად გაიფორმა. მეორე ადგილზე სწორედ „ვიოლა“ გახლავთ, რომელსაც უკან მრისხანე „ლივერპული“ ჰყავს მოტოვებული. ქულათა სხვაობა ხუთია, რაც იმას ნიშნავს, რომ ინგლისელთა შანსები ძალიან მცირეა.

რა უნდა მოხდეს რომ „ფიორენტინამ“ ჯგუფიდან გასვლა ვერ მოახერხოს? - ფლორენციელები შემდეგ ტურში საკუთარ მოედანზე უმოტივაციო „ლიონს“ მიიღებენ, რომელიც, სავარაუდოდ, იტალიაში გადახალისებული შემადგენლობით ჩავა. ამ შეხვედრაში გამარჯვება, „ვიოლას“ მერვედფინალისკენ გზას გაუხსნის. თუ მატჩი ფრედ დასრულდა და პარალელურ შეხვედრაში „ლივერპულმა“ „დებრეცენი“ დაამარცხა, მაშინ გუნდებს შორის სხვაობა სამ ქულამდე შემცირდება. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი პაექრობა „ენფილდზე“ შედგება „ლივერპულსა“ და „ფიორენტინას“ შორის. იქ უკვე ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარების შემთხვევაშიც კი, „ვიოლას“ შანსები უფრო ძვირად დაფასდება. ინგლისელებს ურთიერთშეხვედრებში უპირატესობის მოსაპოვებლად მეტოქის სამი ბურთის სხვაობით დამარცხება მოუწევთ, რისი გაკეთებაც, დაგვეთანხმებით, ურთულესი იქნება. ასე რომ, ჩეზარე პრანდელის გუნდიც ცალი ფეხით მერვედფინალშია.

### F ჯგუფი ინტერი

„ნერაძურიმ“ კიევში ბეწვის ხიდზე გაიარა და ჯგუფის აუტსაიდერიდან, ლიდერად მოგვევლინა. უკრაინული გამარჯვება მილანური გრანდის შანსებს ძალიან ზრდის. მთავარი ის გახლავთ, რომ ახლა „ინტერი“ მხოლოდ თავის თავზეა დამოკიდებული და თუ მოწოდების სიმაღლეზე იქნება, მერვედფინალში აუცილებლად გააღწევს.

შემდეგ ტურში „ინტერი“ „ბარსელონას“ სტუმრობს და აი, იქ კი მართლაც დიდი ფეხბურთი გაჩაღდება. თუ მილანელებმა გაიმარჯვეს, მიზანი მიღწეული იქნება, მაგრამ კატალონიაში მოგება რომ იოლი არაა, ესეც ცხადია. ამიტომ, დავუშვათ, რომ „ინტერმა“ ფრე ითამაშოს, ან სულაც წააგოს. იქ უკვე ბევრი რამე „რუბინი“-“დინამოს“ შეხვედრაზე იქნება დამოკიდებული. თუ რუსებმა მოიგეს, „ინტერს“ გადაუსწრებენ და ბოლო ტურის შეხვედრისთვის, მილანში მინიმუმ ქულის მოსაპოვებლად ჩავლენ - ასეთ შემთხვევაში ყაზანელთათვის ფრე სწორედაც რომ მისალები შედეგი იქნება, „ნერაძური“ კი მხოლოდ სამი ქულის მოპოვების შემთხვევაში გავა პლეი ოფში.

„რუბინმა“ დაცვაზე და ფრეზე თამაში რომ იცის, „ბარსელონასთან“ შეხვედრებმაც დაადასტურა, თუმცა გადამწყვეტ“ პაექრობაში, „ჯუზეპე მეაცაზე“ უდავო ფავორიტი რა თქმა უნდა „ინტერი“ იქნება. ესეც იმ შემთხვევაში, თუ „ნერაძური“ კატალონიიდან ხელმოცარული დაბრუნდება, ასე რომ, „ინტერიც“ საკმაოდ ახლოს არის მერვედფინალურ ეტაპთან.

დაბოლოს, ჟოზე მოურინიოს მოვუსმინოთ - მით უმეტეს, რომ პორტუგალიელი პირველად არ ამჟღავნებს იტალიური ფეხბურთისადმი სიყვარულს: *„სიმართლე გითხრათ, ძალიან ვნერვიულობდი, რადგან „ინტერი“ ევროარენაზე იტალიური ფეხბურთის სახელს იცავს. რაც უფრო წარმატებით გამოვლენ აპენინური კლუბები ჩემპიონთა ლიგაში, მით უფრო მაღალი იქნება სერია A-ს პრესტიჟი. ამიტომ, იტალიაში ჩვენს უშუალო კონკურენტებს ევროასპარეზზე ყოველთვის ვქომაგობ“.*

**ლაშა ნიკლაური**

ჰერთა

# ბერლინს მაკაი იხსნის?

## ჰერტაში პანტელიჩის დაბრუნებაზეც ფიქრობენ

ბუნდესლიგაში ბოლო ადგილზე უიმედოდ მყოფი ბერლინის „ჰერტა“ მხსნელს ეძებს. მესია კი, მენეჯერი **მიხაელ პრეეტცის** აზრით, ახალი თავდამსხმელი უნდა იყოს, ნამდვილი გოლეადორი, რომელიც „ჰერტას“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან იხსნის. „ბილდის“ ინფორმაციით, პრეეტცი და მისი კოლეგები 34 წლის ჰოლანდიელი თავდამსხმელის, **როი მაკაის** ტრანსფერზე ფიქრობენ, რომელიც ახლო წარსულში მიუნხენის „ბაიერნის“ ღირსებას იცავდა და რომელსაც დამტკიცებული აქვს, რომ ბუნდესლიგაში გოლების გატანა შეუძლია. ვეტერანი ფორვარდი ახლა „ფეიენოორდის“ ღირსებას იცავს და ამ კლუბში თავს კარგად ვერ გრძნობს, რადგან ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებენ.

აღსანიშნავია, რომ მაკაის მრჩეველმა თავის აგენტი „ჰერტას“ ზაფხულშიც შესთავაზა, მაგრამ ბერლინელთა იმჟამინდელმა მწვრთნელმა **ლუსიენ ფავრმა** როიზე უარი თქვა - ასაკოვანიაო. ახლა კი „ჰერტას“ **ფრიდჰელმ ფუნკელი** წვრთნის, რომელიც ამბობს:

*„ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლაში გამოცდილი ფეხბურთელები მჭირდება. თანაც ისეთები, რომლებიც ბუნდესლიგას კარგად იცნობენ და გერმანულადაც საუბრობენ“.*

მოკლედ, მაკაი „ჰერტასთვის“ ზედგამოჭრილია. მით უმეტეს, რომ „ფეიენოორდს“ დიდი ხანია, როის მოშორება უნდა, რადგან მას წელიწადში 1.5 მილიონ ევროს უხდიან. სწორედ ამიტომ, ბერლინელებს შეუძლიათ, ზამთარში მაკაი ძალიან იაფად ან სულაც უფასოდ გადაიბირონ.

*„ზამთარში თავდასხმის ხაზის გაძლიერებას ვგეგმავთ, მაგრამ კონკრეტულ გვარებს ვერ დავასახელებ. როი მაკაი კი შესანიშნავი თავდამსხმელია, უმაღლესი კლასის გოლეადორი, რომელმაც კარგად იცის, როგორ უნდა გაიტანოს გოლები“,* - ამბობს პრეეტცი. ჩვენი გერმანელი კოლეგების მტკიცებით, ბერლინელები **მარკო პანტელიჩის** („აიაქსი“) დაბრუნების საკითხსაც განიხილავენ.

**გოტფრიდ ლენცი**

მოსაზრება

# კმაყოფილი და უკმაყოფილო კოული

„ჩელსის“ მარცხენა მცველმა **ეშლი კოულმა** განაცხადა, რომ როგორც ჩემპიონთა ლიგაში, ასევე პრემიერლიგაში გამარჯვების საოცარი წყურვილი კლავს, თუმცა, იმავდროულად, რეალისტადაც რჩება. მაგალითად, კოულმა კარგად იცის, რომ სამშაბათს, მადრიდის „ატლეტიკოსთან“ ფრედ თამაშის შემდეგ, ლიგის ჯგუფურ ეტაპზე საქმე ჯერ მოთავებული არ არის. დიახ, მადრიდში ნათამაშები 2:2-ის შემდეგ „ჩელსიმ“ ჯგუფური ეტაპიდან პლეიოფში გააღწია, მაგრამ მცველს მაინც გულს აკლია.

*„ახლა პორტუში უნდა გავემგზავროთ და იმედი მაქვს, რომ იქ ისეთ შედეგს მივაღწევთ, რომლის წყალობითაც ჯგუფში პირველ ადგილზე გავალთ. კვლავ და კვლავ, ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელთაა. ასე რომ, ჩემპიონთა ლიგის შემდეგ ტურში კიდევ უფრო კარგად გვმართებს თამაში“.*

არადა, წინა ტურში, „სტემფორდ ბრიჯზე“ „ჩელსიმ“ „ატლეტიკოს“ 4:0 მოუგო. იმ შეხვედრაში თითქოს აშკარად ჩანდა ინგლისური გუნდის უპირატესობა, თუმცა, როგორც ხედავთ, საპასუხო შეხვედრაში სულ სხვა სურათი დაიხატა.

*„რა თქმა უნდა, ვიცოდით, რომ მადრიდში გაცილებით რთული შეხვედრა გველოდა, მაგრამ სინამდვილემ წარმოდგენას გადააჭარბა. „ატლეტიკო“ სულ გადასხვაფერებული დაგვიხვდა. მადრიდელებმა, როგორც მასპინძლებმა რასაკვირველია, შემოგვიტიეს და რაც ყველაზე საინტერესოა, მათ ახალი მწვრთნელი ჰყავდათ. ერთი სიტყვით, რთული შეხვედრა გვქონდა და ამისათვის მადრიდელებს კომპლიმენტი ერგებათ. ისინი მოედანზე გამოვიდნენ და მაქსიმალური წინააღმდეგობა გაგვიწიეს“.*

მოგეხსენებათ, გასულ სეზონში „ჩელსი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალთან ძალიან ახლოს იყო, მაგრამ წარმატება ხელიდან გამოეცალა, რის გამოც წლეულს ლონდონელთათვის. წარმატებას მათთვის თითქოსდა პრინციპული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ კოული ჩემპიონთა ლიგასა და პრემიერლიგის ტიტულს შორის არჩევანს ვერ აკეთებს.

*„ვგონებ, ჩვენ ორივე ჯილდოსთვის უნდა ვიბრძოლოთ. ჩვენი მხრიდან ყველაზე სწორი ყოველ კონკრეტულ შეხვედრაში გამარჯვებისთვის ბრძოლა იქნება. სულერთია, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა მოუწევს თუ ინგლისის ჩემპიონატის“.*

ჩემპიონთა ლიგაში ლონდონელების კარგ თამაშს ახალი მწვრთნელის **კარლო ანჩელოტის** დიდი გამოცდილებაც განაპირობებს. კოული მიიჩნევს, რომ ანჩელოტის მიერ დანერგილი ახალი ტაქტიკა „ჩელსის“ ფრიად უწყობს ხელს.

*„ვფიქრობ, იმ შემადგენლობას, რომელიც დღეს ჩვენ გვყავს, სხვადასხვა სისტემით შეუძლია თამაში. სტუმრად ვცდილობთ ეგრეთ წოდებული „ბრილიანტის განლაგებით“ ვითამაშოთ, რათა მოედანზე უფრო კომპაქტურად ვიყოთ განლაგებულნი და შეძლებისდაგვარად გოლი საერთოდ არ გავუშვათ. შესაბამისად, მადრიდში გაშვებულმა ორმა გოლმა დიდი უკმაყოფილების გრძნობა დაგვიტოვა. თუმცა, ამის მიუხედავად, ჩვენი ფეხბურთელები კარგად თამაშობენ და, ვიმეორებ, ნებისმიერ განლაგებას ულებენ ალღოს“.*

რასაკვირველია, ამ კვირაში „ჩელსიზე“ საუბრისას შეუძლებელია, არ ვახსენოთ პრემიერლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კარს მომდგარი შეხვედრა. ამ გახსენებაზე... კოული კმაყოფილია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „რეალში“ გადასულმა **კრისტიანო რონალდომ**, ინგლისურ ფეხბურთზე ლაპარაკისას თქვა, რომ ერთ-ერთი, რაც ყველაზე მეტად ენატრება, სწორედ „ჩელსის“ ამ ფეხბურთელთან ორთაბრძოლაა. თავად კოულსაც უთქვამს თავის ინტერვიუში იგივე. რაც შეეხება კვირის მატჩს, „ლურჯების“ მცველი ბრძანებს:

*„ვფიქრობ, დიდი თამაში უნდა გამოვიდეს. შესაძლოა დაძაბულობა გადაჭარბებულიც კი იყოს, რადგან ჩვენ კატეგორიულად არ გვინდა დამარცხება და მოწინააღმდეგეც ასევეა. ჩვენ ვგრძნობთ, რომ თუ „მანჩესტერ იუნაიტედს“ დავამარცხებთ, ჩემპიონობის შანსი გაგვეზრდება, ამიტომ, შევეცდებით გავიმარჯვოთ. ყოველ ქულას მნიშვნელობა აქვს, მაგრამ „იუნაიტედის“ ხუთი ქულით ჩამოტოვება, განსაკუთრებული რამ იქნება“.*

**ილია ბაბუნაშვილი**



ეშლი კოული (წინა პლანზე) ბურთისთვის ბრძოლაში

რომა



დანიელე დე როსისთვის ჯერ რომაა

# ერთგული კაცი

## დე როსი: ჩემპიონთა ლიგის საგზური და ჯალოროსი ბოლომდე

„რომა“ კრიზისშია და ისეთი პირი უჩანს, რომ გუნდი ვერც ამ სეზონში მოიპოვებს ჩემპიონთა ლიგის საგზურს. იტალიელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ მომავალ ზაფხულს „ჯალოროსის“ წამყვანი ფეხბურთელები დატოვებენ, მათ შორის უპირველესი კი **დანიელე დე როსი** იქნება. მის მიმართ ევროპული გრანდები სერიოზულ ინტერესს იჩენენ და საქმე საქმეზე რომ მიდგეს, დიდძალ თანხასაც გადაიხდიან. თავად დე როსი „რომადან“ წასვლის შესაძლებლობას გამორიცხავს და მომავალს ოპტიმისტურად უყურებს:

*„ჩემი გვარი წინა წლებშიც არაერთხელ დაუკავშირეს ევროპულ გრანდებს, მაგრამ როგორც ხედავთ, დღემდე „ჯალოროსის“ ერთგული ვარ. მინდა კიდევ ერთხელ განვაცხადო, რომ სხვა გუნდში თავი, უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია. „რომამ“ ძალიან ბევრი რამ მომცა და მსურს, კარიერის ბოლომდე სწორედ ჩემს საყვარელ კლუბს ვემსახურო. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება კლუბის სათავეში, ჩემთვის მთავარი „რომაა“ და მისი გულშემატკივარი. რაც შეეხება კრიზისს, დროებითი მოვლენაა, რომელიც მალე დასრულდება. ცუდი ის არის, რომ უკვე ბევრი ქულა დავკარგეთ, რამაც სკუდეტოსთვის ბრძოლის იმედი ფაქტობრივად გადაგვიწურა. სამაგიეროდ, ოთხეულში მოსახვედრად უნდა ვიბრძოლოთ, მიზნის მისაღწევად თავი არ უნდა დავზოგოთ. ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება, ჩვენთვის პრიორიტეტია“.*

**ლაშა ნიკლაური**





ახალგაზრდა ვარსკვლავი

# იოვეტიჩი: ბაჯომდე შორია

„ფიორენტინას“ ჩერნოგორიელმა ფორვარდმა **სტევან იოვეტიჩმა** ფლორენციელი ტიფოზების გულები უკვე დაიპყრო და როგორც თვითონ აცხადებს, სწორედ ეს გახლავთ მისი ყველაზე დიდი მიღწევა. თავად განსაჯეთ, იების ქალაქში ბევრი მას უკვე თვით **რობერტო ბაჯოს** ადარებს. შეგახსენებთ, რომ კარიერის საწყის წლებში რობი სწორედ „ფიორენტინაში“ ასპარეზობდა და გუნდის უდავო ლიდერი გახლდათ. თავად სტევანს ასეთი შედარება სიამოვნებს, თუმცა მიიჩნევს, რომ ბაჯომდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია:

*„როდესაც ასეთ დიდ ფეხბურთელს გადარებენ, ბუნებრივია, რომ სასიამოვნო შეგრძნება გეუფლება. თუმცა, კარგად მესმის, რომ ბაჯოსთან მიახლოებაც კი ურთულესი საქმე იქნება. ამისთვის უდიდესი შრომა უნდა გავწიო და თამაშის ყველა კომპონენტში გავაუმჯობესო. გაჩერებას ნამდვილად არ ვაპირებ და ვნახოთ, რა გამომივა. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როდესაც სერია A-ში ასპარეზობაზე ვოცნებობდი. ასეთი შანსი მომეცა და ბუნებრივია, რომ მის გამოყენებას ბოლომდე შევეცდები. „ფიორენტინა“ ბრწყინვალე გუნდია, დიდი ისტორიითა და ტრადიციებით, ამ ეტაპზე ფლორენციიდან აბარგებას ნამდვილად არ ვაპირებ. მიზნები? შორს მიმავალ გეგმებზე არ მიყვარს ლაპარაკი - დღეს „ვიოლას“ ღირსებას ვიცავ და ჩემი უპირველესი საზრუნავი გუნდისთვის სარგებლის მოტანაა. მსურს ეროვნულ ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით ვიასპარეზოთ. ევროპის უპრესტიჟულეს ტურნირში თამაში ჩემთვის დიდი პატივია და მიხარია, რომ ამის შესაძლებლობა ახალგაზრდულ ასაკში მომეცა. თავდაპირველად, ჯგუფის ფავორიტებად „ლივერპული“ და „ლიონი“ მიმაჩნდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველაფერი შეიცვალა. ინგლისელები საკუთარ მოედანზე დამაჯერებლად დავამარცხეთ და პლეიოფში გასვლის ჩინებული შანსი მოგვეცა. ყველაფერს ვილონებთ, რომ ჯგუფში სულაც პირველი ადგილი დავიკავოთ“.*

**ლაშა ნიკლაური**



სტევან იოვეტიჩი მოკრძალებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოხმაურება

# არსენმა, ასეთი თავდასხმა არასოდეს მყოლიაო...


არსენ ვენგერი შეგირდებით აღფრთოვანებულია

**არსენ ვენგერი** ამტკიცებს, რომ ისეთი ძლიერი თავდასხმა, დღეს რომ ჰყავს, „არსენალს" თვით **ტიერი ანრის** დროს არ ჰყოლია. აი, ასე გაახარა 60 წლის ფრანგი სპეციალისტი „ალკმაარის" კარში ოთხი გოლის გატანამ. ეს „ემირიტს სთედიუმზე" ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში მოხდა. გამარჯვებამ ლონდონელ მეთოფეებს ჯგუფური ეტაპი ფაქტობრივად დააძლევინა და პლეი ოფში გადაიყვანა - ერთი ქულაც და თავი უკვე ოფიციალურად ექნებათ ქუდში. „მეთოფეებმა" 4:1 მოიგეს. ვენგერმა ბრძანა:

*„ჩვენ შეტევის ამდენი ვარიანტი არასდროს გვქონია. დღეს საქმე ასარჩევად გვაქვს. თან, ნუ დაგვავიწყდება, რომ კიდევ ორი, ფანტაზიითა და შემოქმედებით აღსავსე ფეხბურთელი, თეო უოლკოტი და ნიკლას ბენდტნერი დაშავებულია. წარმოიდგინეთ, „ალკმაართან" სასტარტო შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ დენილსონი, ედუარდო და ტომაშ როსიცკი. სწორედ ამიტომ ვიყავი გაოცებული, როცა მესმოდა, როგორ მიკიჟინებდა ხალხი ახალი თავდამსხმელების ყიდვას. ღვთის გულისათვის, რაში მჭირდებოდა ფულის ხარჯვა? ჰო, მართლა, კიდევ კარლოს ველა დამავიწყდა..."*

მოგეხსენებათ, ჰოლანდიელებს ლონდონელთაგან ორი გოლი **სესკ ფაბრეგასმა** გაუტანა, თითო კი გამოჯანმრთელებულმა **სამირ ნასრიმ** და **აბუ დიაბიმ**. გოლების იმ ფოიერვერკმა, რომელიც „მეთოფეებმა" ბოლო დროს მოაწყვეს, ვენგერს 2004 წლის ზღაპრული „არსენალი", **რობერ პირესი, პატრიკ ვიეირა** და ანრი გაახსენა.

*„დღეს კი, მთლად საუცხოოდ ვითამაშეთ. როგორც ტექნიკურად, ასევე ტაქტიკურად სრულ უპირატესობას ვფლობდით, თან მთელი შეხვედრის განმავლობაში ხიფათის წინაშე არ აღმოვჩენილვართ. იმით, რაც ვიხილე, ძალიან ბედნიერი ვარ"* - დასძინა ვენგერმა.

სტატისტიკა მეტყველებს, რომ ყველა შეჯიბრებაში ერთად, „მეთოფეებს" ზედიზედ უკვე თორმეტი შეხვედრა არ წაუგიათ. ამ თორმეტიდან ვენგერის ბიჭებმა ათი მოიგეს.

ტრავმები

# რა კარგია ნემსები...

**რიო ფერდინანდის** ზურგის ტკივილი იოლი დასაამებელი არ აღმოჩნდა. ექიმების განცხადებით, „მანჩესტერ იუნაიტერდის" მცველს ექვსი კვირის გამოტოვება უწევს. ეს, ცხადია, იმას ნიშნავს, რომ ფერდინანდი ახლა კვირას პრემიერლიგის მეთორმეტე ტურის და ვინ იცის, მთელი პირველი წრის მთავარ შეხვედრაში „ჩელსის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. როგორც ფერდინანდის პარტნიორმა და ამხანაგმა, **უეს ბრაუნმა** განაცხადა, მანჩესტერელთა ცენტრალური მცველი მიმდინარე სეზონში მოედანზე ყოფნისას დაუსრულებლად ტკივილს ებრძვის. ბრაუნმა თქვა:

*„უკვე კარგა ხანია რიოს ზურგის ტკივა და ისე თამაშობს. ახლა, იმედია, ყველაფერს გამოიკვლევენ და მას გამოაჯანმრთელებენ. დარწმუნებული ვარ, ნამკურნალები გუნდში რომ დაბრუნდება, გაცილებით უკეთ ითამაშებს, მერწმუნეთ, როდესაც რაღაც გტკივა, საუკეთესო ფეხბურთს ვერ აჩვენებ".*

შეგახსენებთ, რომ ცენტრალურ მცველს, ამ შემოდგომაზე უხეში თუ ზოგადად მოხშირებული შეცდომების გამო, გვარიანი კრიტიკის მოსმენა მოუხდა. აი, მისი თანაგუნდელი **დარენ ფლეტჩერი** კი გახარებულია, რომ ჯერჯერობით საოპერაციო არ არის და ტრავმას თამაშ-თამაშ უნდა გაუმკლავდეს. ნახევარმცველმა კოჭის პრობლემის გამო ხუთი თამაში გამოტოვა. მას ამ კოჭზე ძვლის საქმე ისე აქვს, რომ ბურთთან ყოველი შეხების დროს ტკივილს გრძნობს, მაგრამ ექიმები ტკივილგამაყუჩებლებს უკეთებენ და ფეხბურთელიც ბურთაობას ახერხებს. როგორც გაირკვა, მას სეზონის ბოლომდე ასე მოუწევს გაგრძელება. ფლეტჩერმა თქვა:

*„ვარჯიშებისა და თამაშების დროს, როდესაც ვგრძნობდი, რომ ტკივილი თამაშის საშუალებას აღარ მაძლევდა, გამაყუჩებლებს მივმართავდი. საბოლოოდ, რასაკვირველია, ტრავმას მორჩენა სჭირდება, მთელი კარიერის განმავლობაში ასე ვერ გაგრძელდება, მაგრამ როგორც მითხრეს, ზაფხულამდე გტამაყუჩებლები შეიძლება რომ ვიკეთო. სერიოზულ მკურნალობას კი გაზაფხულზე შევუდგები".*

როგორც მიმომხილველები ამბობენ, სამშაბათს, როცა ფლეტჩერი მოსკოვის ცსკა-სთან შეხვედრაში (3:3) მოედანზე დაბრუნდა, ხუთი თამაშის გაცდენის გამო ფორმიდან ამოვარდნილს არ ჰგავდა, მაგრამ იმ თამაშში მსაჯმა სიმულაციისთვის ყვითელი ბარათით დასაჯა და ფეხბურთელი ამან აღაშფოთა. 49-ე წუთზე, როცა ანგარიში 3:1 იყო მოსკოველების სასარგებლოდ, ფლეტჩერი **ანდრეი ბერეზუცკიმ** საჯარიმოში თითქოს წააქცია, ყოველ შემთხვევაში, ინგლისელი დარწმუნებული იყო, რომ რუსმა მის წინააღმდეგ თამაშის წესი დაარღვია და პორტუგალიელ მსაჯ **ოლეგარიო ბენკერენსას** პენალტის დანიშვნა მართებდა, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. ნახევარმცველი იგონებს:

*„მე შემოვბრუნდი, იმ ბიჭმა კი მომცელა. ამ დროს მსაჯის სასტვენის ხმაც გავიგონე და გამიხარდა. ვიფიქრე, რა დიდებულია, მეორე ტაიმის დასაწყისშივე პენალტს დავარტყამთ და იქნებ თამაშის ბედი შემოვატრიალოთ-მეთქი, მაგრამ დავინახე, რომ არბიტრი ჩემ წინ დადგა და ყვითელი ბარათი აღმართა. საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი".*



წააქცია ანდრეი ბერეზუცკიმ დარენ ფლეტჩერი?

მეგობრები

# შეუპოვარი გინგამიდან

შვიდი წლის წინ, როდესაც **ფლორან მალუდა**, პირველად შეხვდა **დიდიე დროგბას**, მალუდამ, აღმოაჩინა, რომ ეს ბიჭი განსაკუთრებული იყო. დღეს ისინი საუკეთესო მეგობრები არიან, ორივენი „ჩელსიში" თამაშობენ და თვალი პრემიერლიგისა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე უჭირავთ. 29 წლის მალუდა, გასულ სეზონში, ნახევარფინალში დამარცხებასაც იხსენებს, მომხდარზე რასაკვირველია, გული სტკივა და მომავალს იმედით უყურებს.

თუმცა, დავუბრუნდეთ მალუდასა და დროგბას გზებს, რომლებიც პირველად 2002 წელს გადაიკვეთა, როდესაც ფრანგულმა კლუბმა „გინგამმა", სადაც მალუდა ჯერ კიდევ ადგილის დამკვიდრებას ცდილობდა, „ლე მანიდან" დაახლოებით 130 ათას დოლარად დაუხვეწავი, მაგრამ აშკარად შეუპოვარი დროგბა გადმოიყვანა.

მალუდა იხსენებს: *„ჯერ კიდევ მაშინ, „გინგამში", დიდიე გამოკვეთილი ლიდერი გახდა. ის გასახდელში ბიჭებს შეუძახებდა და ბრძოლისკენ მოუწოდებდა, ხოლმე. რაც მე ამ კაცს ვიცნობ, მას ირგვარი და სიმწვავით აღსავსე იყო. უეფას დისკვალიფიკაციის გამო მან ჩემპიონთა ლიგის რამდენიმე შეხვედრაში დაისვენა კიდეც, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგ ზეა, ის დაგვიბრუნდა და ტიტულს ჩვენთან ერთად შეუტევს".*

რამდენიმე შეხვედრაში დაისვენაო... მალუდა არც იმას მალავს, რომ დროგბას დღემდე მწარედ ახსოვს გასული გათამაშების ნახევარფინალი „ბარსელონასთან", რომლის დამთავრების შემდეგ, თავი ველარ შეიკავა და ნორვეგიელ მსაჯს **ტომ ჰენინგ ოვერბოს** „კაზმული" სიტყვები არ დააკლო.

მალუდა ამბობს: *„ჩვენს კლუბში იმ დღის გახსენება არავის სიამოვნებს, რადგან ემოცია ჯერ კიდევ არ განელებულა და იმ თამაშზე ლაპარაკი ვნებათაღელვას იწვევს. დიდიე დასაჯეს, მან კი დისკვალიფიკაცია მოიხადა და არნახულად ძლიერი დაუბრუნდა მოედანს. ახალ სეზონში დროგბა, ისევე როგორც მთელი გუნდი, ყველა ღონეს ვიხმართ, რათა გავიმარჯვოთ და დავამტკიცოთ, რომ*


ფლორან მალუდა და დიდიე დროგბა

*საკუთარი თავისა და შესაძლებლობების სწამს. წარმოიდგინეთ, სადღაც, საფრანგეთის მეორე დივიზიონში, „ლე მანში" მოთამაშე ყმაწვილი უკვე დიდ წარმატებებზე ოცნებობდა და განა მარტო ოცნებობდა, საკუთარ თავს ამისათვის ამზადებდა კიდეც. სწორედ ამიტომ, დროგბას დღევანდელი მდგომარეობა, სახელი და დიდება საერთოდ არ მაკვირვებს. და რომ იცოდეთ, ამ ყველაფრის მიუხედავად, იგი როგორ მუხლჩაუხრელად შრომობს. დროგბა ყოველ ვარჯიშზე უფრო მონდომებულია, ვიდრე წინაზე იყო. მე თუ მკითხავთ, „ჩელსიში" მსოფლიო კლასის ფეხბურთელები ის, ჯონ ტერი და ფრენკ ლემპარდი არიან. როდესაც დიდიე მოედანზე შესაძლებლობების მაქსიმუმს ამჟღავნებს, მისი ნებისმიერ მეტოქეს უნდა ეშინოდეს".*

მოგეხსენებათ, დიდიე დროგბა ევროტურნირებზე სამთამაშიანი დისკვალიფიკაციით გახლდათ დასჯილი და ეს ვადა სამშაბათს გაუვიდა. მადრიდის „ატლეტიკოსთან" 2:2 დამთავრებულ შეხვედრაში ლონდონელთა ორივე გოლი მან გაიტანა. ასე და ამგვარად, მიმდინარე სეზონში, ყველა შეჯიბრებაში ერთად, დროგბას უკვე 12 გოლი დაუგროვდა და თუ მალუდას დავუჯერებთ - თუმცა, ამისთვის მალუდა არც გვჭირდება - მისგან გაცილებით მეტს უნდა ველოდეთ.

*„დიდიე საუკეთესო ფორმაშია, რადგან იგი კარგა ხანია არ დაშავებულა და სეზონის წინაც ლაზათიანად მოემზადა. საკუთარი თავისა, რასაკვირველია, ტრადიციულად სწამს და გალაღებულს თამაში სიამოვნებს. თუ აკვირდებით, შეამჩნევდით, რომ ამ სეზონში, დროგბამ „ჩელსის" შეხვედრებში ათასი ხერხი სცადა, მისი მოქმედება ნაუძლიერესნი ვართ. გამარჯვებას გასულ სეზონშიც ჩვენ ვიმსახურებდით".*

და მართლაც, „ჩელსი" წინ მიიწევს. „ლურჯებს", ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიდან პლეი ოფის სტადიაზე გადასვლა უკვე გარანტირებული აქვთ, ასე რომ, კვირას პრემიერლიგის მთავარი დაპირისპირებისთვის შეუძლიათ მშვიდად და მთელი ძალით მოემზადონ - მოგეხსენებათ, მეთორმეტე ტურში ლონდონელები „სტემფორდ ბრიჯზე" „მანჩესტერ იუნაიტედს" მასპინძლობენ. თერთმეტი ტურის შემდეგ ცხრილში პირველ ადგილზე „ჩელსია", „იუნაიტედი" კი მას ორად ორი ქულით ჩამორჩება.

მალუდა დასძენს: *„ეს იქნება ძალიან დიდი თამაში, რომელშიც შევეცდებით საუკეთესო ფეხბურთი ვაჩვენოთ. ჩვენ მანჩესტერელებს ორი ქულით ვუსწრებთ და ყველა ღონეს ვიხმართ, რათა უპირატესობა ხელიდან არ გავუშვათ. მოგეხსენებათ მომდევნო კვირაში სანაკრებო თამაშებია, პრემიერლიგა 21 ნოემბრამდე დუმდება და ამ დროის განმავლობაში პირველ ადგილზე დამკვიდრება ფსიქოლოგიურად არის ძალიან მნიშვნელოვანი. რასაკვირველია, იმის თქმა, რომ პრემიერლიგის ტიტული მაინცადამაინც ჩვენსა და „იუნაიტედს" შორის გათამაშდება, ძალიან ნაადრევია, მაგრამ მანჩესტერელები ჩვენი კონკურენტები რომ არიან და მათი დამარცხება ძალიან დიდი საქმეა, აშკარაა. თუ მოვიგებთ, მეტოქეს უკვე ხუთი ქულით გავუსწრებთ და ეს დიდებული იქნება".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

# ნოვაცია: www.geonoc.org.ge

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ქართული სპორტის ქომაგებს და ჟურნალისტებს კიდევ ერთი კარგი საქმე გაგვიკეთა - შექმნა სეოკ-ის საიტი, რომელიც სულ უფრო აქტიურად ჩადგება ქართული სპორტის სამსახურში. სამწუხაროდ, ჯერ საქართველოში ბევრი არც სპორტული ინტერნეტსაიტია და, შესაბამისად, ამ გზით ინფორმაციის მიღების კულტურაც დაბალია. ოლიმპიურ თუ არაოლიმპიურ თემებზე სპორტული ამბების გაგება ამიერიდან დაინტერესებულთ ამ საიტზეც შეეძლებათ - www.geonoc.org.ge

ქართულ სპორტზე, მის დღევანდელობასა და მდიდარ ისტორიაზე ინფორმაციების მიღება ქართველებთან ერთად უცხოელებსაც შეუძლიათ დედამიწის ნებისმიერ წერტილში. საიტი ქართულ და ინგლისურენოვანია. ოლიმპიადების, მსოფლიოსა თუ ევროპის პირველობების გარდა, ადგილი დაეთმობა ცალკეულ სპორტსმენების ბიოგრაფიას და მიღწევებს, ფოტოსურათებს, ვიდეორგოლებს, ოპერატიულ სპორტულ ამბებს. წარმოდგენილი იქნება სეოკ-ის სტრუქტურა, მისი შემადგენლობა. გამოქვეყნდება ყოველი თვის სპორტული კალენდარი, სხვა ქვეყნების ეოკ-თა კოორდინატები და სხვა... სამომავლოდ დაემატება სპორტის ცალკეულ სახეობებათა საერთაშორისო ფედერაციების მისამართებიც.

გასაგებია, საიტი ჯერ კიდევ შექმნის პროცესშია და ინფორმაციულად სრულად დატვირთული ვერაა. გუშინ ოლიმპიური კომიტეტის ოფისში გამართულ პრეზენტაციაზე, რომელსაც ოლიმპიური ჩემპიონებიც ესწრებოდნენ, მასპინძლებმა საგანგებოდ ითხოვეს დახმარება. საიტზე დასადებად ყველანაირი ინფორმაცია და ფოტო მნიშვნელოვანია... განსაკუთრებით საშურია გალერეის შევსება და ამაზეც აქტიურად მუშაობენ. სეოკ-ი ფოტო თუ ვიდეომასალას სოკი-დანაც ელოდება. სეოკ-ისთვის ცოტა მოულოდნელი აღმოჩნდა რუსულ ტელეარხ „ნტვ-სპორტის" დაინტერესება, რომელიც იქაურ არქივებში მასალების მოძიებას და გადმოცემას დათანხმდა.

იმედია, ეს საიტი ქართული სპორტის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი შენაძენი გახდება, მისი შექმნის იდეა კი მისასალმებელია, როგორც მოწინავე ტექნოლოგიური ნოვაცია. კარგი იქნება, სიახლეს სპორტული ფედერაციებიც თუ გადაიღებენ.

**ირაკლი თავაძე**

რაგბი — ამხანაგური შეხვედრა

# დიდი რაგბობა ვაკეში

დღეს, ვაკეში, „ლოკომოტივის" სტადიონზე საქართველოს A ნაკრები თავის პირველ შეხვედრას გამართავს. ჩვენი გუნდის მეტოქე პოლონეთის ეროვნული ნაკრები იქნება.

აღსანიშნავია, რომ პოლონელებთან ქართველებს უარყოფითი ბალანსი აქვთ. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ორი შეხვედრიდან ორივე პოლონელთა გამარჯვებით დასრულდა.

სტუმართა რიგებში საქართველოს A ნაკრების წინააღმდეგ ორი ქართველი ითამაშებს: მესამეხაზელი მერაბ გაბუნია და ფულბეკი სერგო კვერნაძე ქუთაისური სარაგბო სკოლის აღზრდილები არიან. გაბუნიას საქართველოს ოცწლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში, რომელსაც **ლევან მგელაძე** წვრთნიდა, FIRA AER-ის ევროპის ჩემპიონის ტიტული აქვს მოპოვებული.

საქართველოს A ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ოთხი დებიუტანტია, ანუ ისეთნი, რომელთაც ეროვნულ გუნდში არასდროს უთამაშიათ: **გიგა კორკელია** (ლელო), **ირაკლი ნინიძე** (ბათუმი XV), **სანდრო ნიჟარაძე** (ყოჩები) და **კარლენ ასეიშვილი** (ყოჩები).

დიდი ხანია, სანაკრებო კანდიდატთა სიაშიც ვერ ხვდებოდნენ **შოთა საყვარელიძე** (სენტ ეტიენი) და **დიმა პავლოვი** (ფიჟაკი). ამდენად, ეროვნული ნაკრების მწვრთნელისთვის მათი საქმეში ნახვა, ვფიქრობ, საინტერესო იქნება.

შეგახსენებთ, რომ კვირის თავზე საქართველოს A ნაკრები უკრაინის ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდება. ორივე შეხვედრა 18 საათზე დაიწყება.

საქართველო A: **15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. ირაკლი ჩხიკვაძე, 13. გიგა კორკელია, 12. ირაკლი ნინიძე, 11. სანდრო ნიჟარაძე, 10. ლაშა ხმალაძე, 9. ბიძინა სამხარაძე. 1. კარლენ ასეიშვილი, 2. ირაკლი ჭყონია, 3. ვასილ კაკოვინი, 4. კახაბერ უჩავა, 5. დიმიტრი პავლოვი, 6. შოთა საყვარელიძე, 7. ვიტო კოლელიშვილი, 8. ზვიად მაისურაძე.**

სათადარიგოები: **16. გიორგი ნაცარაშვილი, 17. ჯაბა ბრეგვაძე, 18. ირაკლი მირცხულავა, 19. ილია სურგულაძე, 20. გიორგი კაჭარავა, 21. ბექა ნიკალური, 22. ირაკლი გეგენავა, 23. გიორგი ჯიმშელაძე.**

პოლონეთი: **15. სერგო კვერნაძე, 14. პატრიკ ნარვოიში, 13. პიოტრ პსუი, 12. ლუკაშ ნოვოში, 11. დარიუშ კანიოვსკი, 10. ლუკაშ ჟორავსკი, 9. მაციე პაბიანჩიკი. 1. მიხალ კროლიკოვსკი, 2. რაფალ კვიატკოვსკი, 3. რაფალ ვოტოჟინსკი, 4. ტომაშ იედრალი, 5. დომინიკ ფორტუნა, 6. კასპერ ლავსკი, 7. სლავომირ იელინსკი, 8. მერაბ გაბუნია.**

სათადარიგოები: **16. გრეგორ იანეცი, 17. ტომაშ გოლაბი, 18. ლუკაშ დორომკევიჩი, 19. მიხალ მიროში, 20. კაროლ დენისიუკი, 21. ანდრეი მილჩაკი, 22. მარეკ სკინოლელი, 23. მიხალ კისელი, 24. პრჟემისლავ იეჟნოჩი.**

მსაჯი: უჩა ნარიმანიძე (საქართველო)

**ბესიკ ჯანგავაძე**

# არგენტინელთა რაზმი ცნობილია

საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქის, არგენტინის A ნაკრების მწვრთნელმა **ხოსე ორენგომ** 28-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. არგენტინელები თბილისში 13 ნოემბერს გვეწვევიან, 14 ნოემბერს კი ეროვნულ სტადიონზე ბორჯღალოსნებს დაუპირისპირდებიან. თამაში 16 საათსა და 15 წუთზე დაიწყება.

არგენტინელთა გუნდი საკმაოდ გამოცდილი მორაგბეებით იქნება დაკომპლექტებული. ერთადერთი მორაგბე, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში არასდროს უთამაშია, 20 წლის შერკინების ბურჯი **ფრანსისკო კაპაროა**. ყველაზე მეტი, 15 კეპი კი 28 წლის შუამარბ **მიგელ ავრამოვიჩს** აქვს. 13 კეპის მფლობელია შერკინების ბურჯი **ხუან გომესი**, 12 მატჩში უთამაშია ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში გარემარბ **ხოსე მერელოს**. ერთი სიტყვით, არგენტინელები საკმაოდ ძლიერი გუნდით მოდიან და ბორჯღალოსნებს საინტერესო მეტოქესთან საკმაოდ ძნელი მატჩი ელით.

არგენტინა A: პირველი ხაზი: **მატიას კორტესი (ლიცეო), გასტონ დე რობერტისი (რეგატას დე ბელა ვისტა), ხუან გომესი (ლიდს კარნეგი), პაბლო ენი (ბრივი), ალვარო ტეხედა (ოვერმაკი), ფრანსისკო კაპარო (ლა პლატა).**

მეორე ხაზი: **როდრიგო ბაესი (ლიცეო), კარლოს კასერესი (ტუკუმანი), მარიანო გალარსა (უნივერსიტარიო), ტომას როანი (ლა პლატა).**

მესამე ხაზი: **როდრიგო ბრუნო (ჟოკეი დე ვილა მარია), აუგუსტინ გუსმანი (ტუკუმანი), ბენჟამინ მაკომე (ტუკუმანი), იგნასიო პასმანი (კამპანა), ლეონარდო სენატორე (გერ)**

№9: **ფრანსისკო ალბარაკინი (ლა პლატა), მარტინ ლანდახო (კასი).**

№10: **სანტიაგო გონსალესი (ალუმნი), იგნასიო მიერესი (სტად ფრანსე).**

№12-13: **მიგელ ავრამოვიჩი (ალუმნი), ხუან პაბლო ესტელესი (ატლეტიკო დე როსარიო), ალბერტო სან მარტინი (ტალა), მატიას ვიაზო (ბურგუენი).**

№11-14: **ბელსარიო აგულა (ინდუ), ტომას დე ვედია (სიკ), ხოსე მერელო (რეგატას დე ბელა ვისტა),**

№15: **ხოაკინ ტუკულეტი (ლოს ტილოს), მარტინ ბუსტოსი (კორდობა ატლეტიკი).**

**ბესიკ ჯანგავაძე**

კაპიტნები — რუბრიკის პრემიერა

# მისი ფარქვეშ შეჩერება შეუძლებელი იყო

**მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. ქვეყანა სულს ითქვამდა და ნელ-ნელა სისხლსავსე ცხოვრებას იბრუნებდა. იმ დღეს გალაქტიონი მრგვალ მაგიდასთან სტუმართან ერთად იჯდა და ტკბილად ემუსაიფებოდა. ამ დროს ოთახში ვარჯიშიდან დაბრუნებული ნუნუ შევიდა. სპორტული ჩანთა კუთხეში დადო თუ არა, გალაქტიონმა ხელი მისკენ გაიშვირა და - აი, ჩვენი კაპიტანიც მოვიდაო, თქვა ღიმილით. მაგიდასთან მჯდომი სამხედროფორმიანი ლეიტენანტი მაშინვე წამოხტა და მხედრულად მიესალმა ქალიშვილს. ამის შემყურე დიდმა პოეტმა, ჩვეულებისამებრ, გულიანად გადაიხარხარა. შეცბუნებული სტუმარი ხან ნუნუს გადახედავდა, ხან - მასპინძელს. გალაქტიონმა სიცილით გული რომ იჯერა, კმაყოფილმა მარჯვენა ხელი წვერზე ჩამოისვა და სტუმარს მიმართა: დაჯექი, დაჯექი, ჩვენი ნუნუ სამხედრო კი არა, კალათბურთელთა გუნდის კაპიტანიაო, უთხრა...**



ნუნუ ებანოიძე და გალაქტიონი

**- ქალბატონო ნუნუ, სტაჟიანმა გულშემატკივრებმა იციან, რომ 1943 წელს დედათქვენი გალაქტიონ ტაბიძეს მისთხოვდა. თქვენ მასთან კარგი ურთიერთობა გქონდათ. ლექსთა მეფეს სპორტი თუ უყვარდა?** - ვკითხე ნუნუ ებანოიძეს, ქართული ქალთა კალათბურთის ღირსეულ წარმომადგენელს, უნივერსიტეტის გუნდის კაპიტანს, რომელსაც სხვადასხვა შეჯიბრებაზე მრავალჯერ გამოუჩენია თავი და საქართველოს ნაკრებისთვისაც არაერთხელ უწინამძღოლია.

- სპორტი უყვარდა, მაგრამ ტურნირებზე დასასწრებად იშვიათად იცლიდა. 1946 წელს კიროვის პარკში ქუთაისისა და თბილისის კალათბურთელ ვაჟთა შეხვედრას ჩემთან ერთად უყურა და გამარჯვებულ რიონისპირელებს ექსპრომტად ლექსიც უძღვნა. რამდენჯერმე ჩემს თამაშებზეც მოვიდა. ერთხელ თბილისის ჩემპიონები რომ გავხდით, მე და ზეინაბ მუშკუდიანმა გალაქტიონთან მივირბინეთ და სიგელები ვაჩვენეთ. დიდმა პოეტმა შეგვაქო და ორივეს თუმან-თუმანი გვაჩუქა. 10 მანეთი მაშინ ფული იყო.

**- თავად როგორ მოხვდით კალათბურთში?**



1948 წელი. უნივერსიტეტის ნაკრები. მარცხნიდან: ნუნუ ებანოიძე, ირა გაბაშვილი, ვარდო დემეტრაშვილი, თამარ ფცქიალაძე, ჟენიკო ფცქიალაძე

- სრულიად შემთხვევით: უნივერსიტეტის პირველკურსელები - ვარდო დემეტრაშვილი, თამარ ფცქიალაძე, ციალა ჟღენტი, ეთერ გელაშვილი, ეთერ ჯაფარიძე და მე შალვა დიასამიძემ კაბინეტში დაგვიბარა და გვითხრა, სტუდენტური გუნდი უნდა ჩამოვაყალიბოთო. მანამდე კალათბურთი სერიოზულად არავის გვეთამაშა. ამიტომ, ცოტა არ იყოს, გაგვიკვირდა კიდეც. ბატონ შალვას გაეღიმა. ნუ გეშინიათ, თუ მოინდომებთ, ისწავლითო, გვითხრა. მეორე დღეს უკვე ფორმებში გამოწყობილნი მოედანზე ვიდექით.

**- „საბრძოლო ნათლობა" როდის მიიღეთ?**

- სამი თვის შემდეგ ბატონმა შალვამ საქართველოს ექსჩემპიონებს - დინამოელებს შეგვახვედრა. ცხადია, დიდი ანგარიშით დავმარცხდით. ის მატჩი ჩემთვის კურიოზულად დაიწყო: მეტოქემ ანგარიში რომ გახსნა, თამარ ფცქიალაძემ პირითი ხაზიდან ბურთი მე მომაწოდა. უცებ ჩემ წინ ორი დინამოელი აღიმართა. პასს ვერავის ვაწვდიდი. შეშინებული შევტრიალდი და ბურთი ფარისკენ ვისროლე. თანაგუნდელებმა შეჰკივლეს, მაგრამ გვიანლა იყო - ბურთი ჩვენს კალათში ჩაეშვა. არა მგონია, მსოფლიოში ვინმეს ამგვარი დებიუტი ჰქონოდეს კალათბურთში...

კურიოზული დასაწყისის მიუხედავად, უნივერსიტეტის ქალთა გუნდის წევრები ნელ-ნელა ისე გაინაფნენ, რომ 1948 წელს საქართველოს ჩემპიონატის ფინალში თბილისის „დინამოს" სძლიეს და პირველი ადგილი დაიკავეს, ცოტა უფრო ადრე კი, „ნაუკას" საკავშირო პირველობაზე ლენინგრადში ყველას აჯობეს. მომდევნო წელს მეორე ადგილზე გავიდნენ. ამ შეჯიბრებებზე გუნდს ნუნუ ებანოიძე კაპიტნობდა. თანამედროვეთა თქმით, მისი ფარქვეშ შეჩერება შეუძლებელი იყო. სამაგალითოდ 1949 წლის საქართველოს თასის გათამაშებაც კმარა. უნივერსიტეტელები გადამწყვეტ მატჩში ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს შეხვდნენ. დაძაბული მატჩი გამოდგა. საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე ბურთი ნუნუ ებანოიძემ ჩაიგდო ხელთ, მეტოქის ფარისკენ გაიჭრა, მაგრამ აკრძალული ილეთით შეაჩერეს. დაინიშნა ჯარიმა და თამაშისთვის განკუთვნილი დროც ამოიწურა. კაპიტანმა ორივე ტყორცნა ზუსტად გამოიყენა და საკუთარ გუნდს გამარჯვება მოუტანა. იმავე წელს თსუ-ს კალათბურთელი ქალები საკავშირო თასის გათამაშებაში ჩაებნენ. პირველ მატჩში სტუმრად სვერდლოვსკელებს სძლიეს. იქიდან საბარგო თვითმფრინავით დუშანბეში ჩაფრინდნენ. იქ უარესი დღე დაადგათ: მასპინძლებმა შეჯიბრება შუადღისას დანიშნეს - აქაოდა ქართველები პაპანაქებას ვერ გაუძლებენ და დამარცხდებიანო, იფიქრეს შუააზიელებმა, ის კი დაავიწყდათ, რომ მათი გუნდის ღირსებას რუსები იცავდნენ. მატჩის მსვლელობისას ადგილობრივებს საკუთარი კალათბურთელების სულის მოსაბრუნებლად ვედროებით ცივი წყალი მოჰქონდათ თურმე, მაგრამ წაგებისგან მაინც ვერ იხსნეს.

**- კურიოზები თქვენ ლენინგრადში „ნაუკას" პირველობაზეც გადაგხდენიათ,** - შევახსენე ქალბატონ ნუნუს.

- სასაცილო შემთხვევებს მართლაც ბევრჯერ შევსწრებივარ. ლენინგრადში გამგზავრებისას, გზად საგზალი შემოგველია. გადავწყვიტეთ, სურსათის მარაგი შეგვევსო. მატარებელი სადგურ „კავკაზსკაიაში" გაჩერდა. გასტრონომთან ისეთი რიგი გაჩნდა, რომ შიგ შესვლა წარმოუდგენელი იყო. ბიჭებს ვთხოვეთ დახმარება. ლევ ძეკონსკიმ და ნოდარ ჯორჯიკიამ სურენ ოგანეზოვს უთხრეს, მიდი, როგორმე თავი შეყავი მაღაზიაში, ჩვენ ვიყვირებთ, მატარებელი გადისო, ხალხი გამოიქცევა, შენ კი პროდუქტები აიღეო. მართლაც, სურენი რიგებში მიიმალა. ცოტა ხანში ბიჭებმა მართლაც დაიყვირეს რუსულად, მატარებელი გადისო. ხალხი კისრისტეხით ვაგონებისკენ გამოიქცა. ვხედავთ, პირველი სურენი მორბის. გზად ძეკონსკის შეეჩეხა. მართლა გადის მატარებელიო?! - ჰკითხა შეშფოთებულმა. ამის შემყურე, წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავცვივდებოდით...

ერთი საინტერესო ეპიზოდიც მახსენდება: „ნაუკას" პირველობაზე ფინალისწინა საღამოს დათიკო ქამუშაძემ შოკოლადის ფილები შემოგვიტანა - მიირთვით, ძალას შეგმატებთო. მივხვდით, საიდანაც ჰქონდა მოპარული: ვაჟთა გუნდში ერთი ახალბედა კალათბურთელი თამაშობდა - ჩვიდმეტი წლის კარლო ადეიშვილი. დედისერთა ბიჭი იყო, შეძლებული ოჯახიდან. შეჯიბრებებზე გამგზავრებისას მშობლები ჩემოდანს ათასგვარი სასუსნავით უვსებდნენ. ჩვენთვის მორთმეული ძღვენი სწორედ მისი მარაგიდან იყო. ცოტა ხნის შემდეგ გაბრაზებული კარლო მწვრთნელის ოთახში შევიდა ნახევარი ფილა შოკოლადით და ავალიშვილს შესჩივლა, ბიჭებმა კანფეტი მომპარესო. ბატონმა გიორგიმ ახედ-დახედა შეგირდს, მერე შოკოლადის ნატეხი გამოართვა და სულ შეჭამა - ბიჭოს, ეს მართლა გემრიელი ყოფილა და მათი რა ბრალიაო. კარლო უსიტყვოდ გამობრუნდა. ფინალური შეხვედრა რომ მოვიგეთ, პირველი მან მოგვილოცა გამარჯვება - ჩემი შოკოლადი რომ არ გეჭამათ, ჩემპიონები ვერ გახდებოდითო, გვითხრა სიცილით.

**- ქალბატონო ნუნუ, ადრე ხშირად გხედავდით საკალათბურთო მატჩებზე...**

- სანამ ჩემი შვილიშვილი რეზო ჩხეიძე თამაშობდა, მატჩებს არ ვაცდენდი. მერე თანდათან მოვუკელი დარბაზში სიარულს. მოგეხსენებათ, წლებს თავისი მიაქვს.

**- დღევანდელ ქართულ კალათბურთზე რას იტყვით?**

- კარგი ბიჭები გვყავს. ძალიან გამიხარდა ევროპის B დივიზიონი რომ მოიგეს. ისე, ჩვენს დროს კალათბურთი უფრო პოპულარული იყო. მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩემპიონატში ვაჟთა 24 გუნდი მონაწილეობდა. ქალთა პირველობებშიც ძლიერი გუნდები თამაშობდნენ, ამიტომაც იყო, რომ 1953 წელს თბილისის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ჩემთან ერთად ალისა ასიტაშვილი, ვერა გნიოტოვა, დარეჯან გრიგოლაშვილი, თამარ ფცქიალაძე, ციალა ჟღენტი, ნელი ტოტიაშვილი, ანეტა მეუნარგია, ელენა ვარლამოვა და ანეტა ოგანოვა (მწვრთნელი შალვა დიასამიძე) გამოდიოდნენ, რიგაში საბჭოთა კავშირის ქალაქების პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა. დღეს კი ჩვენთან ქალთა კალათბურთი საერთოდ დაშლილია. ბუნებით ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ უწინდელი ტრადიციები აქაც აღდგება.

**ვაჟა დანელია**

## კალათბურთი

სუპერლიგა

# სჯობს გვიან...

დღეს რუსთავში "ენერჯი"-"მერანის" მატჩით სუპერლიგის მე-19 გათამაშება დაიწყება. ვინაიდან ზოგიერთ კლუბს ყოფნა-არყოფნის საკითხი გასარკვევი ჰქონდა, ჩემპიონატი დაგვიანებით იწყება...

...თუმცა, "ავიამშენის" და ჭიათურის "მერანის" გარეშე ადრე დაწყებულ ჩემპიონატს 2-3 კვირით მოცდა სჯობდა. ახალ სეზონში სარეკორდო რაოდენობა, 10 გუნდი ითამაშებს: „ენერჯი ინვესტი" (რუსთავი), „თბილავიამშენი", „დინამო", „სამედიცინო–აკადემია", თსუ, შსს, საუ, „ბათუმი", „სოხუმი", „მერანი" (ჭიათურა).

### 2009-10 წლების სეზონის კალენდარი

**I წრე**

**6.11.09 პარასკევი**
16.00 ენერჯი- მერანი

**7.11.09 შაბათი**
12.00 სამედ/აკადემია- საუ
14.00 შსს- თსუ
16.00 დინამო- ბათუმი
18.00 სოხუმი- ავიამშენი

**13.11.09 პარასკევი**
16.00 ენერჯი-ბათუმი

**15.11.09 კვირა**
12.00 მერანი-სამედ/აკად.
14.00 საუ-სოხუმი
16.00 ავიამშენი-შსს
18.00 თსუ-დინამო

**18.11.09 ოთხშაბათი**
16.00 ენერჯი-სამედ/აკად.

**21.11.09 შაბათი**
12.00 დინამო-ავიამშენი
14.00 შსს-საუ
16.00 თსუ-ბათუმი
18.00 სოხუმი-მერანი

**27.11.09 პარასკევი**
18.00 ბათუმი-ავიამშენი

**28.11.09 შაბათი**
12.00 მერანი-შსს
14.00 თსუ-ენერჯი
16.00 სამედ/აკად.-სოხუმი
18.00 საუ-დინამო

**4.12.09 პარასკევი**
18.00 ბათუმი-საუ

**5.12.09 შაბათი**
12.00 დინამო-მერანი
14.00 სოხუმი-ენერჯი
16.00 თსუ-ავიამშენი
18.00 შსს-სამედ/აკად

**11.12.09 პარასკევი**
16.00 ენერჯი-ავიამშენი

**12.12.09 შაბათი**
12.00 სოხუმი-შსს
14.00 საუ-თსუ
16.00 მერანი-ბათუმი
18.00 სამედ/აკად-დინამო

**18.12.09 პარასკევი**
18.00 ბათუმი-სამედ/აკად

**19.12.09 შაბათი**
12.00 თსუ-მერანი
14.00 შსს-ენერჯი
16.00 ავიამშენი-საუ
18.00 დინამო-სოხუმი

**25.12.09 პარასკევი**
18.00 ბათუმი-შსს

**26.12.09 შაბათი**
12.00 საუ-მერანი
14.00 ავიამშ.-სამედ/აკად.
16.00 დინამო-ენერჯი
18.00 თსუ-სოხუმი

**28.12.09 სამშაბათი**
12.00 მერანი-ავიამშენი
14.00 სოხუმი-ბათუმი
16.00 შსს-დინამო
18.00 სამედ/აკადემია-თსუ

**29.12.09 ოთხშაბათი**
16.00 ენერჯი-საუ

**II წრე**

**29.01.10 პარასკევი**
18.00 ბათუმი-დინამო

**30.01.10 შაბათი**
12.00 საუ-სამედ/აკად.
14.00 სოხუმი-ავიამშენი
16.00 მერანი-ენერჯი
18.00 თსუ-შსს

**5.02.10 პარასკევი**
18.00 ბათუმი-ენერჯი

**6.02.10 შაბათი**
12.00 სამედ/აკად.-მერანი
14.00 დინამო-თსუ
16.00 შსს-ავიამშენი
18.00 სოხუმი-საუ

**12.02.10 პარასკევი**
18.00 ბათუმი-თსუ

**13.02.10 შაბათი**
12.00 მერანი-სოხუმი
14.00 საუ-შსს
16.00 სამედ/აკად-ენერჯი
18.00 ავიამშენი-დინამო

**19.01.10 პარასკევი**
16.00 ენერჯი-თსუ

**20.02.10 შაბათი**
12.00 საუ-დინამო
14.00 ავიამშენი-ბათუმი
16.00 შსს-მერანი
18.00 სოხუმი-სამედ/აკად

**26.02.10 პარასკევი**
16.00 ენერჯი-სოხუმი

**27.02.10 შაბათი**
12.00 სამედ/აკად-შსს
14.00 საუ-ბათუმი
16.00 ავიამშენი-თსუ
18.00 მერანი-დინამო

**5.03.10 პარასკევი**
18.00 ბათუმი-მერანი

**6.03.10 შაბათი**
12.00 დინამო-სამედ/აკად
14.00 თსუ-საუ
16.00 ავიამშენი-ენერჯი
18.00 შსს-სოხუმი

**12.03.10 პარასკევი**
16.00 ენერჯი-შსს

**13.03.10 შაბათი**
12.00 მერანი-თსუ
14.00 საუ-ავიამშენი
16.00 სამედ/აკად-ბათუმი
18.00 სოხუმი-დინამო

**19.03.10 პარასკევი**
16.00 ენერჯი-დინამო

**20.03.10 შაბათი**
12.00 მერანი-საუ
14.00 შსს-ბათუმი
16.00 სოხუმი-თსუ
18.00 სამედ/აკად-ავიამშენი

**26.03.10 პარასკევი**
18.00 ბათუმი-სოხუმი

**27.03.10 შაბათი**
12.00 ავიამშენი-მერანი
14.00 საუ-ენერჯი
16.00 დინამო-შსს
18.00 თსუ-სამედ/აკად

**სუპერლიგის მეოთხედფინალები:**
15,16,18 აპრილი.

**ნახევარფინალები:**
26, 28, 30, აპრილი,
2, 4 მაისი.

**ფინალი:**
9, 11, 13, 15 მაისი
(თუ საჭირო გახდა 17 მაისი).

მიხეილ ქორქიას და ზურაბ საკანდელიძის მემორიალი – 15-16-17 იანვარი.
საქართველოს თასი – 20-21-22-23 იანვარი.
"ვარსკვლავთა" მატჩი-აქცია – 10 აპრილი (შაბათი).
სუპერთასი (ოთარ ქორქიას სახელობის) – 22 მაისი (შაბათი).

ბუნდესლიგა

# გამყრელიძის წინამძღოლობით...

**ლაშა გამყრელიძე** "ბამბერგთან" მატჩის წინ ფრთხილობდა: მართალია, შინ ვთამაშობთ, მაგრამ მეტოქე ძალიან ძლიერია და მისი დამარცხება გაგვიჭირდებაო. ლაშას "მიტელდოიჩერს" მართლაც გაუჭირდა, მაგრამ მოედნიდან ამჯერადაც გამარჯვებული გავიდა - "მგლებმა" ევროთასზე მოასპარეზე "ბამბერგს" 81:75 აჯობეს.

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა, ლაშა გამყრელიძემ ეს შეხვედრაც ხუთეულში დაიწყო, თუმცა თამაში ისე წარიმართა, 23 წუთში მეტოქის კალათის მიმართულებით ერთადერთხელ (ორქულიანი) ისროლა, თანაც უშედეგოდ. ლაშამ აქტივში 3 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა ჩაიწერა.

"მიტელდოიჩერს" გამარჯვებისკენ ამერიკელი **უეინ ბერნარდი** გაუძღვა, რომელმაც 14 ქულა ჩააგდო.

მატჩი მეტად დრამატული გამოდგა. მესამე პერიოდის ბოლოს ბამბერგელები 59:54-ს იგებდნენ. სტუმრები საფინალო სირენამდე 59 წამით ადრე 75:74 დაწინაურდნენ, თუმცა დარჩენილ დროში გამყრელიძის თანაგუნდელებმა ზედიზედ 6 საჯარიმო გამოიყენეს, ხოლო **ჯონი გილბერტის** ორქულიანმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 81:75.

"ბამბერგის" მთავარმა მწვრთნელმა **კრის ფლემინგმა** მატჩისშემდგომი კომენტარისას **ლაშა გამყრელიძეც** ახსენა:

*- "მიტელდოიჩერი" ამ სეზონში შესანიშნავად გამოიყურება. ლაშა გამყრელიძის წინამძღოლობით გუნდი სწრაფ კალათბურთს თამაშობს და შეტევაშიც ნაკლები პრობლემა აქვს. ივან ელიოტის, ლაშა გამყრელიძის, ანატოლი კაშიროვისა და ადე დაგუნდუროს შეჩერება ბევრს უჭირს. გარდა ამისა, "მიტელდოიჩერს" გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს და ამიტომაცაა ბუნდესლიგაში მოწინავე პოზიციებზე.*

"მოწინავე პოზიციებში" ხუთეული იგულისხმება. "მგლებს" 5 გამარჯვება და 2 მარცხი აქვთ. ასევე ორი ნაგება უწერია სატურნირო ცხრილის ლიდერ "არტლანდს", რომელსაც ერთით მეტი მატჩი აქვს ჩატარებული.

**ვაჟა სიმონიშვილი**








ზაზა ფაჩულია მეტოქეს უფარებს

ქართველი NBA-ში

# მესამედ ოთხი და სამი

NBA-ს ახალი სეზონი "ატლანტა ჰოქსმა" სტაბილურად დაიწყო: ხუთიდან 4 მატჩში 100 ქულას არ ჩამოსცილებია, ერთხელ 97 ქულა ჩააგდო, თუმცა ის შეხვედრა "პორტლენდს" სტუმრად მოუგო. გუშინ ატლანტელმა "ქორებმა" ზედიზედ მესამე საგარეო თამაში გამართეს და მეორედ გაიმარჯვეს – "საკრამენტო კინგსს" 113:105 სძლიეს.

თავის მხრივ, სტაბილურია **ზაზა ფაჩულიას** მონაგარიც: მას მწვრთნელი საშუალოდ 14 წუთს ათამაშებს და უკვე მესამე მატჩია, 4 ქულასა და 3 მოხსნას აგროვებს. საკრამენტოსთან ქართველმა მეფარემ 3-დან 2 ორქულიანი გამოიყენა. ზაზამ ასევე შეგვაჩვია მეოთხე პერიოდის დასაწყისში ჩატენვას. მას "კინგსთან" ბოლო პერიოდის დასაწყისში არ ჩაუტენია, თუმცა ფარქვეშიდან ზუსტი ტყორცნით "ატლანტას" ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა – 88:89. მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** ფაჩულია მალევე შეცვალა და მოვლენები საინტერესოდ სწორედ ამის შემდეგ განვითარდა: საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე "ატლანტა" 4 ქულის სხვაობით იგებდა. დარჩენილ დროში **კროუფორდის** სამქულიანს **ჰორფორდმა** ჯარიმა მიაყოლა, ხოლო სტუმართა გაქცევა **ჯონსონმა** ორი ზუსტი ორქულიანით დაასრულა - 113:105.

მატჩის შემდეგ ერთმა ბომბარდირმა, ჯო ჯონსონმა მეორე სნაიპერი, ჯამალ კროუფორდი შეაქო: *"კარგია, როცა სათადარიგოთა სკამზე ჯამალის დონის კალათბურთელია. მას თავისუფლად შეუძლია თითო მატჩში 20 ქულის ჩაგდება."* ჯონსონმა და კროუფორდმა 26-26 ქულა მიითვალეს.

მორიგ მატჩს "ჰოქსი" კვლავ სტუმრად ჩაატარებს – 6 ნოემბერს "შარლოტს" ეწვევა.

| საკრამენტო–ატლანტა | 105:113 |
|---|---|
| ზაზა ფაჩულია: 15 წუთი, 4 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 შეცდომა, 3 ფოლი | |
| **I პერიოდი** | |
| 05:23 | ზაზამ ჯონსონი შეცვალა |
| 03:59 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 03:29 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 03:25 | შეცდომა: 1 |
| 02:54 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 02:00 | ფოლი: 1 |
| **II პერიოდი** | |
| 11:23 | ორქულიანი: 2ძ (28:26) |
| 09:48 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |
| 09:20 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 04:22 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 02:05 | პასი: 1 (კროუფორდი 2ძ, 79:81) |
| 01:52 | ფოლი: 2 |
| **VI პერიოდი** | |
| 11:21 | ფოლი: 3 |
| 10:32 | ორქულიანი: 4ძ (88:89) |
| 09:53 | ზაზა ჰორფორმა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**

### წუხელ...

**ევროლიგა**

| რეალი–პანათინაიკოსი | 80:70 |
|---|---|

გიორგი შერმადინი: 09:50 წუთი, 6 ქულა, 2 მოხსნა, 1 დაფარება.

# მეტრეველი ევროლიგაზეც გამოჩნდა

ევროლიგის მესამე ტურში მონტეპასკელთა შორის საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ნიკა მეტრეველი** გამოჩნდა. იგი მოედანზე "ვილერბანი"-"მონტეპასკის" მატჩის ბოლო წუთზე შევიდა და სულ 27 წამი ითამაშა. ცხადია, ამ დროში ქართველმა ფორვარდმა სტატისტიკის შევსება ვერ მოასწრო.

*- მატჩის დასრულებამდე წამები რჩებოდა, როცა მწვრთნელმა მითხრა, სტონრუკი შეცვალეო. მოედანზე შევედი, მაგრამ სულ 27 წამი ვითამაშე, ვერაფერი მოვასწარი,* - გვითხრა გუშინ ნიკა მეტრეველმა.

მისმა სიენელმა თანაგუნდელებმა მასპინძლები იოლად დაამარცხეს – 82:65.

"მონტეპასკის" სამ მატჩში ამდენივე მოგება აქვს და A ჯგუფს "ბარსელონასთან" ერთად ლიდერობს.

შეგახსენებთ, რომ მეტრეველმა მიმდინარე სეზონში სიენელთა რიგებში პირველად ოქტომბერში, იტალიის ჩემპიონატში "ნაპოლის" წინააღმდეგ ითამაშა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ჩოგბურთი

# ტანასუგარნს ვერ აჯობა

გუშინ 19 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** (180) საჩოგბურთო ელიტის წევრს, 32 წლის ტაილანდელ **ტამარინ ტანასუგარნს** (113) გაეჯიბრა. ტაილანდელი უიმბლდონის შარშანდელი ტურნირის მეოთხედფინალისტია, ის ათზე მეტი სეზონის განმავლობაში იყო მოწინავე ასეულის წევრი. სამწუხაროდ, ოქსანამ გამოცდილ მეტოქეს ბევრი ვერაფერი დაუპირისპირა და წააგო მერვედფინალური შეხვედრა - 2:6, 3:6. „ტაივან ლეიდის ოუფენის" საპრიზო ფონდი 100 ათას დოლარზე მეტია. ამიტომ ჩვენმა თანამემამულემ ერთი ეტაპის დაძლევითაც კი 20 სარეიტინგო ქულა მიითვალა, რაც მას რეიტინგში კვლავ დააწინაურებს.

ოქსანა ტაიპეიში რჩება, ის კარგად ასპარეზობს წყვილთა თანრიგში, სადაც რუს **ალექსანდრა პანოვას** (142) შეეწყვილდა. ქართულ-რუსულმა დუეტმა ტურნირში მე-3 ნომრად განთესილები (**ანდრეა ჰლავაჩკოვა, ანდრეა კლეპაჩი**) დაამარცხა - 3:6, 6:3, 10:8. კალაშნიკოვა და პანოვა ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც პირველ ნომრად განთესილ მასპინძლებს, **იუნ-იან ჩანს** (115) და **ჩია-იუნ ჩუანს** (წყვილებში 29-ე ჩოგანი) ეთამაშებიან.

ნანტის საერთაშორისო ტურნირის (50 ათასი $) მერვედფინალში დაასრულა ასპარეზობა **მაკა ჩახნაშვილმა** (210), მან ჰოლანდიელ **არანჩა რუსთან** (121) წააგო - 5:7, 3:6. წყვილებში მაკამ და **ელენა ბოვინამ** (250) 6:0, 6:1 გაანადგურეს რუსული დუეტი (**იულია კუშნერიოვა, ნატალია ორლოვა**). მეოთხედფინალში ქართველის და რუსის მეტოქეები მე-3 ნომრად განთესილები, **მიხაელა პაშტიკოვა** (310) და **ლუსი ჰრადეჩკა** (65) იქნებიან.

ამერიკის ქალაქ როკ ჰილში (25 ათასი $) მერვედფინალში **ანა ტატიშვილის** (178) მეტოქე ხორვატი **ანი მიაჩიკა** (311) იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ჭადრაკი




# ნონა თამაშის ეშხში შევიდა

გოლო ხუთ ტურში ოთხ-ნახევარი ქულა - ასეთია **ნონა გაფრინდაშვილის** შედეგი ვეტერან მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც იტალიური კონდინო მასპინძლობს. მე-7 ტურში ქართველმა დიდოსტატმა რუს **გალინა სტრუტინსკაიას** სძლია და ლიდერებს წამოეწია. ერთპიროვნული ლიდერი ესტონელი **ტატიანა ფომინა ვალენტინა კოზლოვსკაიას** დაუზავდა, ხოლო **ელენა ფატალიბეკოვამ სვეტლანა მედნიკოვა** დაამარცხა. ამდენად, 7 ტურის შემდეგ ფომინა, ფატალიბეკოვა და გაფრინდაშვილი 5,5-5,5 ქულით პირველ-მესამე ადგილებს იყოფენ. 5 ქულით მეოთხეზეა კოზლოვსკაია. ქალთა ჩემპიონატის დამთავრებამდე 2 ტური რჩება.

ვაჟთა ტურნირის მე-8 ტურში **ვიტალი ცეშკოვსკიმ მარკ ცეიტლინს** აჯობა. ქულები გაიყვეს **ალგიმანტას ბუთნორიუსმა** და **მისო ცებალომ, ბო იაკობსენმა** და **ოლეგ ჩერნიკოვმა, ნიკოლაი პუჩკოვმა** და **კლემენს ვერნერმა**. 6,5-6,5 ქულით ხორვატი მისო ცებალო და რუსი ვიტალი ცეშკოვსკი დაწინაურდნენ. მე-9 ტურში მათ მონაგარს თითო ქულა დაუმატეს. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით ერთბაშად 11 მოჭადრაკე ჩამორჩება. ვაჟთა შეჯიბრების ბოლომდეც ორი ტურია სათამაშო.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

ინტერვიუ გურამ მოდებაძესთან

# ვისია პირამიდა ფედერაციაში

## საზოგადოება ამაზე პასუხს ითხოვს

**ძიუდოს სამყაროში მიმდინარე ამბებზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ამჯერად ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ ისურვა, რომელიც იმ თითქმის მოგვარებულ კონფლიქტში საკმაოდ სერიოზულ, საკვანძო ფიგურად მიიჩნევა. მწვრთნელთა საერთო განცხადებაზე ხელმოწერის უარყოფა, შეკრების მიტოვება ევროპის ჩემპიონატის წინ და მერე შუამავლების მეშვეობით დაბრუნების მცდელობა, ბუნტის მონაწილეთა ძირითადი ბირთვის პირადი მწვრთნელობა - ეს ყველაფერი სწორედ გურამ მოდებაძეს უკავშირდება და რა გასაკვირია, მასთან ჩვენც ბევრ რამეზე გვსურდა საუბარი.**

**ის მართლაც საინტერესო ფაქტებს ასახელებს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ სრულიად უცხოს - ღიად თუ ფარულად ამ ყველაფერზე აქამდეც ლაპარაკობდნენ. მოდებაძე უფრო პრესაში მისი მისამართით ნათქვამმა სიტყვებმა გაანაწყენა, მისი კრიტიკის ძირითადი ობიექტი კი ნაკრების აწ უკვე ყოფილი თავკაცი შოთა ხაბარელი და სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი გურამ რატიშვილია. უცნაურია - მოდებაძეც იმავე სისტემაზე ლაპარაკობს, რაზეც ხაბარელმა განაცხადა, ფედერაციაში პრეზიდენტის, გენერალური მდივნისა და სამი ვიცე-პრეზიდენტის პირობებში როგორ შევქმნიდი რაიმე სისტემასო...**

**- გასაგებია, რომ სათქმელი ბევრი გექნებათ. თქვენ რა პრეტენზიებს უყენებთ ხაბარელს?**

- 1995 წლიდან ვმუშაობ მწვრთნელად, პირველ სერიოზულ წარმატებას კი 2001 წელს მივაღწიე, როცა ესპანურ მურსიაში ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე ჩემი კლუბის წევრებმა სამი ოქრო და ერთი ბრინჯაო მოიპოვეს. ამას სხვა წარმატებებიც მოჰყვა, შედეგად კი, 2003 წლიდან ეროვნულ ნაკრებში მიმიწვიეს, ათენის ოლიმპიადის წინ. იმ თამაშებზე ორი მოსწავლე მყავდა - დავით ქევხიშვილი და ლაშა გუჯეჯიანი. მერე და მერე ნაკრებში ჩემი აღზრდილების რაოდენობა გაორმაგდა და პეკინში უკვე ოთხნი იყვნენ. ასევე - 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც.

წარმატებების მიუხედავად, ნაკრებში ყოველთვის მაინც შებოჭილი ვიყავი. ამაზე მაშინ თავს ვიკავებდი და ხმამაღლა არაფერს ვამბობდი, ურთიერთობის დაძაბვას ვერიდებოდი - ვიცოდი, მწვრთნელებს შორის დაპირისპირება ბიჭებზეც აისახებოდა. თავიდან ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე წასვლა ყოველთვის პრობლემა იყო. 2002 წელს, როცა დავით ქევხიშვილი ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა, რაც უფროსებში ჩემი აღზრდილების პირველი დიდი წარმატება იყო, ეს ამბავი შინ მიმავალს მიკროავტობუსში ჩემმა მოსწავლემ გამაგებინა. თავი ვერ შევიკავე და სიხარულისგან ავტირდი. უკან მჯდომი ქალბატონი შეშფოთდა, ცუდი ხომ არაფერი მოხდაო, მაგრამ ვუპასუხე, ეს სიხარულის ცრემლებია-მეთქი. იმ პერიოდში არც ათენის ოლიმპიადაზე წამიყვანეს, არც - 2005 წლის მსოფლიოს პირველობაზე, არადა, ორ-ორი მოსწავლე მყავდა გუნდში. მოგვიანებით მდგომარეობა შეიცვალა და ევროპის პირველობებზეც ვიყავი, 2007 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზეც, პეკინის ოლიმპიადაზეც და საერთაშორისო ტურნირებზეც ხშირად დავყვებოდი გუნდს, მაგრამ არც ერთხელ არ მომეცა საშუალება, ჩემს შეგირდს სეკუნდანტად დავჯდომოდი და დამერიგებინა. ეს ბიჭებსაც უთქვამთ, მთავარ მწვრთნელს ხომ ვერ ეტყოდნენ, შენ ნაცვლად მოდებაძე დამიჯდესო.

**- ეუბნებოდით ამას ხაბარელს და ნებას არ გაძლევდათ?**

- ორჯერ იყო შემთხვევა, როცა სეკუნდანტად დავჯექი და გეტყვით, ისიც როგორ დასრულდა.

პირველად სეკუნდანტად 2007 წელს ბელგრადში, ევროპის ჩემპიონატზე დავუჯექი ქევხიშვილს. სხვათა შორის, იქ ნახევარფინალში ჩემმა ოთხმა მოსწავლემ იჭიდავა - კედელაშვილი ჩემპიონი გახდა, ქევხიშვილმა და გუჯეჯიანმა ბრინჯაო მოიპოვეს, ჟორჟოლიანი კი მეხუთეზე დარჩა. მაშინ ქევხიშვილი და ცირეკიძე ერთდროულად ჭიდაობდნენ და ორად ვერ გაიჭრებოდა. ამიტომ ის ცირეკიძესთან დაჯდა, მე - ქევხიშვილთან. ისე მოხდა, რომ ცირეკიძემ ადრე მოიგო, ხაბარელი მოვიდა ჩემთან და მეუბნება, ადექიო... თავს არ მივეცი შეწინააღმდეგების უფლება და წამოვედი. დამეთანხმებით, არაა ეს კარგი საქციელი.

იმავე სეზონში, ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ასე მოხდა. მაშინაც ორი ჩვენებური ჭიდაობდა ერთდროულად და მე გუჯეჯიანთან დავჯექი. შუა შეხვედრისას იქაც იგივე გამიკეთა, ოღონდ მაშინ ისე წყნარად არ გამოვსულვარ. ხელში საქაღალდე მეჭირა და მთელი ჯავრი იმაზე ვიყარე - ფეხი ამოვკარი და ისიც პირდაპირ კომისრისკენ გაფრინდა. იმას თავი რომ არ დაეხარა, დისკვალიფიკაცია არ ამცდებოდა. ეს ყველამ შეამჩნია, ხაბარელს კი ვითომ არც დაუნახავს. ამ თემაზე არც მე მილაპარაკია, რადგან დაძაბულობას მოვერიდე. პეკინში მორიდებით ვთხოვე, საწყენად რომ არ მიელო - შენ დაღლილი ხარ, დაისვენე და ხვალ მე მივხედავ გუჯეჯიანს-მეთქი. ვერავინ მეტყვის, რომ ჩემი მოსწავლის წარმატება უფრო მეტად გაუხარდებოდა. თან ცირეკიძეც უკვე ჩემპიონი იყო და შედეგიც გვქონდა, მაგრამ მიპასუხა, არ მჭირდება დასვენება, ჩავალ თბილისში და ისედაც კარგად დავისვენებო.

ამ დაპირისპირებისას ეს ამბები რომ გავახსენე, მომიგო, ჩემი იქ ჯდომა ყოველმხრივ მოქმედებს მსაჯებზეო. მაშინ პეკინში რატომ არ იმოქმედა, გუჯეჯიანი, ქევხიშვილი, ჟორჟოლიანი უსამართლოდ რომ გააფრთხილეს-მეთქი. უბრალოდ, სათქმელი არაფერი ჰქონდა და იმიტომ მითხრა ისე. ტურნირებზე სხვა


გურამ მოდებაძე

გუნდებში სპორტსმენს პირადი მწვრთნელი თუ ახლავს, ის უზის სეკუნდანტად, მაგრამ ჩვენთან თურმე ეს არ შეიძლება. სხვათა შორის, სხვებსაც უკვირდათ ეს ამბავი, მაგრამ ყველასთან ხომ ვერ იტყვი ამას. დღეს თვითონ ლაპარაკობს პიარზე, მაგრამ, ალბათ, იმიტომ არ მიშვებდა, მას უნდოდა გამოჩენა. ის რომ ოთხჯერ დაასახელეს საუკეთესო მწვრთნელად, ამაში ჩემი წვლილიც ხომაა? ოლიმპიადის გარდა, არ ყოფილა ტურნირი, ჩემს მოსწავლეებს მედალი არ მოეპოვებინოთ. მეტსაც გეტყვით - მოხსნას ერთხელ ქევხიშვილმა გადაარჩინა, როცა 2004 წელს ევროპის პირველობაზე მთელ გუნდში მხოლოდ ის გახდა მედალოსანი - ბრინჯაოსი. 2005 წლის მსოფლიოს პირველობაზეც ერთი მედალი გვქონდა და ისიც გუჯეჯიანის ბრინჯაო. 2006-ის ევროპის ჩემპიონატზე მხსნელად უკვე კედელაშვილი მოევლინა - ჩემპიონი გახდა. მასაც აღუნიშნავს, შეხედეთ მოდებაძეს, როგორ ხმალამოღებული მუშაობსო, მაგრამ, ვფიქრობ, ამას მოსაჩვენებლად ამბობდა. აბა, რას უნდა მივაწეროთ ის დამოკიდებულება, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე, ახლა კი პრესაში გურამ რატიშვილმა მოლალატე მიწოდა, ევროპის ჩემპიონატზე გამოუსვლელობა სამშობლოს ღალატის ტოლფასი იყო მისი და მისი ბიჭების მხრიდანო. თურმე ბიჭებს მე ვეუბნებოდი, არ იჭიდაოთ ევროპის ჩემპიონატზე-მეთქი.

**- სეკუნდანტად დაჯდომა რომ გსურდათ, გასაგებია, მაგრამ მთავარი მწვრთნელის პასუხისმგებლობა ხომ სხვაა? პასუხს, უპირველესად, მას სთხოვენ. თან თურმე ხაბარელს ყოველი ტურნირის წინ ულტიმატუმს უყენებდნენ...**

- ეგ გასაგებია, მაგრამ ამას მხოლოდ ჩემს მოსწავლეებზე ვითხოვდი, სხვებზე ხომ არა?! თუ ამდენად არ მენდობოდა, მაშინ რატომ ჩამაბარა ნაკრები გერმანიაში სუპერ-A კატეგორიის ტურნირზე და რატომ გამიშვა იქ მთავარ მწვრთნელად? კარგი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებს თავი დავანებოთ, ტურნირებზე მაინც რატომ არ მიშვებდა სეკუნდანტად?

**- სხვა მხრივ თუ გზღუდავდათ? მაგალითად, თქვენს აზრს თუ გამოთქვამდით საწვრთნელი პროცესის რომელიმე ნიუანსის შეცვლაზე, მიიღებდა ამ რჩევას?**

- მწვრთნელთა საბჭო სახელად არსებობდა, თორემ ამ გეგმის შედგენისას ხაბარელს და რატიშვილს არასოდეს დაუძახიათ ჩემთვის. არ ვიცი, სხვას თუ ეძახდნენ, მაგრამ მწვრთნელთა საბჭოზე მე არასოდეს ვყოფილვარ. ეს გეგმაც ხაბარელის ოთახში იდო, როცა სხვა ნაკრებების შემთხვევაში დარბაზშია გამოკრული. ბიჭები დილით იგებდნენ, იმ დღეს რა სახის ვარჯიშები იქნებოდა. ერთხელ ჟორჟოლიანმა იკითხა, ხვალ რა ვარჯიში გვექნებაო, რაზეც რატიშვილმა უხეშად მიუგო... მწვრთნელთა საბჭო ერთადერთხელ შეიკრიბა, როცა გია გუგავა მოიყვანეს მწვრთნელად - ამ საკითხის გასაცნობად შეგვკრიბეს. მანამდე ერთხელ პეკინის ოლიმპიადის წინაც შეიკრიბა 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში მონაწილის დასაყენებლად და მაშინაც ბიძინა მოხევიშვილმა საწინააღმდეგო აზრის გამოთქმისთვის დიდი საყვედური მიიღო. სხვათა შორის, მაშინ მოხევიშვილს მეც ვეთანხმებოდი - ორივე გიორგი ბაინდურაშვილის დაყენებას ვემხრობოდით. საწვრთნელი პროცესის ნიუანსებზე მწვრთნელებს კი გვქონდა განსხვავებული აზრი, მაგრამ ვხედავდით, მათ გამოთქმას აზრი არ ჰქონდა.

**- როგორ ფიქრობთ, ბიჭები რატომ გადაუდგნენ ხაბარელს?**

- ამას საფუძველი ხაბარელმა მისცა, რომელმაც დავით ბერძენიშვილთან დაპირისპირებაში მწვრთნელები და სპორტსმენებიც ჩაგვრია. 15 იანვარს ხაბარელს პრესკონფერენციაზე რომ არ გავყევი, ამიტომ გადამისვეს ხაზი. გეკითხებით - ეს ნორმალურია? არ მაქვს უფლება, ჩემი აზრი მქონდეს? პროტესტის იმ ფორმას - დეპარტამენტის და სხვათა სახელზე განცხადების დაწერას რომ არ ვემხრობოდი, ამას არც ვმალავდი. მერჩივნა, ეს ფედერაციაშივე გარკვეულიყო, თორემ იმ განცხადებას საჩივრის ფორმა ჰქონდა, რაც იმთავითვე არ მომწონდა. ეს მწვრთნელების შეკრებაზეც განვაცხადე „ბატესტაში", ჩვენი ტურნირისთვის მოსამზადებელ ბოლო შეკრებას რომ გავდიოდით და ერთ საღამოს მწვრთნელები იმ განცხადების თაობაზე სასაუბროდ შევიკრიბეთ.

იმავე საღამოს სასტუმროში დილარ ხაბულიანიც მოვიდა და ხაბარელს ცალკე ოთახში ელაპარაკა. ალბათ, ის განცხადებაც მაშინ გადასცა. არ დავმალავ, ფედერაციიდან დამირეკეს და მკითხეს, დაგიშავა რამე ბერძენიშვილმა, მის გადადგომას რომ ითხოვო. არადა, მართლა არაფერი დაუშავებია. პირიქით - მის მოცემულ ტატამზე წლები ვვარჯიშობდით. ამიტომ ეს ამბავი ძალიან განვიცადე, მთელი ღამე არ მეძინა. განცხადებაზე ხელმოწერა უკან რომ მიმქონდა, ხაბარელს მეორე დილითვე, ფედერაციაში იმ პრესკონფერენციაზე წასვლამდე ვუთხარი. როგორც გინდა, ისე მოიქეცი - გინდ წამოდი და გინდ შინ წადიო, მიპასუხა. ჩემი ეს ნაბიჯი საკმარისი მიზეზი გახდა იმის სათქმელად, რომ თურმე ფედერაციის დავალებებს ვასრულებდი.

**- მაშინ ფედერაცია იმ განცხადებაზე ხელმოწერის უარყოფით მართლაც მანიპულირებდა.**

- მე ჩემი აზრი მქონდა ამაზე და ხომ მაქვს ამის უფლება?! მაგრამ ამას სხვაც მოჰყვა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ვითარება.

ამ ამბებიდან ორ დღეში ფედერაციამ ელექტროსასწორის დაბრუნება მთხოვა, რომელიც დარბაზში მქონდა წაღებული. იმ დილით ვარჯიშის შემდეგ ხაბარელს დავეთხოვე, ავუხსენი, სადაც მივდიოდი და წამოვიღე ის სასწორი ფედერაციაში. ხაბარელს თურმე ისიც არ მოეწონა, მე რომ ფედერაციას სასწორების შემოწმებაში და იმ სიების შედგენაში დავეხმარე, რომლითაც ნაკრების წევრებს კიმონოების ორ-ორი კომპლექტი გადასცეს. სხვათა შორის, მაშინ პირველად მოხდა, როცა ნაკრების ყველა წევრმა მიიღო კიმონოების სრული - ორ-ორი კომპლექტი. საინტერესოა, რატომ არ ილებდნენ მანამდე ასე? ეკიპირება ლიდერს ეკუთვნის, მაგრამ მეორე და მესამე ნომრებმა რა დააშავეს? თურმე ხაბარელმა ამაზე ფედერაციის ხელმძღვანელობასთან იკამათა, ვინაა მოდებაძე, მაგას რომ ავალებთო. იქ მოსაწვევებზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ ჩემთვის ისინი არავის მოუცია და არც არაფერი გამინაწილებია. ვინ გაანაწილა, ვერ გეტყვით. ალბათ, ისევ ხაბარელმა, რომელიც წყვეტდა ყველაფერს - კიმონოების განაწილებასაც, ამ ბილეთებსა და მოსაწვევებს, მწვრთნელებისა და სპორტსმენების ხელფასებს, ანაწილებდა გუნდურ პირველობაზე წარმატებისთვის მიღებულ პრემიებს...

**ირაკლი თავაძე**

*დასასრული ხვალინდელ ნომერში*

საქართველოს 23-წლამდელთა პირველობა

# შანსები დიღომში გაირკვა

დღეს და ხვალ დიღომში მდებარე შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემია 23-წლამდელ ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. სულ მალე - 20-22 ნოემბერს ანტალიაში ამ ასაკის ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი ტარდება და ქვეყნის პირველობის უმთავრესი დანიშნულებაც იქ წასაყვანი ნაკრების დაკომპლექტებაა. სწორედ ამიტომ ჩემპიონატში ამ ასაკის ყველა წამყვანი ახალგაზრდა იჭიდავებს. ნაკრების თავკაცმა **სოსო ლიპარტელიანმა** შელავათი არც ახალგაზრდული ნაკრების წევრებს მისცა, რომლებმაც ამ შემოდგომაზე ორ დიდ ტურნირში იასპარეზეს - სექტემბერში ევროპის პირველობაზე, ოქტომბერში - მსოფლიოზე. ამის მიუხედავად, ჩემპიონატში ყველა იჭიდავებს, რადგან ამ ასაკში ძალიან დიდი კონკურენციაა. ახალგაზრდებიდან 23-წლიანთა ნაკრებში მოხვედრის შანსი იქნებ ყველას არ ჰქონდეს, მაგრამ რამდენიმე ნამდვილად განიხილება რეალურ კანდიდატად.

ძიუდოს აკადემიაში შეხვედრები 11 საათზე დაიწყება.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა

# ონი: დიდი პიროვნებების დიდი ტურნირი

ონის ცენტრში, ცირკის არენაზე ხშირად იმართება ტურნირები თავისუფალ ჭიდაობაში. ახლახან აქ მსოფლიოს ჩემპიონის, **გიორგი სხირტლაძისა** და დამსახურებული მწვრთნელის **შურა მაისურაძის** სახელობის გაერთიანებული ტურნირი გაიმართა, რომელიც მეცამეტე წელიწადია, ტარდება ჭაბუკთა შორის.

180 მონაწილე ტრადიციულად კერძო სახლებში განათავსეს. დაწყებულია სასტუმროს მშენებლობა და მალე ამბროლაურელების მსგავსად, ონში ჩასულ სპორტსმენებსაც ახალი, კეთილმოწყობილი სასტუმრო დახვდებათ.

ტურნირი ონის მუნიციპალიტეტმა და ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ ერთობლივად დააფინანსეს. უშუალო მასპინძელი იყო ადგილობრივი სპორტსკოლა (დირექტორი **რომან კირვალიძე**). სრული შემადგენლობით გამოვიდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და გორის გუნდები. საერთოდ, მოჭიდავეები ონში ჩავიდნენ საქართველოს ყველა კუთხიდან...

საუკეთესო მოჭიდავის პრიზი გადაეცა **ლევან გოგრიჭიანს** (85 კგ). ობიექტური მსაჯობით თავი გამოიჩინა ახალგაზრდა გორელმა **ხვთისო იორამაშვილმა**. ახალი სახის გამოჩენა მსაჯთა ამქარში იშვიათობაა და ამიტომ ეს ფაქტი მისასალმებელია.

ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს მწვრთნელების თხოვნა და ასპარეზობა 15 წონით კატეგორიაში გაიმართა. აი, ყველა გამარჯვებული:

**26 კგ.** შოთა დეკანოიძე, **29 კგ.** მარადი გორგიძე (ორივე - ქედა), **32 კგ.** ზურაბ დარახველიძე (ამბროლაური); **35 კგ.** ირაკლი მხეიძე, **38 კგ.** რამაზ ზოიძე, **42 კგ.** ბესო ბოლქვაძე (სამივე - ბათუმი), **46 კგ.** ბექა ბუჯიაშვილი (გორი), **50 კგ.** ლევან ცალქალამანიძე, **54 კგ.** ლაშა ბითარიშვილი (ორივე - თბილისი), **58 კგ.** ომარ გურჯიძე (ქუთაისი), **63 კგ.** ზაურ მარგიევი, **69 კგ.** ნოდარ აფხაზიშვილი, **76 კგ.** იაკობ პეტრიაშვილი, **85 კგ.** ლევან გოგრიჭიანი (ოთხივე - თბილისი), **100 კგ.** გიორგი კაკაურიძე (ხონი).

შეჯიბრებას თვალს ადევნებდნენ თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელები **თამაზ ბენდიანაშვილი** და **ნუგზარ სხირელი**. მათი დაინტერესება გასაგებია: ონის ტურნირი პირველი ეტაპის შესარჩევი შეჯიბრება იყო ევროპის 2010 წლის პირველობისთვის, ნოემბრის ბოლოს კი გლდანში გაიმართება პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის, **დავით ციმაკურიძის** სახელობის ტურნირი.

**გაბრიელ ბარჯაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## სხვადასხვა

**კრივი**

### პოლიფილდი არ ნებდება

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი **ევანდერ ჰოლიფილდი** დანებებას არ აპირებს და კვლავაც ფიქრობს მეხუთე ტიტულის მოპოვებასა და შესაბამისად, მსოფლიოს ახალი რეკორდის დამყარებაზე. 47 წლის ლეგენდარული ამერიკელის მორიგი მეტოქე შეიძლება გახდეს სამხრეთაფრიკელი **ფრანსუა ბოთა**, რომელიც ნაკლებად ცნობილი საკრივო ორგანიზაციის - WBF-ის საჩემპიონო ქამრის მფლობელია. როგორც ვარაუდობენ, 12-რაუნდიანი ბრძოლა 19 დეკემბერს უგანდაში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ჰოლიფილდმა თავისი ბოლო ბრძოლა შარშან დეკემბერში, შვეიცარიის ქალაქ ციურიხში ჩაატარა და მსაჯების საკამათო გადაწყვეტილებით რუს **ნიკოლაი ვალუევთან** დამარცხდა. 41 წლის ბოთამ კი ამა წლის 24 ოქტომბერს დესაუში (გერმანია) იჩხუბა კუბელ **პედრო კარიონთან** და იქ ფრე დაფიქსირდა.

**ოლიმპიზმი**

### იტალიამ დი ჩენტა აირჩია

ვანკუვერის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე იტალიის ნაკრების მედროშე **ჯორჯო დი ჩენტა** იქნება. ამის შესახებ იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჯოვანი პეტრუჩიმ** გამოაცხადა.

დი ჩენტა თხილამურებით სირბილში გამოდის. ოთხი წლის წინ, ტურინის ოლიმპიადაზე მან ოქროს მედლის მოპოვება შეძლო, როცა ფინიშზე 0.8 წამით აჯობა რუს **ევგენი დემენტიევს**.

**ჩოგბურთი**

### სანტიაგომ ტურნირი მიიღო

ATP-ის „250" კატეგორიის ტურნირი - Movistar Open, რომელიც ბოლო წლებში ჩილეს ქალაქ ვინა-დელ-მარში ტარდებოდა, მომავალი წლიდან ადგილმდებარეობას შეიცვლის. ეს შეჯიბრება ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში ჩატარდება. 2010 წელს ჩილე დამოუკიდებლობის მოპოვების 200 წლისთავს აღნიშნავს და სწორედ ამ ზეიმს მიეძღვნება ეს ტურნირი. ის 1-7 თებერვალს ჩატარდება.

საგაისო ტურნირში მონაწილეობა დაადასტურა ჩილეს პირველმა ნომერმა **ფერნანდო გონსალესმა**, რომელსაც Movistar Open ოთხჯერ აქვს მოგებული - 2002, 2004, 2008 და 2009 წლებში. წელს „გონზამ" ფინალში არგენტინელი ხოსე აკასუსო დაამარცხა - 6:1, 6:3.

**კალათბურთი**

### მილერი ორი კვირა ვერ ითამაშებს

„ვაშინგტონ უიზარდსის" შემტევმა მცველმა **მაიკ მილერმა** მარცხენა მხარი იღრძო და ამის გამო, დაახლოებით ორი კვირა ვერ გავა მოედანზე. კალათბურთელმა ტრავმა „მილუოკი ბაქსთან" მატჩის მეოთხე მეოთხედში **მარიო ჩელმერსთან** შეტაკებისას მიიღო. ამის მიუხედავად, მილერი რამდენიმე წუთში მოედანზე დაბრუნდა და ცოტა ხანში ტრავმა გაიმიზეზა. ტკივილი იმდენად ძლიერი იყო, რომ მაიკი მოედანზე დაეცა.

იმ მატჩში მილერმა 19 წუთი ითამაშა და 8 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი დააგროვა.

**სამთო-სათხილამურო სპორტი**

### ბოდე 15 ნოემბერს იწყებს

ცნობილი ამერიკელი მოთხილამურე **ბოდე მილერი** მსოფლიოს თასის მეორე ეტაპისთვის ემზადება, რომელიც 15 ნოემბერს ფინეთის ქალაქ ლევიში გაიმართება. მილერს ბოლო ექვსი თვეა ოფიციალურ შეჯიბრებებში არ მიუღია მონაწილეობა. 2002 წლის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა გამოტოვა წლევანდელი სეზონის პირველი სტარტი ავსტრიის კურორტ ზოლდენში.

*„მას უდიდესი ნიჭი და პოტენციალი გააჩნია და როცა თავისუბურად იქცევა, მსოფლიოში მასზე ძლიერი მოთხილამურის ნახვა შეუძლებელია, - ამბობს მილერის ექსდამრიგებელი* ***ჯონ მაკბრაიდი****. - ბოდეს ზაფხულში არ უვარჯიშია და ჩემთვის სიურპრიზი იქნება, ამხელა პაუზის შემდეგ პირველ სტარტებზე პოდიუმზე თუ მოხვდება. თუმცა მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ჩემი ვარაუდით, სწორი მომზადების შემთხვევაში მან დეკემბრის ბოლოს ან იანვრის დასაწყისში უნდა აჩვენოს კარგი შედეგები".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

**ორლანდო-ფინიქსი 122:100**
29:25, 27:27, 36:26, 30:22

ო: ჰოვარდი (25), რ. ანდერსონი (20+10 მოხსნა), ჯ. ნელსონი (16+10 პასი), პიეტრუსი (15), ბარნსი (13+11 მოხსნა), ბასი (12).

ფ: სტაუდმაიერი (25+14 მოხსნა), დრაგიჩი (15+6 პასი), დადლი (17), ნეში (12).

**ტორონტო-დეტროიტი 110:99**
24:28, 44:28, 17:21, 25:22

ტ: ბოში (25+8 მოხსნა), ბარნიანი (22+12 მოხსნა), თურქოგლუ (16+7 მოხსნა+6 პასი), ა. რაიტი (12).

დ: ბ. გორდონი (30), ვილანუევა (16+7 მოხსნა), ბინუმი (16+6 პასი), სტაკი (13+10 მოხსნა), ბ. უოლასი (6+9 მოხსნა).

**ვაშინგტონი-მაიამი 89:93**
17:31, 24:19, 25:16, 23:27

ვ: არენასი (32), ჰეივუდი (16+11 მოხსნა), კ. ბატლერი (13+10 მოხსნა), ბლეტჩი (10+7 მოხსნა).

მ: უეიდი (40), რიჩარდსონი (19+9 მოხსნა), ჰასლემი (13+7 მოხსნა), ბიზლი (10), ჩალმერსი (5+8 პასი).

**ნიუ ჯერსი-დენვერი 94:122**
23:22, 28:28, 26:44, 17:28

ნ-ჯ: დაგლას-რობერტსი (19+7 მოხსნა), ნახერა (14+7 მოხსნა), ბ. ლოპესი (12+8 მოხსნა), ბუნი (11+8 მოხსნა), ტ. უილიამსი (13), კ. ლი (10+3 ჩაჭრა).

დ: ლოუსონი (23), ენტონი (22), მარტინი (18+10 მოხსნა), ნენე (16+9 მოხსნა+3 დაფარება), აფლალო (15), ბილაპსი (12).

**ნიუ იორკი-ინდიანა 89:101**
25:21, 31:29, 18:22, 15:29

ნ-ი: ჰარინგტონი (22+9 მოხსნა), დ. ლი (20+19 მოხსნა), ჩენდლერი (11), გალინარი (11), დუჰონი (10+6 პასი).

ი: გრეინჯერსი (21+4 ჩაჭრა), დ. ჯონსი (19+12 მოხსნა), ფორდი (16), ჰიბერტი (15+14 მოხსნა), ბ. რაში (12+10 მოხსნა).

**მინესოტა-ბოსტონი 90:92**
27:22, 22:19, 23:31, 18:20

მ: პეჩეროვი (24+8 მოხსნა), ჯეფერსონი (18), ბრიუერი (13), გომესი (11+7 მოხსნა), ფლინი (10).

ბ: რონდო (18+6 პასი+3 ჩაჭრა), ალენი (14), პერკინსი (13+8 მოხსნა+3 დაფარება), გარნეტი (12+11 მოხსნა+3 დაფარება), პირსი (10).

**ჰიუსტონი-ლეიკერსი 102:103 (ო)**
22:22, 24:22, 28:29, 18:19, 10:11

ჰ: ლენდრი (20+8 მოხსნა), არიზა (15+9 მოხსნა), ბრუქსი (15+6 პასი), ბატიე (14), სკოლა (16+13 მოხსნა), ჰეიესი (14+14 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (41+4 ჩაჭრა), ბინუმი (17+17 მოხსნა+3 დაფარება), არტესტი (15), ოდომი (14+7 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-დალასი 114:107**
23:17, 27:31, 24:21, 23:28, 17:10

ნ-ო: პოლი (39+7 პასი), დ. უესტი (25+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბ. ბრაუნი (18), ოკაფორი (11+13 მოხსნა+3 დაფარება), სონგაილა (10).

დ: ტერი (35), დამპიე (16+14 მოხსნა+3 დაფარება), ნოვიცკი (12), კიდი (9+10 პასი).

**საკრამენტო-ატლანტა 105:113**
24:26, 31:30, 32:27, 18:30

ს: მარტინი (29+11 მოხსნა), ტომპსონი (22+12 მოხსნა), ევანსი (15+3 ჩაჭრა), ნოჩიონი (14), უდრიხი (14).

ა: კროუფორდი (26), ჯონსონი (26+8 მოხსნა), სმიტი (14+4 დაფარება), ბიბი (13+7 მოხსნა), მ. უილიამსი (13), ჰორფორდი (11+8 მოხსნა+4 დაფარება).

**გ. სტეიტი-მემფისი 113:105**
19:29, 38:27, 33:24, 23:25

გ-ს: მოროუ (24), ელისი (24+7 მოხსნა+12 პასი+5 ჩაჭრა), ჯექსონი (20+6 პასი), მაგეტი (20), კარი (7+9 პასი).

მ: გეი (29+8 მოხსნა), აივერსონი (18+7 პასი), ზ. რენდოლფი (16+10 მოხსნა), მაიო (14), მ. გასოლი (12+14 მოხსნა+3 ჩაჭრა).

## ოლიმპიზმი. ვანკუვერი 2010



# 100 დღით ადრე

**ვანკუვერის ოლიმპიადის დაწყებამდე 100 დღე დარჩა. დღეიდან მოყოლებული, ჩვენ რეგულარულად შემოგთავაზებთ ინფორმაციებს დამდეგი თეთრი ოლიმპიადის შესახებ. დღეს ზოგადი მიმოხილვით შემოვიფარგლებით - გავეცნობით ვანკუვერის არენებს, მომავალ გმირებს, დებიუტანტებსა და სხვა სიახლეებს...**

### აფიშა

XXI ზამთრის ოლიმპიური თამაშები
12-28 თებერვალი. ვანკუვერი (კანადა)
სპორტის სახეობა - 7
მედლების კომპლექტი - 86

მონაწილეთა რაოდენობა - 80-ზე მეტი ქვეყნის დაახლოებით 2500 სპორტსმენი.

სლოგანები - With glowing hearts („მხურვალე გულით" - ინგ.), Des plus brilliants exploits (ბრწყინვალე გმირობებისკენ - ფრანგ.).

თილისმები - თოვლის კაცი Quatchi, ზღვის დათვი Miga.

სიმბოლო - ილანააკი, ადამიანის ქანდაკება, რომელიც ხუთი ქვისგან არის შემდგარი.

ობიექტები - 10 სპორტული არენა (ხუთი მათგანი ვანკუვერში, სამი - უისტლერში, თითო-თითო - რიჩმონდსა და ვესტ-ვანკუვერში), 2 ოლიმპიური სოფელი - ვანკუვერსა და უისტლერში.

ბიუჯეტი - საორიენტაციოდ 1.8 მილიარდი დოლარი. თამაშების მოახლოებასთან ერთად ეს ციფრი მატულობს.

### სპორტული ნაგებობები

**BC Place.** 60 ათას ადამიანზე გათვლილი რესპექტაბელური დარბაზი, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისშია აშენებული. სწორედ აქ დააჯილდოვებენ ყველა მედალისტს. გარდა ამისა, სტადიონზე აინთება და ჩაქვრება ოლიმპიური ცეცხლი. სხვათა შორის, გახსნის ცერემონია გადახურულ შენობაში გაიმართება (ასეთი რამ არ ახსოვს ოლიმპიური მოძრაობის ისტორიას) - BC Place-ს გასაბერი გუმბათით გადახურავენ. ერთი მხრივ ეს იმას ნიშნავს, რომ პეკინურ მასშტაბებს კანადელები ვერ შეწვდებიან, მაგრამ მეორე მხრივ, ორგანიზატორები განათების, ხმისა და სპეცეფექტების მხრივ ტექნოლოგიურ გარღვევას გვპირდებიან.

**Canada Hockey Place** (იგივე - General Motors Place). გარეგნულად კლასიკური მრავალფუნქციური არენა ყოველგვარი ზედმეტი არქიტექტურული გაფორმებების გარეშე. თავის ხანმოკლე ისტორიაში (გაიხსნა 1995 წელს) ბევრი რამის ნახვა მოასწრო: ფიგურულ სრიალში მსოფლიოს ჩემპიონატი, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დრაფტი, ბრიტანეთის დედოფლის **ელიზაბეტ** მეორის მიერ შაიბის სიმბოლური ჩაგდება, Spice Girls-ისა და **ბრიტნი სპირსის** კონცერტები. მომავალი წლის თებერვალში აქ მსგავსი მრავალფეროვნება არ იქნება - როგორც მიხვდით, 18-ათასიანი არენა მთლიანად ჰოკეის დაეთმობა. Canada Hockey Place-ზე ტელეკამერების განსათავსებლად 20 პოზიციაა, რაც უთუოდ გაახარებს ტელემაყურებელს.

**Whistler Olympic Park.** პატარა ქალაქი, რომელიც ვანკუვერიდან 125 კილომეტრში მდებარეობს. ის იქნება მოთხილამურეების, ბიატლონისტების, ტრამპლინიდან მხტომელებისა და ორჭიდელების ნავთსაყუდელი. პარკი, რომელიც დაახლოებით ერთი წლის წინ გაიხსნა, სამ 12-ათასიან სტადიონს აერთიანებს, რომლებიც ერთმანეთისგან ასი მეტრით არიან დაშორებული. მომავალ ოლიმპიელებს უკვე მოუწიათ აქ გამოსვლამ და მაგალითად, ბიატლონისტებმა მოიწონეს ტრასის ხარისხი, თან ზღვის დონიდან 800 მეტრიც არ არის საშიში. სავარაუდოდ, ტრამპლინის სტადიონზე ხელოვნური თოვლის გამოყენება მოუწევთ, სხვა მხრივ - ყველაფერი ნატურალურია.

### დებიუტანტები და სიახლეები

ოლიმპიური მოძრაობა ფართოვდება. ზამთრის თამაშებზე დებიუტი ექნებათ განას, მალტას, გაბონის, ბაჰამისა და კაიმანის კუნძულების წარმომადგენლებს.

რაც შეეხება ცვლილებებს ოლიმპიურ პროგრამაში, აქ გაცილებით მშვიდი სიტუაციაა, ვიდრე ზაფხულის თამაშების შემთხვევაში. ვანკუვერში თეთრ ოლიმპიადას მედლების ორი კომპლექტი დაემატება. ეს არის ფრისტაილის სახესხვაობა - სკი-კროსი, რომელშიც კაცებთან ერთად ქალებიც გაარკვევენ უძლიერესს. სხვათა შორის, ორივე სახეობაში კანადელები საკმაოდ ძლიერები არიან. სკი-კროსში ტურნირი პლეიოფის სისტემით მიმდინარეობს და მეტად საინტერესო სანახავია.

### მომავალი გმირები

**პეტერ ნორტუგი** (თხილამურებით რბოლა). ბრწყინვალე ნორვეგიელი მოთხილამურე იმაზე სწრაფად პროგრესირებს, ვიდრე კანადური ოლიმპიადის ბიუჯეტი იზრდება. წლიდან წლამდე ნორტუგი ავითარებს ბუნებისგან დამადლებულ თვისებებს - ფენომენალურ ამტანობას, შესანიშნავ ტაქტიკურ განსწავლულობასა და რბოლის გადამწყვეტ მომენტში მეტოქეებისგან გაქცევის უნარს. გარდა ამისა, ნორვეგიელმა ძალიან მოუმატა უნივერსალიზმის მხრივ. თუ ადრე მას, უბრალოდ, ძლიერ დისტანციურ მრბოლელად მიიჩნევდნენ, ახლა მისი პოტენციური მიღწევების სია სპრინტიდან მარათონამდე გაიზარდა.

**ოლე ეინარ ბიორნდალენი** (ბიატლონი). კიდევ ერთი მაესტრო ნორვეგიიდან, რომელმაც აშკარად ჩააგდო ტურინის ოლიმპიადა და ვანკუვერში რეაბილიტაციისთვის ჩავა. მას ყველა პირობა აქვს ტრიუმფისთვის. უკვე დღეს არის ცნობილი, რომ ბიორნდალენი თავის რამდენიმე კოლეგასთან ერთად ოლიმპიადამდე ერთი თვით ადრე გაემგზავრება კანადაში - აკლიმატიზაციისთვის და შეკრების გასამართად. საჭირო დროს ფორმის პიკზე გასვლაში ნორვეგიელს ვერავინ შეედრება, ხოლო თუ რას ნიშნავს „ბიორნდალენის პიკი", ეს ჩვენ კარგად ვნახეთ წელს პიონჩანგში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე. და საერთოდ, თუ ოლე ეინარმა ერთი ოქრო მოიგო, მისი შემჩერებელი ალარავინაა.

**ლინდსი ვონი** (სამთო-სათხილამურო სპორტი). 25 წლის ამერიკელი ლამაზმანი ორი წელია ეროვნული რეკორდების გაუმჯობესებით არის დაკავებული. წლევანდელი სამთო-სათხილამურო სეზონი ვონმა გიგანტურ სლალომში მეცხრე ადგილით დაიწყო, თუმცა ლინდსი ირწმუნება, რომ მას ყველაფერი იდეალურად აქვს. მსოფლიოს თასის დიდი და პატარა გლობუსები უკვე მოიგო, ამას პლანეტის წლევანდელი პირველობის მედლებიც დაემატა, ასე რომ, ახლა ჯერი ოლიმპიურ ტიტულებზეა. სპეციალისტები ვონს წინასწარ აძლევენ ვანკუვერის ოქროს სწრაფდაშვებაში. მას სხვა დისციპლინებშიც შეუძლია მედლების განაწილებაში მონაწილეობა, რადგან კონკურენტებს არაფრით ჩამოუვარდება.

### მედალი

მომავალი თამაშების ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი. ეს არის დიზაინერ **ომერ არბელასა** და მხატვარ **კორინ ჰანტის** ორწლიანი მუშაობის შედეგი. სულ ოლიმპიადისთვის 615 მედალი დამზადდა, რომელთა წონა 500-დან 576 გრამამდე მერყეობს და დიამეტრი 100 მილიმეტრს შეადგენს. გრავირების მხრივ არც ერთ მედალს არ მოეძებნება ანალოგი - ყველა განსხვავებულია. ყოველი ჯილდო ერთგვარი მოზაიკის ელემენტია და თუ მათ შევაერთებთ, მივიღებთ სურათს, რომელიც ვანკუვერის აბორიგენ ინდიელთა ხელოვნებას განეკუთვნება. უმაღლესი სინჯის მედლების დასამზადებლად ორ კილოგრამზე მეტი ოქრო (თითოში 6 გრამი) დაიხარჯა. საბოლოო პროექტი 48 წარმოდგენილი ვარიანტიდან იქნა არჩეული. სულ ჯილდოების შექმნაზე 34 ადამიანი მუშაობდა.

### ციფრები

კანადელი მედიკოსები ოლიმპიადის მსვლელობისას 2425 დოპინგ-ტესტს ჩაატარებენ. ეს რიცხვი ორჯერ მეტია, ვიდრე ოთხი წლის წინ ტურინში იყო. საშუალოდ ერთ სპორტსმენზე ერთი სინჯი გამოდის. თუმცა ბევრ ოლიმპიელს საერთოდ არ შეამოწმებენ დოპინგზე, ზოგიერთებს კი ფაქტობრივად ლაბორატორიაში მოუწევთ ცხოვრება. რა თქმა უნდა, საყოველთაო ყურადღების ცენტრში იქნებიან რუსი მოთხილამურეები და ბიატლონისტები, რომლებიც ბოლო დროს ხშირად ხვდებიან სადოპინგო სკანდალებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ავტოსპორტი.** ჩემპიონთა რბოლა

# შუმიმ ნავსი ვერ გატეხა

პეკინის ოლიმპიურ სტადიონზე **მიხაელ შუმახერის** ორმაგი ტრიუმფი არ შედგა. „ჩემპიონთა რბოლის" გუნდური პირველობის მოგების შემდეგ, ლეგენდარულ გერმანელს პირადი ჩემპიონატის მოგების კარგი შანსი ჰქონდა, ფინალშიც გაალწია, მაგრამ იქ შვედ **მატიას ექსტრიომთან** წააგო, რომელიც „ჩემპიონთა რბოლის" დიდ სპეციალისტად ითვლება.

ისევე როგორც „ეროვნებათა თასზე", პირად პირველობაშიც თავიდან ჯგუფური ეტაპი გაიმართა, რომელმაც ნახევარფინალისტები გამოავლინა. საუკეთესო ოთხეულში წინა დღის გმირები - შუმახერი, **სებასტიან ფეტელი** და **ჯენსონ ბატონი** შევიდნენ და მათ ექსტრიომი დაემატა.

პირველ ნახევარფინალში შვედმა ავტომრბოლმა ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონი ბატონი დაამარცხა. ფინალის მეორე საგზური გერმანელებმა შუმახერმა და ფეტელმა გაითამაშეს. ამ უკანასკნელმა გუნდური პირველობის მსგავსად კვლავ ვერ მიაღწია ფინიშს და „წითელი ბარონი" ფინალში უბრძოლველად გავიდა.

„ჩემპიონთა რბოლა" 1988 წლიდან ტარდება და რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, შუმახერს ინდივიდუალური რბოლა არასოდეს მოუგია, რაც შეეხება მის მეტოქეს, სპორტპროტოტიპების კლასში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ მატიას ექსტრიომს, ის 2006 და 2007 წლებში ზედიზედ ორჯერ გახდა ჩემპიონთა ჩემპიონი.

შუმახერმა ვერც ამჯერად გატეხა ნავსი. უფრო მეტიც, „ფერარის" ყოფილმა პილოტმა ფინალში ვერც ერთი რბოლა ვერ მოიგო და კვლავ ტიტულის გარეშე დარჩა.



*„იმედგაცრუების საბაბი არ მაქვს. ფინალში გავედი და იქ ძალიან კარგ მეტოქესთან წავაგე. დღეს ერთი პილოტი იყო საუკეთესო და მას მატიასი ჰქვია"*, - განაცხადა ფინიშის შემდეგ შუმახერმა.

ექსტრიომმა მესამედ მოიგო „ჩემპიონთა რბოლა" და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა შარშანდელ ჩემპიონ **სებასტიან ლოებს**. გამარჯვებების რაოდენობით რეკორდსმენი ლეგენდარული ფრანგი რალისტი **დიდიე ორიოლი** გახლავთ, რომელმაც ჩემპიონობა ოთხჯერ მოიპოვა.

**ჩოგბურთი**

# ფედერერმა 19 აირჩია



შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** თავის ოფიციალურ ვებგვერდზე 2010 წელს გამოსვლის წინასწარი კალენდარი გამოაქვეყნა. როჯერი ახალი სეზონის დაწყებას აბუ დაბიში საჩვენებელ ტურნირში გამოსვლით აპირებს, პირველ ოფიციალურ შეჯიბრებას კი დოჰაში გამართავს.

მთლიანად შვეიცარიელის კალენდარში 19 ტურნირია შეტანილი. აქედან სამს (ეშტორილი, დოჰა და ჰალე) „250" კატეგორია აქვს მინიჭებული, ორს (დუბაი და ბაზელი) - „500", დანარჩენი მასტერსები და დიდი სლემის ჩემპიონატებია.

აი, ასეთია როჯერ ფედერერის წინასწარი კალენდარი 2010 წლის სეზონში: აბუ დაბი (საჩვენებელი ტურნირი); დოჰა (კატეგორია - 250); ავსტრალიის ღია (დიდი სლემი); დუბაი (კატეგორია - 500); ინდიან უელსი (მასტერსი - 1000); მაიამი (მასტერსი - 1000); რომი (მასტერსი - 1000); ეშტორილი (კატეგორია - 250); მადრიდი (მასტერსი - 1000); როლან გაროსი (დიდი სლემი); ჰალე (კატეგორია - 250); უიმბლდონი (დიდი სლემი); ტორონტო (მასტერსი - 1000); ცინცინატი (მასტერსი - 1000); აშშ-ის ღია (დიდი სლემი); შანხაი (მასტერსი - 1000); ბაზელი (კატეგორია - 500); პარიზი (მასტერსი - 1000); ლონდონი (ATP-ის შემაჯამებელი).

# როლან გაროსი პარიზში დარჩება

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, „დიდი სლემის" რიგით მეორე ტურნირის - საფრანგეთის ღია პირველობის პარიზში ჩატარებას საფრთხე დაემუქრა. ჩემპიონატს სხვაგან იმ შემთხვევაში გადაიტანენ, თუ როლან გაროსის საჩოგბურთო კომპლექსის გაფართოების პროექტი არ შევა ძალაში.

გუშინ, სააგენტო AP-მა საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის ინფორმაციაზე დაყრდნობით დაწერა, რომ პარიზის მერიის წინააღმდეგობის მიუხედავად, დედაქალაქში საფრანგეთის ღია პირველობისთვის ახალ არენას აუცილებლად ააშენებენ.

ახალი სტადიონის მშენებლობას აპროტესტებენ „მწვანეები" და ის მოსახლეობა, რომელიც საჩოგბურთო ცენტრის ახლოს ცხოვრობს.

პროექტის თანახმად, ახალი სტადიონი 14 600 მაყურებელზე იქნება გათვლილი. ის ამჟამინდელი ცენტრალური კორტიდან 500 მეტრის მოშორებით აშენდება და მის გარშემო კიდევ ორი მსხვილი არენა იქნება განთავსებული. მშენებლობის საერთო ღირებულება, რომელიც 2013-14 წლებში უნდა დასრულდეს, 177 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

*„ჩვენ ისედაც ბევრი ფული დავხარჯეთ, ვიპოვეთ არქიტექტორი, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. დროის დაკარგვა არ შეგვიძლია, უნდა ვიმუშაოთ*, - ამბობს ამ საკითხთან დაკავშირებით საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის გენერალური დირექტორი **ჟილბერ იზერნი**. - *ქალაქის ხელმძღვანელობისგან სერიოზული წინააღმდეგობა გვაქვს, მაგრამ ვაგრძელებთ პროექტზე სერიოზულ მუშაობას. ჩვენ - ძლიერი ფედერაცია ვართ და წარმატებას მივაღწევთ"*.




**ხელბურთი**

# მწვრთნელმა მატჩი ჩაშალა

ავსტრიის ქალ ხელბურთელთა კლუბის - „ჰიპოს" მთავარმა მწვრთნელმა **გუნარ პროკოლმა** მატჩის ბოლო წამებზე მეტოქე გუნდის შეტევის ჩაშლისთვის სამწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. ინციდენტი 29 ოქტომბერს, სახელბურთო ჩემპიონთა ლიგის მატჩის დასრულებამდე შვიდი წამით ადრე მოხდა. ამ შეხვედრაში „ჰიპო" ფრანგულ „მეცს" ეთამაშებოდა.

მატჩის ბოლო წუთზე ანგარიში იყო - 27:27, ბურთი კი „მეცის" ხელბურთელებს ჰქონდათ. ფრანგების შეტევისას პროკომი მოედანზე შევარდა და შეგნებულად დაეჯახა „მეცის" მოთამაშეს, რომელიც ბურთს ფლობდა. თამაში 27:27 დასრულდა, თუმცა „ჰიპოს" შეხვედრაში მოპოვებული ქულა ჩამოერთვა.

რაც შეეხება ავსტრიელების მთავარ მწვრთნელს, მან არამარტო სამწლიანი დისკვალიფიკაცია უნდა მოიხადოს, არამედ ჯარიმის სახით 45 ათასი ევროს გადახდაც მოუწევს. გარდა ამისა, მწვრთნელი ვერასოდეს დაიკავებს რაიმე თანამდებობას ევროპის ხელბურთის ფედერაციაში (EHF). და კიდევ კლუბი „ჰიპო" ფედერაციამ 30 ათასი ევროთი დასაჯა.

EHF-ის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, რომ პროკომისთვის ასეთი მკაცრი სასჯელი იმით არის განპირობებული, რომ მან არა მარტო დაარღვია „პატიოსანი თამაშის ფუნდამენტალური პრინციპები", არამედ საფრთხის ქვეშ ჩააგდო „მეცის" მოთამაშის ჯანმრთელობა. მატჩის შემდეგ მწვრთნელი არ მალავდა, რომ მეტოქის შეტევის ჩაშლა უნდოდა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

**ცხელი ხაზი**

### ფეხბურთი

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ბურკინა ფასო | 4:1 |
| მექსიკა-ს. კორეა | 1:1 პენ. 3:5 |
| ნიგერია-ა. ზელანდია | 5:0 |
| ირანი-ურუგვაი | 0:0 დ.დ. 1:2 |

**შვედეთი**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| კვიდინგი-ბრაგე | 0:1 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| დინაბურგი-სკონტო | 0:3 |

### კალათბურთი

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ჟალგირისი-ბარსელონა | 70:77 |
| მაკაბი-ცსკა | 71:54 |
| ოლიმპია-კახა ლაბორალი | 76:82 |
| პარტიზანი-ორლეანი | 78:71 |
| რეალი-პანათინაიკოსი | 80:70 |
| უნიკახა-ეფესი | 93:88 (ო) |

### ჰოკეი

**ევროტური**

| | |
|---|---|
| ფინეთი-რუსეთი | 3:3 |
| შვედეთი-ჩეხეთი | 4:3 |

### ჩოგბურთი

**ATP. ბაზელი**

| | |
|---|---|
| ჩიუდინელი-ლამერი | 2:6, 6:3, 6:3 |
| ჯოკოვიჩი-ჰერნიხი | 6:0, 6:0 |
| შარდი-კოროლიოვი | 4:6, 6:7 |
| გასკე-ისნერი | 4:6, 7:6, 6:2 |
| ჩილიჩი-ტროიცკი | 7:6, 6:7, 7:6 |
| ვავრინკა-ნიემინენი | 7:5, 2:6, 6:1 |

**ATP. ვალენსია**

| | |
|---|---|
| იუჟნი-კუევასი | 6:2, 2:6, 6:1 |
| დავიდენკო-მონაკო | 6:3, 7:5 |
| რობრედო-ფ. ლოპესი | 4:6, 6:3, 6:4 |
| ვერდასკო-ტიპსარევიჩი | 6:3, 6:3 |
| მიურეი-ლ. მაიერი | 6:4, 3:6, 6:3 |

**TV პროგრამა**

**6 ნოემბერი. პარასკევი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:15 კალათბურთი. ევროლიგა. III ტური. რეალი-პანათინაიკოსი.
10:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რომა-ფულჰემი.
11:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. დინამო-ინტერი.
13:40 კალათბურთი. ევროლიგა. III ტური. ხიმკი-ოლდენბურგი.
15:30 სპორტის სამყარო.
15:55 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. 1/4 ფინალი. ლიგა და კიტო-ველეს სარსფილდი.
17:50 კალათბურთი. ევროლიგა. III ტურის მიმოხილვა.
18:20 სპორტკლუბი.
18:35 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
18:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-სან ხოსე.
20:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
21:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:10 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
22:00 100% დინამო.
22:30 სპორტკლუბი.
23:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-აინტრახტი (LIVE).
01:25 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:35 კალათბურთი. ევროლიგა. III ტური. ხიმკი-ოლდენბურგი.
03:20 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. 1/4 ფინალი. ლიგა და კიტო-ველეს სარსფილდი.
05:05 სპორტული სამყარო.
05:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-სან ხოსე.
07:20 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
07:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ლიონი. საფრანგეთი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

09:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. მარსელი-ციურიხი.
11:30 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. ბოტაფოგო-სერო პორტენიო.
13:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ლიონი. საფრანგეთი.
16:55 კალათბურთი. ევროლიგა. III ტურის მიმოხილვა.
17:30 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დინამო (ზ)-აიაქსი.
19:20 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ტულუზა-შახტარი.
21:05 კალათბურთი. ევროლიგა. III ტური. რეალი-პანათინაიკოსი.
22:50 კალათბურთი. ევროლიგა. III ტურის მიმოხილვა.
23:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-კალგარი.
01:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
01:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-აინტრახტი.
03:20 ცურვა. მსოფლიოს თასი. მოსკოვი. რუსეთი.
05:25 კალათბურთი. ევროლიგა. III ტური. ხიმკი-ოლდენბურგი.
07:10 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. პორტუ, პორტუგალია.

**EUROSPORT**

11:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
12:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/8 ფინალები. ნიგერია.
21:00 პული. საერთაშორისო ტურნირი. 1/2 ფინალი. პორტუ. პორტუგალია.
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:15 პული. საერთაშორისო ტურნირი. 1/2 ფინალი. პორტუ. პორტუგალია.
23:15 ტიმბერსპორტი. შვეიცარია.
00:15 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. კანადა.
01:15 ბოულინგი. PBA-ის ტური. აშშ.
02:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/8 ფინალი. ნიგერია.
03:20 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
03:30 ექსტრემალური სპორტი.
03:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/8 ფინალი. ნიგერია.

**ჰოკეი.** NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-აილენდერსი 3:0**

1:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 დ. როი-1 (რივე-5, ვანეკი-2), 2:0 ვანეკი-5 (სტეფორდი-3, ტიმ კონოლი-7), 3:0 გოსტადი-3 (მიერსი-4, ტალინდერი-4).

**ფლორიდა-კაროლინა 3:0**

0:0, 0:0, 3:0

**გოლები:** 1:0 რაინპრეხტი-9 (სტილმანი-5, ბალარდი-3), 2:0 სტილმანი-2 (მაკეიბი-5, რაინპრეხტი-4), 3:0 ალენი-1.

**ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი 3:2**

0:1, 1:0, 2:1

**გოლები:** 0:1 სლოუნი-1 (მ. პერო-1, კ. კლარკი-3), 1:1 როლსტონი-3 (რ. ნიდერმაიერი-5, ლანგენბრუნერი-7), 2:1 ბერგფორსი-3 (პარიზე-9, ზაიაცი-6), 3:1 ბერგფორსი-4 (ზაიაცი-7, ე. გრინი-3), 3:2 ფლიშმანი-3 (ლეიჩი-9, მ. პერო-2).

**დალასი-კალგარი 2:3 (ო)**

0:0, 0:1, 2:1, 0:1

**გოლები:** 0:1 იგინლა-5 (ჯორდანო-6, რეგერი-8), 1:1 ჯ. ნილი-9 (დელეი-2, სკრასტინსი-4), 2:1 ლ. ერიქსონი-6 (ბ. რიჩარდსი-13, სკრასტინსი-5), 2:2 ლენგკოუ-4 (იგინლა-6, რ. ბურკი-11), 2:3 იგინლა-6 (ბოუმისტერი-6, ო. ოკინენი-5).

**კოლამბუსი-სან ხოსე 2:3 (ბ)**

1:1, 1:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ჯ. ტორნტონი-4 (ქლოუ-6, რ. ბლეიკი-5), 1:1 ჩიმერა-4 (ტიუტინი-6, სტრამანი-5), 1:2 პიტლი-10 (მარლო-11, დ. ბოილი-12), 2:2 ნეში-10 (უმბერგერი-6, სტრამანი-6).

**ბულიტები გაიტანეს:** დ. ბოილი (სან ხოსე).

**კოლორადო-ფინიქსი 4:1**

1:0, 0:0, 3:1

**გოლები:** 1:0 ჰეიდუკი-6 (ქუინსი-7, პ. შჩასტნი-10), 2:0 სვატოსი-(პ. შჩასტნი-11, ჰეიდუკი-7), 2:1 ჟოვანოვსკი-5 (ლაგი-5, ლომბარდი-5), 3:1 დ. ჯონსი-4 (ო'რაილი-10), 4:1 ჰეიდუკი-7 (პ. შჩასტნი-12, დუპუი-1).

FM 107.9
საქართველოს ხმა
ყოველ შაბათ-კვირას 15:00-22:00
რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107.9) პირდაპირ ეთერში ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები და ანალიზი, სტუდიის სტუმარი, სატელევიზიო ზარები, ვიქტორინა და პრიზები - გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედისა და ირაკლისთან ერთად.
გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერია სპორტული გაზეთი „ლელო"

ფორმულა 1

# რენო მიდის თუ რჩება?

ფორმულა 1-ის სამყაროში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია იაპონური ავტოგიგანტის „ტოიოტას“ „დიდი რბოლებიდან“ წასვლამ. იმავე დღეს გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფრანგული „რენო“ შეიძლებოდა გამხდარიყო მეოთხე ავტოკონცერნი, რომელიც დატოვებდა ყველაზე პრესტიჟულ სარბოლო სერიას. ამის ვარაუდის საბაბს იძლეოდა ფრანგული კომპანიის დირექტორთა საბჭოს საგანგებო სხდომა.

მაგრამ საბედნიეროდ, ჟურნალისტთა და ექსპერტთა ვარაუდი არ გამართლდა (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით). ფრანგულ გაზეთ „ეკიპისთვის“ მიცემულ ინტერვიუში „რენოს“ გუნდის აღმასრულებელმა დირექტორმა **ჟან-ფრანსუა კობემ** დაადასტურა, რომ საქარხნო საჯინიბო ჯერ არ აპირებს ფორმულა 1-ის დატოვებას და მისი მანქანები მომავალ წელს მსოფლიოს ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.







*„ჩვენ უკვე გავაფორმეთ კონტრაქტი ერთ პილოტთან (რობერტ კუბიცა), საგაისო ბიუჯეტიც დამტკიცებულია და თან მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატში მონაწილეობაზე განაცხადიც შევიტანეთ. ასე რომ, ახალი სეზონი ფაქტობრივად დაწყებულია. „რენოს“ ხელმძღვანელობა კონკრეტულ ამოცანას გვიყენებს - ძველი ფორმა უნდა დავიბრუნოთ.*

*ვფიქრობ, გაისად შეგვეძლება კონსტრუქტორთა თასზე მესამე ადგილისთვის ბრძოლა. „რენოს“ შედეგები გაიზრდება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ტიტულის მოგება შეუძლებელი იქნება“*, განაცხადა კობემ.

თუმცა ამ საკითხში ბოლომდე სიცხადე მაინც არ არის შეტანილი. გუშინ, „რენოს“ მმართველი საბჭოს სხდომის შემდეგ ჟურნალისტების წინაშე ოფიციალური განცხადება გააკეთა კომპანიის პრეზიდენტმა **კარლოს გონმა**. მისი თქმით, საქარხნო საჯინიბოს ბედი 2009 წლის ბოლომდე გადაწყდება.

*„მოთმინება უნდა ვიქონიოთ. ფორმულა 1-ში ჩვენი გეგმების შესახებ წლის ბოლოს გამოვაცხადებთ“*, - მოჰყავს გონის სიტყვები სააგენტო „როიტერს“.

■ ■ ■

ამასობაში, იტალიურმა საჯინიბო „ფერარიმ“ ფორმულა 1-დან „ტოიოტას“ წასვლის შესახებ კომენტარი გააკეთა. „სკუდერიას“ ხელმძღვანელები მომხდარში საბოლოო სერიის მფლობელებს ადანაშაულებენ.

*„შექმნილი რეალობა ძალიან სერიოზულია. ფორმულა 1 თავის საუკეთესო და მნიშვნელოვან ნაწილს კარგავს: 12 თვის განმავლობაში ჩემპიონატი დატოვეს - BMW-მ, „ჰონდამ“, „ბრიჯსტოუნმა“ (საბურავების მწარმოებელი) და „ტოიოტამ“.*

*მათ ნაცვლად კი მოდიან „მანორი, „კამპოსი“, US F1 და „ლოტუსი“, რომელიც თავის დროზე კოლინ ჩეპმენის, ჯიმ კლარკისა და აირტონ სენას გუნდი იყო, მაგრამ დღეს მისგან მხოლოდ სახელია დარჩენილი. ეს არ არის სრულფასოვანი შეცვლა. ჯერ კიდევ გასარკვევია, შეძლებენ თუ არა ისინი 2010 წლის ჩემპიონატის სტარტზე გასვლას და სეზონის ბოლომდე თავის გადარჩენას.*

*რეალურად, ფორმულა 1-ის დატოვება დაკავშირებულია არა ეკონომიკურ კრიზისთან, არამედ სპორტის ხელმძღვანელებსა და ავტომწარმოებლებს შორის ატეხილ ომთან. ბევრ დეტექტივში გვინახავს, როცა დამნაშავეს ყველას სიკვდილის შემდეგ პოულობენ. ჩვენც ამ მომენტის მოლოდინში უნდა ვიყოთ?! იქნებ უფრო სასიკეთო ფინალის მოძებნა გვეცადა?!“* - წერია „ფერარის“ განცხადებაში.

**გია თვალაბეიშვილი**

